

ამირან არაბული

ატხეფ ტე წყართთგებია

გაბრიელ ჯაბუშანური
ლადო გალიაური

(ლიტერატურული ჰორტრეტი)



“ლომისი”
თბილისი 1997

გაბრიელ ჯაბუშანური და ლადო ბაღიაური არსოტის თემის სოფელ ასი-ელში დაიბადნენ.

ბედმა თუ ღვთის ნებამ ქართული სიტყვის ეს ორი მსახური საკმაო სისასტიკით გვემა და ამარტვილა მათი წილი საწუთროს კსა-ბილიკებზე. არც ერთს დახანდა თანდაუოლილი მწერლური ნიჭის სრული სიცხადით გამჟღავნება და არც მეორეს.

მათი ცხოვრება სხვადასხვაგვარად წარიმართა და თბილისში ერთად ჩამოღეული სტუდენტობის წლები ეველაზე სანიაზო მოგონებად შემორჩა ორივეს...

ერთი სიტყვით, კარესამეაროსკან კაკიდევანებული ხევსურეთის მტკავლისტოლა სოფელმა ორი ჭემშარიტი შემოქმედი შემატა ქართულ მწერლობას.

რედაქტორი როსტომ ჩხეიძე

მხატვარი თინათინ მირზაშვილი

გამომცემელი: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

© "ლომისი", 1997

ნაზირან არაბული

დაიბადა 1956 წელს ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთაში.

1978 წელს დაამთავრა თბილისის სასკოლშივეთ უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი.

1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "მითოლოგიური საწიქისიში აღმოსავლეთ საცართუელის მთიანეთის სალსარ პოეზიასა და უაქა-უმაველას მემდექემაში".

1981 წლიდან დღემდე მუქათმს მათა რუსთაველის სასკოლმის ცართული ლიტერატურის ინსტიტუტში: არის უეტრის მუცნიური თანამმმრთელი, საბისსიემის მიმნიქებული სამუცნიურთ სამქის სწავლული მდიუანი,

საცართუელის ქერნალისცთა თუდერაციის წეზბი, ქერნალ "ლიტერატურნაია გრუპიას" რედაქტორის მთადგილუ.

გამდექემული აცეს ობი წიგნი: "უინამ თდეა თუმათა დალევა" (1986 წ.) და "უაქა-უმაველას პოეტუტ სამცართში" (1990 წ.).





ვისაც ზაფხულში არხოტის ხეობაზე ჩაუვლია და ცირცლოვანის კლდოვან კალთებზე ამოუოჟინებულ ყვავილთა ნებიერი ფშვინვისთვის დაუგდია ყური, ვინც მდინარე ასას თოვლ-ყინულიან სათავეებში შურთხების საგანთიადო გნაისსა და შუნ-ჯიხვების შუშპარს შესწრებია, ვისაც ჭიმლა-ამლა-ახიელის სანახებში ხეტიალთ დაუღლია მუხლი, მისთვის არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რანაირ საფანელზე იძერნებოდა გაბრიელ ჯაბუშანურის პირველი პოეტური პნკარები, რა ნიშან-თვისებების საგნობრივი გარემო იკვეთებოდა და ინაკეთებოდა უკიდევანო ბუნების ჩქროსა და ხმაურზე სმენამიპყრობილი ყმანვილკაცის წარმოსახვაში.

არხოტის ცრიატი დილა-სალამოების უბეშია გამონასკეული გაბრიელის შემოქმედებითი გზის წინაპირველი კვირტი და ნაყოფი; მის მხატვრულ ხილვათა ფესვი და დვრიტა მთის წმინდა წიაღში ძევს, იქ, სადაც ძაფის სიმსხო, სუსტი და უსახო ნაკადული ცოტაოდენი გამანძილების შემდეგ ზავთიან მდინარედ იქცევა და გიჟმაჟი შენაკადებით მოლონიერებული წალეკვით ეშუქრება დეკის უთეთრესი ყვავილით გადაპენტილ ნაპირებს...

თუკი ამქვეყნად პოეტად მოვლენილი ადამიანის სულიერი ფორმირების პროცესი, ცოტად თუ ბევრად, მისი გარემომცველი სამყაროს რაობაზეა დამოკიდებული, ამ მხრივ გაბრიელ ჯაბუშანურს მადლიერების გარდა ალბათ არაფერი ეთქმოდა საკუთარი ბედ-ილბლისადმი.

მისი პოეზიის მაცოცხლებელი ძარღვი ასე ძალუმად რომ ფეთქავს, ამაში გარკვეული "დამსახურება" სწორედ არხოტის პირქუმ შემოგარენთა პირველყოფილ მშვენიერებას მიუძღვის.

* * *

გაბრიელ ლუკას ძე ჯაბუშანური დაიბადა 1914 წლის 11 სექტემბერს, ხევსურეთში, არხოტის თემის სოფელ ახიელში. მისი დედა — თამარ აბას ასული არაბული, ხალხური პოეზიის კარგი მცოდნე და თვითონაც ნიჭიერი მელექსე, ჯუთელი ქალი გახლდათ (ჯუთა ყაზბეგის რაიონში მცხოვრები ხევსურების სოფელია და დაახლოებით ნახევარი დღის სავალზეა დაშორებული არხოტიდან). მამა — ლუკა

(უნცრუა) ქორიას ძე ჯაბუშანური კითხულ კაცად ითვლებოდა მთა-ში; ზედმინევნით იცოდა ხევსურული რჯულ-სამართალი, ბევრი ხალხური ლექსი, ანდრეზი და თქმულება-გადმოცემა (სხვათა შორის, 1925 წლის 15 მარტს მისგან ჩაუნერია თბილისში აკად. აკაკი შანიძეს ბალადა "მოყმისა და ვეფხვის" ის ვარიანტი, რომელიც ძირითად ტექსტად არის წარმოდგენილი 1931 წელს გამოქვეყნებულ "ქართულ ხალხურ (ხევსურულ) პოეზიაში"); ემარჯვებოდა მოსწრებული კაფია და ექსპრომტი...

გაბრიელმა წერა-კითხვა მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლაში ისწავლა. მისი პირველი პედაგოგი იყო ფშავ-ხევსურული ხალხური სიტყვიერებისა და ეთნოგრაფიული მასალის ამაგდარი შემკრები და პოპულარიზატორი ალექსი ოჩიაური.

1925 წლის შემოდგომაზე მამამ თბილისში წაიყვანა და სწავლის გასაგრძელებლად მთიელთათვის გახსნილ საბავშვო სახლში (მდებარეობდა ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში) მიაბარა.

მომავალი პოეტი მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგებს არხოტში ატარებდა. დადგებოდა თიბათვე და მშობლებს ეხმარებოდა თივის დამზადებაში; ჯერზე მწყემსავდა სოფლის ცხვარსა და ნახირს; დადიოდა ტყეში შეშაზე; განსაკუთრებით იტაცებდა თევზაობა (მდინარე ასა დღესაც მდიდარია წითლად დანინკლული ჯიშინი კალმახით)...

არხოტის თემი იმ დროს კაცრიელი და მკვიდრმრავალი იყო. ამლის, ჭიმლისა და ახიელის შარა-უბნებს ბერ-ახლებისა და ბავშვების ლალი ჩოჩქოლი ავსებდა. საფიხვნოს შეკრებილი მრავლისმომსწრე ბრძენკაცებისგან ითვისებდნენ გაბრიელი და მისი ტოლ-სწორები ცხოვრების ავ-კარგს, ხალხში ქცევის წესსა და რიგს, თავდაჭერას, უფროს-უმცროსობის რიდსა და კრძალვას...

ახალი ცხოვრების სასიკეთო გავლენა არხოტზე, და საერთოდ, ამიერ საქართველოს მთიან კუთხეთა სოფლებზე, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, ჯერ კიდევ სუსტი და უმნიშვნელო იყო.

ქისტე აბრეკების ყოველდღიური თავდასხმის მომლოდინე არხვატელები სახნავ-სათიბზეც განუყრელად თან ატარებდნენ იარაღს. ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ სხვადასხვა რჯულის მთიელთა შორის ტყვია და ხმალი მოციქულობდა. ხალხური პოეზიის ენით რომ ვთქვათ, ქისტებსა და არხვატელებს "დღე შუ სისხლის წყალი" უდიოდათ...

არხოტზე ქისტების ერთ-ერთი უკანასკნელი გალაშქრება 1924 წელს მომხდარა. ციცკა ჯაბუშანურის გადმოცემით, მომხდურებს ახიელელთა ხვასტაგისტვის გაბრიელის საყვარელი ხარი "ირემაც" გაუყოლებიათ. ოჯახის მარჩენალი მუშა საქონლის უკან დაბრუნე-

ბის განზრახვით მოძალადეს დადევნებული ათიოდე წლის გაბრიელი სიკვდილს ბენჯე გადარჩენია...

ახიელში დღესაც მკვიდრად დგანან ჯაბუშანურების ქვითკირი და აბა ჯურჯიულის მიერ აგებული ტანსწორი, ჩარდახიანი (კიხე ("ახიელ თეთრსა ციხესა ჩარდახი ჩამოსდისაო, შიგა ზის შუქიაური, თავს ცეცხლი გადასდისაო, შუქიაურის ხირიმი გულმწუხრად გამოდისაო", — გვეუბნება ამ ციხის შესახებ ხევსურული ხალხური ლექსი).

გაბრიელის ნასახლარი ახიელში ამჟამად ჩანაფუძრებული და აბალახებულია. მოგვიანებით პოეტი ამის გამო მწველი გულისტკივილით იტყვის:

აბსოლუმი მაშისასლი დამუცა,
ღოჯ მის ნანგრეუგჳ შუც აბა ჯდუმა.
ქვითკირის კუთხი მოჰგაჳს ნამუწყტალს,
აბსოლუმი მაშისასლი დამუცა,
მაშმი შუცგამს ჳბოს ნამერცლატს,
ჩუშს აჳჳანს გუღი რდარაჯდუმა...
აბსოლუმი მაშისასლი დამუცა,
ღოჯ მის ნანგრეუგჳ შუც აბა ჯდუმა.

ახიელიდან ორიოდე კილომეტრით იქნება დაცილებული ამლამონაპირე სოფელი არხოტის თემისა. სოფლის შესასვლელში, ხელმარჯვნივ, "საბეკურია" — ხატის წმინდა შენობა, სადაც, ხალხური გადმოცემით, ქველსა და გულთმისან ხოგაის მინდის (პროტოტიპი ვაჟა-ფშაველას "არსთა მხედი" გველის მჭამელისა) უცხოვრია. ცოტა აქეთ, შეუმჩნეველ შეფერდებაზე, ციდან "სინათლის სვეტად ჩამობძანებული", ჯიხვ-ირმის ხავსიანი რქებით შემკული იახსრის ხატია. ზევით, ხევის პირზე, ფიჭვნარის ჩრდილში რკენაა ("პეტრე ნალვრისპირისა") — ქარჩათ მამიშვილობის სალოცავი.

ჭიმლა-გაბურების, თეთრაულებისა და გიგაურების ყოფილი სამოსახლო — ახიელიდან თვალით არ ჩანს, მაგრამ არც ისე შორია, მუხლად ცხენს იქ მისვლამდე შესვენება დასჭირდეს...

არხოტის თემის ორ ნასოფლარში — კალოთანასა და კვირინმინდამი — კარგა ხანია, აღარავინ ცხოვრობს. კალოთანა 1900 წელს გაუკაცრიელდა, ხოლო კვირინმინდა 1918-1921 წლებში.

ახიელასა და ამლას შუა, ასას მარცხენა ნაპირზე, თათხელიონთ — ნიკლაურების გვარის ამპარტავანსა და თავზეხელალებულ ხალხს უცხოვრია დიდი ხნის წინათ.

უფროსების სიტყვით, ჭიმლა-ახიელისა და კალოთანას გიჟმაჟი წყლების ხერთვისში, მაღალი კლდის თავზე, არწივების საბუდარი-

ვით რომ დაჰკიდებია ცისა და მიწის გასაყარს, ორბეულთა ორბელიანების საცხოვრისი ყოფილა გაშენებული. მოთხრობაში "ცრემლიანი სიცილი" ლადო ბალიაური ამგვარად წარმოგვიდგენს დარბეული ორბეულთის სავალალო რეტროსპექტულ სურათს: "ამ დამუწეულ ნასოფლარში ოდესღაც ამაყი ორბელიანები ცხოვრობდნენ და ეხლა, მტრის მუქარაზე ნაშენები ბროლის კოშკების ნანგრევები ჩონჩხებივით იდგნენ ფიჭვებსა და ჩამონგრეულ კლდეებს შორის. ვინ იცის, რამდენი ფრთათეთრი ისარი ან შუბი გატეხილა ამ ხავსმოკიდებულ კედლებზე, რამდენი ვაჟკაცის მარჯვენა დამდნარა მათ ჩარდახებზე, რამდენი ტკბილი სიმღერა მოუსმენია ამ მიდამოს, რამდენ ლამაზ ქალს გაუვლია პატარა, თეთრი ფეხებით კოშკთა შორის დაგრეხილ, ეხლა დაძვლებულ ბილიკებზე"

დიდთოვლობით და უგზოობით (მონოგრაფიაში "ხევსურეთი" ს.მაკალათია სხვა მიზეზს ასახელებს) შეწუხებულ ორბელიანებს ადრევე მიუტოვებიათ ორბეულთა და როგორც ერთ ხევსურულ ლექსშია ნათქვამი, "იმერეთს წყალსა გამხდარან" რამდენად შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს ეს ხალხური ცნობა, ძნელი სათქმელია...

აქ, ამ გარემოში დაიბადა და იზრდებოდა თერთმეტი წლის ასაკამდე გაბრიელ ჯაბუშანური (სიყრმის უდარდელ დღეთა სევდიანი ექო სევადივით მიჰყვება მის პოეზიას); აქ იწრთვნებოდა და იხედნებოდა მისი პოეტური თვალი და სმენა; აქაური სანახების მთრთოლვარე ხმებია აჩქამებული და ამეცყველებული მის ლექსებში...

ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ხევსურეთის ერთი ყველაზე სულწუხი და მიუვალი ხეობიდან ბარად ჩასული თერთმეტი წლის ბიჭზე ხალხმრავალი ქალაქი!...

მთიელთა საბავშვო სახლში გ.ჯაბუშანურს დედობრივ მზრუნველობას უწევდა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი მარგო თომაძე. სათნო, გულისხმიერი აღმზრდელი ხალას ნიჭს ხედავდა პატარა მთიელში და ხშირად ესაუბრებოდა სწავლა-განათლების სიკეთესა და აუცილებლობაზე. ამ ახლომინაურული ურთიერთდამოკიდებულების მკაფიო ანარეკლია მ.თომაძისადმი თოთხმეტი წლის გაბრიელის მიერ მთიდან გაგზავნილი ერთ-ერთი ბარათი, — აღბეჭდილი სწავლასმონყურებული ყმანვილკაცის უმწიფარი ხელწერით...

ხელმოკლე მშობლების შეწევნით გ.ჯაბუშანური 1934 წელს თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ საშუალო სკოლას ამთავრებს; ფიქრობს უმაღლესზე, მაგრამ სანუკვარი მიზნისკენ ლტოლვაში ხელს უშლის ოჯახის უქონლობა. "ახლა მე ძალიან მიჭირს, ფული სრულებით არა მაქვს და განვიცდი შიმშილობას" (ნაწყვეტი უმცრო-

სი ძმის ციცქასადმი გაგზავნილი ბარათიდან). მაინც არ ეპუება მატერიალურ გასაჭირს, მეცადინეობს გულდადებით, დღე-ღამეს ასწორებს, ცდის ბედს და შედეგიც სასურველია: ათწლედის დამთავრებისთანავე აბარებს და ირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლის სიხარული, სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა მისთვის.

1933 წელს გ.ჯაბუშანურის ოჯახი ხევსურეთიდან კახეთში ჩასახლდა და, როგორც ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს პოეტი, "ბარში ჩამოსვლასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა ოჯახის მატერიალური სივინროვე გამოიწვია".

უსახსრობამ აიძულა გაბრიელი, დროებით ხელი აეღო სწავლაზე და ორი წლის განმავლობაში თელავის რაიონის სოფელ ინგეთის დაწყებით სკოლაში ემასწავლებლა. იქვე მუშაობდა (ბედის დაცინვაც ამას ჰქვია!) კოლმეურნეობის მოანგარიშედ.

გ.ჯაბუშანურს კარგად ესმოდა სოფლის მასწავლებლის საპატიო მოვალეობა, მისი საქმიანობის საქვეყნო მნიშვნელობა; შეგნებული ჰქონდა, სწამდა და სჯეროდა პასუხსაგები სფეროს უჩინარ მსახურთა ღირსებრივი უპირატესობა დიპლომიან ფსევდოსწავლულებთან შედარებით. "გაცილებით უკეთესია, იყო სოფლის უბრალო მასწავლებელი, ვიდრე უსაქმო, ფუქსავატი უმაღლესდამთავრებული, "მაღალ წრეში მოტრიალე კოკეტკა", — სწერდა მავანსა და მავანზე ინგეთში მყოფი პოეტი უახლოეს მეგობარს თინა ოჩიაურს...

განათლების სახალხო კომისიის მალაქია ტოროშელიძის დახმარებით 1936 წლიდან გაბრიელი კვლავ უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას, ამჯერად ფილოლოგიის ფაკულტეტის დასავლეთეუროპული ენებისა და ლიტერატურის სექციაზე, გერმანულის განხრით.

1939 წლის დეკემბრიდან, ობიექტური მიზეზების გამო, ისევ წყვეტს ლექციებზე სიარულს და მთელ თავის ძალ-ღონეს ლიტერატურულ მუშაობას ანდომებს.

ამ დროს იგი უკვე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია.

1927 წელს აქვეყნებს საბავშვო ლექსებს. მოკიდებული აქედან მეტ-ნაკლები ინტენსივობით თანამშრომლობს საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. 1935-1936 წწ. ლექსებს ბეჭდავს თელავის რაიონული გაზეთის ფურცლებზე. ჟურნალ "ახალგაზრდა მწერლის" (1935 წლის ივლისიდან ამ ორგანოს "ჩვენი თაობა" დაერქვა) თებერვლის ნომერში ისტამბება მისი ლექსი "ცხენი". ფაქტიურად, ეს არის გ.ჯაბუშანურის პირველი გამოჩენა "დიდი ლიტერატურის" (როგორც თავად წერს) ვრცელ ასპარეზზე.

1939 წლის შემოდგომიდან პოეტს თბილისში მუდმივი თავშესა-

ფარი აღარ ჰქონია. ხანგამოშვებით ამხანაგებთან ცხოვრობდა, მეტწილად მშობლებთან, სოფელ ინგეთში...

ბედმა ინება და დიდი სამამულო ომის წინა წლებში სამწერლო სარბიელზე გამოსულ ახალბედა შემოქმედთა ნიჭიერი თაობის წარმომადგენლები მრისხანე დროის ქარტიხილმა ერთურთს დააშორა. ზოგი ბრძოლის ველზე დაეცა მტერთან ვაჟკაცურ კვებებაში, ზოგსაც უკურნებელმა სენმა დარია ხელი.

გაბრიელ ჯაბუშანური, მისი სურვილის მიუხედავად, ფრონტზე არ გაუწევიათ. პოეტის ხელნაწერ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: "ომის დაწყებამ თბილისში მომისწრო. ფრონტზე არ წამიყვანეს: ჯარგავილი არა ხარ და ჯერჯერობით მოიცადეო. მე, როგორც სტუდენტს, სამხედრო სამსახურის გავლა განვადებული მქონდა 1941 წლის 1 სექტემბრამდე".

დროებით კახეთში დასახლებული გ.ჯაბუშანურის ოჯახი 1941 წლის ზაფხულში კვლავ ხევსურეთს დაუბრუნდა. ამ ხნიდან, თბილისში ჩამოსვლამდე და დამკვიდრებამდე, ორი ათეული წლის მანძილზე, გაბრიელიც არხოტში, ლილლოში, და ბოლოს, დარიალის ხეობაში, სოფელ ლარსში ცხოვრობდა.

სხვადასხვა დროს მუშაობდა მასწავლებლად, ქოხ-სამკითხველოს გამგედ, საბჭოს მდივნად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ...

უწყებრივი სამსახური, მის თანამედროვეთა ცნობით, გაბრიელს მაინცდამაინც არ იზიდავდა. "სამკალიდან რომ დავბრუნდი, ამ დაღლილ კაცს მომდგნენ და მანერინეს მოწმობები (მე აქ მდივნად ვარ საბჭოში), თითომ ოროლ-სამსამი, ერთი ათი მოწმობა მაინც დავწერე, ამან უაღრესად დამქანცა და გამომალაყა", — წერს პოეტი 1943 წლის 27 სექტემბერს სახიელიდან თ.ოჩიაურისადმი გაგზავნილ ბარათში.

დღეცისმარე პოეზიაზე მოფიქრალი კაცისთვის შემოქმედებით ინტერესებთან მშრალი და დამქანცველი საკანცელარიო საქმის შეთავსება, ცხადია, იოლი არ იქნებოდა.

საყოფაცხოვრებო წვრილმანით და ფიზიკური გარჯით დაღლილი ლამღამობით ნახულობდა შესაფერის დროს დიდხანს ნაფერებ და ნალოლიავენ ჩანაფიქრთა განსახორციელებლად. "დღისით მუშაობის არც შესაძლებლობა ჰქონდა და არც სურვილი", — იგონებს ციცქა ჯაბუშანური...

გაცისკრებამდე ბუუტავდა გაბრიელის ჭერდაბალ ოთახში ნავთის ლამპა; ლიტერატურულ გარემოცვას მოწყვეტილი წიგნების კითხვასა და ლექსთა თხზვაში კლავდა ეული გულის ჯავრსა და ვარამს.

სოფლის მწირი და უბადრუკი ქოხ-სამკითხველო სანახევროდაც

ვერ აკმაყოფილებდა მის მწყურვალ, მუდამ ახლის მაძიებელ სულს. "ჩემსავით არხვატბი უნდა ჩავარდეს კითხვას მიჩვეული და ლიტერატურის მოყვარული კაცი, რომ ნამდვილად გაიგოს, რა არის უნიგნობა" (პირადი წერილიდან).

სხვაგვარი გემო და სურნელი დაჰკრავდა არხოტის ყურუმ სიმყუდროვეში ნაკითხულ ნიგნებს. "თბილისში, სადაც აუარებელი ნიგნებია, ძნელია ამა თუ იმ მწერლის გაგება (რასაკვირველია, შედარებით). იქ, გაბრუებულ პეპელასავით, რომელიც ყვავილიდან ყვავილზე დაფრინავს, დახტიხარ ნიგნიდან ნიგნზე და თავგზა გებნევა, არ იცი, რომელი ნაიკითხო, ზერელედ ათვალიერებ ყველაფერს და შთაბეჭდილება შთაბეჭდილებას ცვლის. აქ სხვაა, ჩემო თინიკო!" — სწერდა პოეტი თინა ოჩიაურს ს.ამლიდან 1942 წლის მაისში...

დაუდგარი შემოქმედებითი შრომა იყო მისი სასო და ნუგეში, ამქვეყნიური ამაოებისგან "თავდახსნის" საიმედო გზა და საშუალება. ლექსით სუნთქავდა, ცოცხლობდა, არსებობდა; ლექსითვე ირჩენდა, იშუშებდა და იმსუბუქებდა გამოუღწეველ სევდა-კაემანს ("მხოლოდ ლექსია წამალი წყლულის..." ან: "მე სხვაგვარი ტირილი არ შემძლია, დიდ სატირალს ლექსით ვტირი მარტო...").

სულიერი სიმარტოვის მძაფრი განცდა და შინაგანი ფორიაქი, რაიც ასე თვალნათლივ იკითხება გაბრიელ ჯაბუშანურის მთელ რიგ ლექსებში, მისი მოუწესრიგებელი, მოუწყობელი, იმთავითვე ტრაგიკულის ნიშნით წარმართული ცხოვრების თალხი ფერებიდან მომდინარეობს.

გ.ჯაბუშანურის მწერლურ გზას განგებამ განიადაგებული ღელვა და წუხილი, ბიოგრაფიული ფაქტებით პირობადებული სევდა და ნალველი დაანათლა, რამაც მრავალმხრივ იჩინა თავი ცრემლის მძივებად აკინძულ მის თავისთავად პოეზიაში.

ბა უკარგლად იმღერიან ჩემი ფოქოში,

ღმერთო, მე სოფდა ზად დამეძიდა!..

ძნელია მოდიდებული სევდის სათავის პოვნა. და თუ მაინც მოვიწადინებთ პოეტის ამგვარ განწყობილებათა მიზეზის ახსნას, მისი სევდაცარული ცხოვრების გზა უნდა გავითვალისწინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაბრიელის ლირიკის წამყვანი მოტივების სწორად გაგება, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდება.

არხოტის ცის ქვეშ გაკენტებულ, "მთების ტაძარში მლოცველ-მწირველ" პოეტს თითქოს სამყარო ემცირება და ევინროვება, ერთ ადგილზე გაჩერება და დევანება უჭირს, ერთთავად ბორგავს, წუხს, წრიალებს და მეწყერივით მოვარდნილ ლექსის სტრიქონებში ავდრიან ცაზე გამკრთალ ელვასავით კენესის და კვესავს უსალბუნო,

გაუნელებელი, სასოწარკვეთილებასთან წილდებული ტკივილი:

მიმდის მუჟიხარუმა ცრემლად განაწიში,
ჩოხთუის ეს აბსოლუტი გაბდა ცხატალიფული,
ყოლად დათბუნული, ყოლად განაწიში
თითქმის უნითა ვარ ჯღიჯღ დაიდული.
ღმერთო, რადგან ჩანგმაც პანგი გადამითქვა, —
თითქმის მაძციუ და ძიდიშს მიმათოყ,
ყოლამ მიმაცოფა... ყოლა გადამიდგა, —
ნოთუ, პი, უთალო, მენაც მიმაცოფა...

მიუსაფრობისა და მართოსულობის ელეგიური ტონი მსჭვალავს გ.ჯაბუშანურის არხოტულ დღიურებს, ჩანანერებს, კერძო წერილებს.

სოფელში მყოფი გამოსაცემად ჩაბარებულ წიგნებზე წუხდა; არ ჰქონდა საშუალება და საიმისო პირობები, მალ-მალე ჩამოეკითხა და თვითონ მიეხედა "ხელის ანდით" არხოტში ნანერი "უნურთნი ნალვანისათვის".

"სად დაიკარგე, სად მიეფარე? როგორ ხარ ბიჭო, არ გრცხვენია, რომ მაგ მთებს შეხიზნულმა არც ერთხელ აღარ გაგვიხსენე ბარელები?" — სწერდა 1945 წლის სექტემბერში ნიკა აგიაშვილი; "მართო განცხადებების გზავნა არ კმარა წიგნის გამოცემისათვის, ან ვაჟასავით მთაში ყოფნა. საჭიროა აქ, მწერალთა საზოგადოებაში შენს საქმეს შენვე მიხედო", — ურჩევდნენ ანდრო თევზაძე და გრიგოლ ჩიქოვანი; "გელოდებით შენი მეგობრები და შენი თბილისი", — ეხმიანებოდა ოთარ კუპრავა...

მომსულფონებელი შვების ოდენ წამიერ, მსწრაფლწარმავალ, ეპიზოდურ ილუზიებს უქმნიდა გაბრიელს ხევსურული ლხინი, ღრეობა და თავშექცევა. არც სწორფრობის ამბები (ელჩობა, ნანდაურის მიერ "ჯალაფთად მაპარული" წინწანაქარის ნაფიც "არიფებთან" ერთად დაღევა) და სხვა საქალვაჟო თავგადასავლები გახლდათ მისი გატაცების საგანი.

უქმად ყოფნის, ინერტულობის, ემოციებისგან განტვირთვის მოკლე პერიოდებს კვლავ და კვლავ დაუტყბრომელი შემოქმედებითი ძიება ენაცვლებოდა.

"შენთვის უმღერლობაა ძნელი შესანდობი. ვაჟაის სული არ მაგინდობს, თუ არ იმღერე. იმის ხმას შენლა უბრუნებ ექოს", — ესიტყვებოდა თბილისიდან ალ.ჭინჭარაული.

უმღერლობა კი მართლაც არ შეეძლო. აკი თქვა კიდევ: "რამდენი ხმა არის! რამდენი სათქმელი! ეს გული ლექსებად მეცლება!.."

გაბრიელ ჯაბუშანურის შემოქმედებაზე საუბრისას სევდიანი ინ-

ტონაციებისთვის გვერდის აქცევა ისევე უმართებულო იქნებოდა, როგორც იმ ცეცხლოვანი მგზნებარების დაუნახაობა, სიცოცხლის მაღალ საგალობლებს რომ ახლავს მის პოეზიაში.

ჟამიერ გულგატეხილობას მუდამ ჯაბნიდა და ჯალდავდა სამზე-ოს ლაჟღაჟა ფერებზე ჟინიანი სიმღერის სურვილი. "ეჰ, რარიგ მიყვარს მე ეს ცხოვრება ამდენი სევდით და სიხარულით", წერდა იგი და ღამის უღრანებით სულმეხუთული სიხარულით მოელოდა აისის ამალლებას, "გარიჟრაჟული შუქის" სარკმელში შემოჭრას...

თავისი სულიერი წყობით, მსოფლგანცდით, შინაგანი მოწოდებით გაბრიელ ჯაბუშანური მუზის ქურუმად იყო გაჩენილი და მარჩენალ მინაზე თვალ-გულ მიპყრობილი მეურნე მეზობლებისგან განსხვავებით მთლიანად პოეზიის სამყაროს ეკუთვნოდა. მას არ შეეძლო ყოველდღიურ წერილმან-მსხვილმანზე გადაგებული ადამიანის ინსტიქტებით ეცხოვრა. თანასოფლელთა დარად უძღვებოდა ყოველგვარ სამთო საქმეს: ხნავდა (ნაწყვეტი ლაგაზა არაბულის ნაამბობიდან: "აი, ხევსურულ პერანგ რო ჩაიცვის და გუთანს გეების, როგორ იყვის! — ღმერთო, უშველევ უნცრუთ გაბრიელსაჲ! — იცოდის თქმა..."), თესავდა, თიბავდა, მკიდა, აბინავებდა ჭირნახულს; "ნამქერების თეთრი ალაფით" გადაგარსული მთების პირისპირ მდგარი არხოტის "უმკაცრეს ქარიშხლებს" ეტრფიალებოდა; ჩამაგეს, ბისნას, ჩორეხის, ტანიეს, შიტუს, სახარის, ტერლისა თუ შავწყალის ფიცხელ კლდეთა შიბებზე ჯიხვების ხოროს უთვალთვალებდა... და მაინც, ჯერუხილავ სიმაღლეთა წვდომის ნადილით აღსავსეს სხვა განი და სივრცე უხმობდა, გამგები და თანამღმობი ენატრებოდა, თავდაუზოგავი და დაუსცადებელი შემოქმედებითი წვის მწვე წყურვილი კლავდა...

1943 წლის 7 აგვისტოთი დათარიღებულ "მთამსვლელის დღიურში" ლევან გოთუა ამგვარად გადმოგვცემს გ.ჯაბუშანურთან შეხვედრისა და გაცნობის ეპიზოდს არხოტში: "სოფლელები მოგროვდნენ. აგერ, არხოტის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე გაბრიელ ოჩიაური და მდივანი გაბრიელ ჯაბუშანური მოვიდნენ. ეს უკანასკნელი მგოსანია, ლექსთა კრებულის "არაგვიანის" ავტორი.

გამაცნეს, თორემ სხვა ხევსურებში ვერაფრით გავარჩევდი. სამოსი ხომ თავით-ფეხამდე ხევსურული აქვს: ფერადი პაჭიჭები, საკმაოდ გაცვეთილი ჩოხა, მოქარგული გულისპირი... და თავზე თეთრი ქეჩის ქუდი.

მიმზერს დინჯად და დინჯადვე მეუბნება:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!.. ნამომყვებოდეთ სოფელში, ყველას მოგასვენებთ, დიდი ბინაა.

ნაყვეით, ხოლო ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა

ეკლესიაში შეგვიყვანეს და იქ "მოგვათავსეს" ხატის მინაზე ფეხის დადგმაც საძრახისია, ხოლო ეკლესიაში დაბინავება. არაფერს ნიშნავს!

ასეთია ხევსურის "წარმართული ქრისტიანობა"

გაბრიელ ჯაბუშანური არ ყოფილა კარჩაკეტილი, ცხოვრების ჩქროლვასა და დუღილს განრიდებული, იდილიის მაძიებელი, კაბინეტის ვიწრო და ირიბი სარკმლიდან მზირალი პოეტი. მრავალნაცადი კაცის დაკვირვებული თვალით სწავლობდა იგი თანამოძმე მთიელთა ყოფას, მუდამ მოყვასთა გვერდით იდგა ჭირსა თუ ლხინში, არც ფეხონსა და ღრეობას გამოაკლდებოდა, თუ საჭირო იყო, თავისნილად შულღშიაც გამოიღებდა ხელს ("ხანდიხან შულღიც კაია, ვაჟკაცს თუ უძეს გულიო")...

შემოქმედთათვის დიდად სანიაზოა ხალხის აღიარება, დაფასება და სიყვარული.

უნდა ითქვას, რომ გაბრიელს, როგორც პოეტს, პატივითა და ყურადღებით ეპყრობოდა მთელი არხოტის თემი, ძმა-ბიძაშვილობა და მოკეთე-მეზობლობა. მის რჩევას ამა თუ იმ სასოფლო საკითხთან დაკავშირებით ანგარიშს უწევდა ხალხი. "...კამათიც ხშირად მოსდით ამლიონ-ახიელლებს: ამლელებისაა გაბრიელი თუ ახიელლების. ასეთია ჩემი დღე და სოფელი", — თვითირონიის კილოთი სწერდა პოეტი 1942 წლის მაისში თინა ოჩიაურს.

ამისდა მიუხედავად, გ.ჯაბუშანურის მწერლური მოღვაწეობის ნამდვილ ფასსა და მნიშვნელობას ერთეულები თუ ხვდებოდნენ იმჟამად, რაც, რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებდა მის გუნება-განწყობილებაზე და ხშირად აეჭვებდა თავის პოტენციურ შესაძლებლობებში.

მიწყივ თანმდევი სკეფსისის აბეზარი განცდა მოსვენებას უკარგავდა და არაიშვიათად უვლიდა საკუთარი ნაკალმევის ხელის ერთი მოსმით ცეცხლისთვის მიცემის შმაგი სურვილი (შემოქმედებითი გზის ადრეულ ეტაპზე, სახელდობრ, 1949 წელს, ლილლოში, სამწუხაროდ, ჩაუდენია კიდეც ეს. რამდენიმე ასეული ლექსისა და ბალადის გადასარჩენად "ზენას ბრძანებით" დანთებულ უჩვეულო კოცონთან ახლო გაბრიელს არავინ მიუშვია), მაგრამ ბოლომდე გაუბზარავ მის სულში ჟამითი-ჟამად იმედის იმგვარი სხივი გაკრთებოდა და აკიაფდებოდა, რომლის სამუდამოდ დაშრეტა აღარაფერს შეეძლო...

მეტისმეტი, შესაძლოა ხანდახან უსაფუძვლო და უნიადაგო, ერთი შეხედვით უბრალო, არადჩასაგდები დღიური წვრილმანებიდან აღმოცენებული გულისწყრომა თვითგამხნევებისთვის გამიზნულ ასეთ სტრიქონებს ბადებდა:

ცუბს ნუ ათსლოუბ ჟსამხთა ციქს

და ზოდნოეთა სანთლო საიღოს...

და იქნებ, გარკვეული აზრით, მართალიც იყო ცოცხალ ლიტერატურულ გარემოს თევობით და წლობით განმორებული პოეტი. ისიც უდავოა, რომ თავის შემოქმედებით ძალებში დაურსმუნებლობა მსგავს სტრიქონებს აგრე ადვილად ვერ დააცდენდა ბუნებით მოკრძალებულსა და უხინჯო, უზაკველი სულის კაცს...

არაფერია უცნაური და უჩვეულო იმაში, რომ განვლილი ცხოვრების --- "სანუთროს ყუნწს მონყვეტილი წლების" --- და საკუთარი პოეტური მონაგარის ღირებულებას დრო და დრო უნდოდ და აღმაცერად უყურებდა გ.ჯაბუშანური.

ინტენსიური ფიქრის, ძიებისა და შთაგონების შედეგად შობილი ლექსი არასდროს ჰგვრიდა მდგრადსა და წარუვალ სულიერ კმაყოფილებას, არ აძლევდა დამშვიდების საშუალებას. ადამიანური ტკივილით დამუხტული სტრიქონის გარეთ მუდამ რჩებოდა მხატვრულ სიტყვაში დაუტევნელი და მოუხელთებელი ხვაშიადი, შვება და სალმობა, დღემოკლე, ეფემერული სიხარული თუ კერპი და კემუტი მაცილივით აკვიატებული სევდა-მწუხარება.

"ყოველი პოეტური ფაქტი წარმოადგენს რაღაც იმაზე ნაკლებს, რისი მოცემაც ავტორს განზრახული ჰქონდა", -- ამბობს პოეტი ერთ დღიურში.

თვითდაეჭვების, უკმარობის, მიღწეულით გულუსრულობის, სიცოტავის, მოჩვენებითი (და არა სინამდვილეში არსებული!) სიცარიელის მტანჯველი განცდა მისი მწერლური ბიოგრაფიის განუყრელი, მოუცილებელი თანამგზავრია.

გაბრიელ ჯაბუშანური "შვიდფერი მუზის" მსახურთა იმ რჩეული ფრთის ღირსეული წარმომადგენელია, ვისთვისაც დაძლეული სიმალლე თავგამეტებული ღვნისა და მოუწყინარი შრომის მძლავრი სტიმულია და არა თვითკმაყოფილების, მოშვების, ავის მაცნე ნირვანის, პირადი გარჯით მომაკდინებელი ტკობის წინამავალი საფეხური...

მთაში ყოფნის წლებს ბერნად არ ჩაუვლიათ გ.ჯაბუშანურისთვის. მისი პოეზიის ბევრი კარგი ნიმუში სწორედ არხოტში, ღილღოსა და დარიალის ხეობაშია შექმნილი. მწყალობელი მუზა მუდამ მხარში ედგა; ხან სად წამოაწყდებოდა სათქმელი და ხან -- სად. აი, ლექსის -- "უცარი მოგონება" -- თავში მინანერი: "ზაფხულის ერთ მზიან დღეს წინალამით დაკარგულ ხარებს ვეძებდი არხოტის მთებში. უეცრად შენ მომაგონდი, ძვირფასო... და ეს სტრიქონები ბროლით სიბზე მივანერე იქვე. ახლა სადა ხარ, ჩემთვის სამუდამოდ დაკარგულ... ჰო, მართალია, ხარები კი ვიპოვნე!.."

გაბრიელის ხელნაწერ რეგულებში ლექსების ბოლოს ხშირია ამგვარი და მსგავსი მინაწერები: "დღე აულ ოლგეთში (ლილლო)"; "დილა ხამხის მინდორში"; "შუალამის მიღმა ასას ხეობაში, სათევზაოდ: მე, სამუკა, ხახონა"; "აული რკინისკრიანთა. ნახირში ყოფნისას. პირველი იების ხილვა"; "ქალაქს მივდივარ. ვნერ გზაზე. უმაღლესი წუხილი, მთვარიანი ღამე"; "ანდუზიტის საავადმყოფო"; "ღამე ლარსში. გრიგალი. უძილობა"; "ბინდბანდი მზისპირში. ხარებს ვეძებ" და ა.შ. მისი არაერთი სანარჩევო, საუკეთესო ლექსი ბუნების წიაღში განმარტოების ჟამსაა დაწერილი. ზოგი მათგანი სიბ ქვებზე ყოფილა ამოკანრული დანის წვერით და ბროლის ნატეხით...

პოეტის საარქივო მასალებში ნათლად ჩანს მისი შემოქმედებითი წრთობისა და აღმასვლის საფეხურებრივი პროცესი. ნებისმიერი სახისა და ხასიათის მასალა — იქნება ლექსი, პოემა, ბალადა, პროზაული ესკიზი, ნოველის მოკლე სიუჟეტური ქარგა, მინიატურა, მომავალი სამუშაოს წინასწარი მონახაზი, თარგმანი თუ სხვა — თარიღდასმულია. იქვეა მითითებული შესრულების ადგილი, და ზოგ შემთხვევაში, ავტორის სულიერი მდგომარეობაც (მეტწილად ნალვლიანი და მელანქოლიური). არქივში დაცულია ლაკონური ცნობები, საიდანაც ირკვევა რიგ პოეტურ ნაწარმოებთა შექმნის შინაგანი იმპულსი, მიზეზი და ისტორია...

ქარიან გზებს გაკიდებული ყარიბის მონოლოგად აღიქმება მთლიანობაში გ.ჯაბუშანურის პოეზია.

საცხოვრებელი ადგილის შეცვლას თან სდევდა განწყობილებათა უეცარი გრადაციები, რაც თავისებურ გამოძახილს პოულობდა მის შემოქმედებაში.

არხოტის მოსახლეობის დიდი ნაწილი, გარკვეული მიზეზების გამო, 1944 წელს ლილლოში ჩასახლდა... ახლოვდებოდა მამაპაპეული მიწა-წყლიდან ხეცურების გულსუნადინო აყრისა და ბარად დამკვიდრების უქმური ჟამი...

ლილლოში მობინადრე არხვატელებმა შემდგომ შირაქის ველებზე აიჩინეს მუდმივი ადგილ-სამყოფელი ("როგორც ქისტებმა, კარგა ხნის წინათ, — დატოვეს ლილლო არხოტელებმა"). გაიფანტა და განთვითეულდა ერთი ხეობის ხალხი. დაირღვა და დაიშალა თემის შინაგანი მთლიანობა. მანამდე "თოფით, ხმლითა და ისრით გამაგრებულ "არხოტის იწრო ხეებს" მდუმარების უღმობელმა ტალღამ გადაუარა. შამბმა და ჟალტამმა გადაფარა გზა-ბილიკები. ლექსისა და ლეგენდის მხარეს ძნელბედობის დრო დაუდგა. "დაიქცნენ ძველი ბურჯების ბჭენი". ჩახოლებულ ნასახლარებზე დიყმა და ჭინჭარმა აიყარა ტანი. თითო-ოროლა მეკომურილა შერჩა ამლას, ჭიმლას და ახიელას (არხოტის სევდამრეტილი ყოფის ელდისმომგვრელი ხატია მო-

ცემული ანა კალანდაძის ერთ მშვენიერ ლექსში. აი, ამ უამური სა-
ხილველის მცირე ფრაგმენტი: "ჭიმლის კლდეს ეშმა ბინადრობს, ტი-
რის, დაეძებს გაბურებს, ხას დიყ-ჟალტამში გორაობს, ხანაც ნყალს
შეაჩქაფუნებს...").

გარდუვალი აუცილებლობით განპირობებული ცხოვრებისეული
მოვლენები მხატვრულ სიტყვაში განსხეულებას, ლექსის ენაზე
ამეტყველებას საჭიროებდა. ისტორიული კანონზომიერების მკაც-
რი ლოგიკით ნაკარნახევ ძირეულ ძვრებსა და ცვლილებებს მემატი-
ანის ფხიზელი თვალი და ყური უნდა დადგომოდა დარაჯად.

"დავწერ: არხოტის ჯვარი, არხოტის დილა. არხოტელები წინათ და
ახლა. როგორ შემოვიდა ზაკვა ბარიდან და როგორ შერყვნა ხატი და
ხალხი ("შიბ განყდა, ცისკენ წავიდა, წიოდა, როგორც გველიო...").

1962 წლის 2 ნოემბრით დათარიღებულ დღიურში ჩართული ამ
ჩანაფიქრის ლექსად ქცევა გაბრიელს აღარ დასცალდა. განზრახვა
რომ სისრულეში მოეყვანა, ალბათ ეს იქნებოდა ხეცსურეთის მიკრო-
ხატად ნაგულები არხოტის უტყუარი პოეტური მატიაწე, საქართ-
ველოს მთაში იმხანად მიმდინარე თუ უკვე ჩაელილი საბედისწერო
პროცესების მხატვრული უკუფენა, სადაც მწკეპრი ზარივით გაიხ-
მიანებდა დანრეტის ყუნწზე მინურული კუთხის უმთავრესი და
უპირველესი სატკივარი...

მჭმუნვარე ხმებისა და ქუში ფერების მოხშირება გაბრიელ ჯაბუ-
შანურის პოეზიაში, სხვასთან ერთად, არხოტის მაშინდელი სინამდ-
ვილის სავალალო მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. წინაპარ-
თა სამკვიდრებლის მოშლამ, სათვისტომოსთან გაყრამ, ადვილად
ვერგასამატებელი პოხიერი ნააკვნარის მიტოვებამ ტრაგიკული
ჟღერადობა შემატა მის ლექსს:

მე წინანდელი წებიალით მაძქს საესე ყუტრში,

აბ მერქობჟა აწინდელი ზათფი და ზიტწუ.

ჩემიფე სიყბის სამცთოელში გაიყუტრში,

მე წინანდელი წებიალით მაძქს საესე ყუტრში...

ბარის შემპარავი ბანგი და თილისმა თავისკენ ეძახდა და ეწეოდა
პოეტს. უკან რჩებოდა და თვალს ეფარებოდა ორბისფერი მთა —
"ლექსის ხემსი და ხავეინი". ნოსტალგიური სინანულის სახმილი ახლ-
და არხოტსა და ლილლოში გაღეული ტკბილ-მწარე წლების გახსენე-
ბას. არ იყო იოლი იდუმალი ჯადოთი გარემოცულ მშობლიურ გარე-
მოსთან სამუდამო დამშვიდობება... "ხომ ამდენი ხანი ველოდი იმ
დღეს, როცა მე თბილისისკენ ვიბრუნებდი პირს, მაგრამ ეხლა მაინც
რალაც სევდა მეუფლება, როცა ამ ცხრა წლის განდგომის შემდეგ მე

ისევ თბილისს უნდა დავუბრუნდე და მივატოვო ეს დასაქცევი მთე-
ბი. რალაც ყრუ სინანულის მსგავსი განცდა ეპარება სულს და მიბნე-
დილად რეკს რომელიღაც მინორული სიმი" (პირადი წერილიდან.
29.VII.1949).

ამ სიტყვების დაწერიდან ერთი ათეული წელი გადის და გაბრიე-
ლი ისევ მთაშია. წუთისოფლის თვითნებური, განუკითხავი დინება
დაუნდობლად ამსხვრევს და მუსრავს მისი ოცნების სრა-სასახლე-
ებს. ცდილობს, როგორმე დაიხსნას თავი ცადაწვდილი გოლიათების
ხანგრძლივი "ტყვეობიდან" და კულტურულ-ინტელექტუალური
ცხოვრების კერას — თბილისს დაუბრუნდეს, მაგრამ სურვილს
ჯერჯერობით ახდენა არ უნერია და მის სამომავლო გზას ნისლის
მკვრივი კედელი ფარავს.

რამდენიმე ხანს ისევ "ლილოს მღვრიე ცასთან" საუბრობს, ხო-
ლო შემდეგ დარიალის ხეობაში, მქუხარე თერგის ნაპირას, სოფელ
ლარსში მოუწევს დროებითი დაბინავება.

მარადმედიანი დროის მღელვარე ტალღამ საქართველოს სამხედ-
რო გზის სიახლოვეს შეაჩერა და შეაყოვნა ბედისწერის ფრთას მინ-
დობილი გ.ჯაბუშანურის ოცნების ნავი...

"30 ივლისს უკანასკნელად დავთვერი ხამხში (ლილო), — წერდა
პოეტი 1961 წლის 17 აგვისტოს, — ხანჯლით ვეტიე მეზობელს და 31
ივლისს, ალბათ სამუდამოდ, მივატოვე ლილო... რალა დამრჩა
ლილოში? — ბევრი კარგი მოგონება, იქ დაწერილი ბევრი ლექსი,
პოემა, ბალადა... ბევრი სევდა, ტანჯვა, წამება... ლილოს დამრჩა:
დედის, მამის, ლეოს და მზექალის საფლავები... ეჰ, მიდის და მიდის
ეს წყეული ჟამი... გადავცდი ჩემი ცხოვრების შუადღეს".

ლილოს მიწას მიაბარა გ.ჯაბუშანურმა მშობლები, ძმა, ბიძა და
მზექალი...

უძვირფასესი ხალხის მოსაკლისება წარმავლობის მწარე განც-
დიდან აღმოცენებულ წუხილთან დაწყვილდა:

აღარც მიძა მცაჲს,
აღარც ბძა,
არც მძბა,
არცა მძმძელი,
მგოქლიც სენმა დასაბჯა, —
უმიჯნა მგო და სთოელი.
ლილოს მიწადი სოთიუქ
წოუს ნათოლგაუკარბი.
ღაბუქ თლოღნი უთოუენ
და ლოქითა ჩუბთა უკარბი...

მეტი დაბნელება მოქმედებს, —
სიბერით და მატყვით
და სიბერით დაბნელება
ლატვიის კლდეებთან დაუკნობი.

სიკვდილის ცელით "ჩათიბულ" ახლობელთა აზრდობებთან ლექ-
სად გასაუბრება ცოტათი თუ ანელებს მგრძნობიარე გულზე მძიმე
ჯანდად დანაოლილ მწუხარებას. ბედის ბორბლის უკუღმა ტრიალს
ლექსიც შესაფერისი სდევს თან.

სიბერით სიკვდილი ბუნების წესია, და ამდენად, კანონზომიერი
მოვლენა; ახალბედა ქალ-ვაჟის სამზეოსთან გაყრა — განგების დი-
დი უსამართლობა...

პოეტი ბევრს ფიქრობს ყოფნა-არყოფნის მარადიულ დილემაზე,
ადამიანური არსებობის საზრისზე, ამქვეყნად მოსვლის აზრსა და
მიზანზე, იკვლევს ნიადაგი ტანჯვა-სალმობის ძირსა და მიზეზს, სი-
ნაწულით იხსენებს იმქვეყნად წასულთ და მთვარის შუქით განათე-
ბული "სასაფლაოს თეთრი მალღობი" სისხლმდინარე ჭრილობად
ჩრება მის ფაქიზ სულში.

სიჭაბუკის ხანად მზის "სხივთა მერცხლებზე" ლაღად მომღე-
რალს ახლა თანდათან ნალველი ეძალება, სიცოცხლის მიმწუხრს
"შუბლზე ნაოჭთა მდაღავ ბანდულით" ხედება და ღორღიანი გზე-
ბისგან დაღლილი, ნანამები და ჯანგატეხილი ისევ და ისევ სიტყვის
საღბუნით ცდილობს "სიბერის ბაბრის" მოგერიებას, აღსასრულის
დღის განზე განევას, გახანგრძლივებას...

"ეზივარ და ემუშაობ. ხალხში გასვლა არ მაინტერესებს. ვერა-
ფერ საინტერესოს აქ ფეხონში ვერ გაიგონებ. მხოლოდ წერილმანზე
და ციგნობაზე ლაპარაკობენ. რა შედარებაა ხამხთან" (პირადი
წერილიდან. 25.XI.1961. ს.ლარსი).

ციცქა ჯაბუშანურისადმი ლარსიდან გაგზავნილ ერთ უთარილო
ბარათში ვკითხულობთ: "...ნუ იფიქრებ, რომ გავლოთდი. ბევრს ემუ-
შაობ და ცოლი მიშლის კიდევ: არ გამიგიჟდეთ. ხარი ვარ, ავიტან!..."

წერილშვილის მამა ციცქა ჯაბუშანური დღენიადაგ ფიქრობს და
ზრუნავს უფროსი ძმის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე,
თუმცა მატერიალური მდგომარეობის მხრივ თვითონ უარეს დღეში
მყოფს არაფრით შეუძლია მისთვის პრაქტიკული დახმარების განე-
ვა, ხელის გამართვა, ჭირში შეშველება.

ურთიერთმონატრების თბილი ინტიმიტაა გამსჭვალული ძმათა
კერძო მიმოწერა... ორივესთვის ძნელი და მძიმეა "სიშორის სიმწა-
რის კვნეტა".

მოუნელებელ ტკივილად გასდევს ციცქასა და გაბრიელის წერი-
ლებს ავაზაკებისგან ფულის გატაცების განზრახვით მათი ჭაღმაჯი

ბიძის გიორგი ჯაბუშანურის ვერაგული მკვლელობის ამბავი... იწყება სიარული საკანონმდებლო ორგანოებში, საჩივრის ქაღალდებისა და განცხადებების გზავნა პერვომაისკის პროკურორთან, გამომძიებელთან... ოფიციალურ პირთა გულგრილობის გამო სულმდაბალ მკვლელთა კვალის პოვნა ვერ ხერხდება. ეს ვითარება უაღრესად ამწარებს, აშფოთებს და აფორიაქებს თავსდატეხილი უბედურებით გაოგნებულ ძმებს. შურისგება თუ გაანელებს გულის "მშანთავ ცეცხლს", მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ მთავრდება და წყლულს წყლული ესართება...

ამოუღეველია გაბრიელის წილკერძი სანუთროს სენ-სამსალით სავსე ფიალა. როგორც თვითონ ამბობს, "სიკვდილი აღარ სცილდება ზღურბლიდან".

"29 აპრილს სოფელ ლარსში, ჩემი ლილლოში ყოფნის დროს, მომიკვდა დედა. გულში დამრჩა უზარმაზარი და ამოუვსები სიცარიელე... ვერ გაიხარა ჩემს ხელში დედამ (ვერც მამამ — სანყალმა!) — ვერ დავუფასე ამაგი, — ვერც დედას და ვერც მამას... თვით მეც ხომ მარად გაუხარელი ვიყავი და ვარ ახლაც" (დღიურიდან. 6.VI.1961).

გარდაცვლილი დედის ჩაუმქრალი ხატება ხშირად გაკრთება გ.ჯაბუშანურის ბოლოდროინდელ ლექსებში. ჭრელი ცხოვრების ორომტრიალით ნაგვემი პოეტის ხმაში მინორული ნოტი იჭრება. მშობლის წმინდა ლანდთან ცალფა დიალოგს დრამატული ინტონაცია ავსებს:

ღეღი, ჟისჩნობი,

შეშეშე მუნს მეფი

ქუყნად ბე-კაცი აბ მეტელჟმა.

უხარულ გოგის მგზავრი მესდელი,

მთლი სამგჟოს და მიტალბე...

ნიკა აგიაშვილი იგონებს: "1959 წლის 5 მაისს გაბრიელი "დროშის" რედაქციაში ძალზე სევდიანი და მწუხარე მოვიდა, თანაც ზარხოშად იყო. ვუსაყვედურე. — აბა, რაი ვქნა, ჩემო ნიკალო, მომწყინდა ეს სიცოცხლე. მე ხევსური ვარ, აბა, რა გავაკეთე. პირველ წიგნებს ვერ გავცილდი. მე რა პოეტი ვარ, სიცოცხლე არად მიღირსო. ახლა ერთი დიდი საქმე მიძს გასაკეთებელი ხევსურთა სასიკეთოდ, ამას რომ მოვრჩები, შენ მიიღებ უტყუარ ცნობას, შენმა უნცრუთ გაბრიელმა თავი მოიკლა და შავეთში გადასახლდაო, გამომემშვიდობა და წავიდა.

ხევსური იყო და შიშით ველოდი, სიტყვას არ გასტყვს-მეთქი. მაგრამ მერე, საბედნიეროდ, მისი წერილი მომივიდა, სადაც დეპეშა-

სავით მარტოოდენ ექვსი სიტყვა ეწერა: "ნიკალო, მომლოცე, ცალი შევირთე, სარა მეზერიშვილი".

მერე ის სარა იყო მისი დიდი მოამბე, მზრუნველი და ჭირისუფალი: მოახერხა პოეტის გადმოსვლა თბილისში, შეუქმნა მყუდრო და თბილი ოჯახი. როგორც მოყვარული მეუღლე, დედა, ნამდვილი ერთგული დაი და უახლოესი მეგობარი, დღენიადაგ ბავშვებით უვლიდა და თავს დაჰკანკალებდა მას და სიკვდილის შემდეგაც მან უპატრონა სახელოვანი ქმრის უამრავ, მრავალფეროვან ხელნაწერ ნაწარმოებებს..."

ლვოისნიერ გულშემატკივართა წყალობით, როგორც იქნა, 1962 წელს გაბრიელ ჯაბუშანური თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. ფერმიხდილი და ჯანდალეული მარცხ-ფათერაკებით აღსავსე ხეტი-აღს მორჩა და თავი საკუთარ ქერქებში დაიგულა... მანამდე კი მეგობარ მწერალსა და ნათლიმამას გიორგი ქავთარაძეს ლარსიდან მემდეგს უთვლიდა: "ჩემო კარგო გოგი, შენ და ნათლიდედა თუ შემოიხვევით, მოცლის დროს, სადმე მანდ, ახლომახლო მეზობლებში ჭოიკითხავდით, იქნებ ვიშოვნოდი ჩემთვის თავშესაფარს. სახლის პატრონმა უნდა იცოდეს: ხასიათი მშვიდი მაქვს (რა თქმა უნდა, თუ გალმიდან არ გამაბრაზეს!), სასმელს აღარ ვსვამ, თავი დავანებე, მხოლოდ ერთი უცნაურობა მახლავს და ამას უნდა გაუძლოს: რაიმე რეჟიმი ჩემთვის არ არსებობს: ხან შეიძლება კითხვაში ან წერაში თავს დამათენდეს, ხან შუალამისას ან რიურაჟის წინ ავდგე და მუშაობა დავიწყო, ხანაც შუადღემდე ვიწვე; ხანდახან ოთახში მარტო დასაძინებლად მოვალ, ხან მთელი დღეები, შესაძლებელია, ოთახიდან არ გამოვიდე, ვიჯდე და ვიმუშაო..."

თბილისში დამკვიდრება ახალი შემოქმედებითი პორიზონტის გაჩენას მოასწავებდა ჯ.ჯაბუშანურის მწერლურ ბიოგრაფიაში. "ცხოვრების შუადღეს" მიღწეული პოეტი დინჯი და დაჯერებული ნაბიჯით შუეყვა ერგასის მიღმა გატყორცნილ აღმართს... კარგახნის სამყოფი სულიერი საგზალი წამოჰყვა "დასაქცევი" მთებიდან... განცდილისა და წაკითხულის ბუნებრივი სირთები უნდა დასდებოდა ლიბუდ და საფანლად ადრინდელზე უკეთესი ლექსების შექმნას.

მისი სამუშაო ოთახის პატარა, გისოსებიანი სარკმლიდან მხარგაშლილი ქალაქის მტკავლისტოლა მონაკვეთი მოჩანდა მხოლოდ, ხოლო ხილული ხედების იქით ვრცელსა და გარშემოუნერელ სამყაროს ჭერეტდა პოეტის თვალი:

მე ქუთუთიუმს უსაუფაო თითუბით,
ბომ არ დამისცეს თუალთა ძეგლები...
ღიღი საბ!

ღმერთსაც ნუ, ედიოქი!

მყრთ ხატ!

ღმერთსაც ნუ, ემყრები!..

მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში თბილისზე შექმნილ ლექსებს შორის "სარკმლიდან: — თბილისი ღამით" ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია როგორც აღმავალი ექსპრესიის წიაღ გამოღავებული მხატვრული ოსტატობის, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

არხოტი და თბილისი იყო ის ორი ძირითადი პოლუსი, თითქმის თანაბარი ძალით რომ იზიდავდნენ პოეტის არსებას. შინაგანი ხმა და მოწოდება მთიდან ბარისკენ ახედებდა და პირიქით — ხმაურია-ნი ქალაქის ლექი, ლიქნა და უთავბოლო გზიასი პირველქმნილი ბუნების უშფოთველ საუფლოს მოანატრებდა ხოლმე.

გ.ჯაბუშანურმა ღირსსაცოდნელი ლექსები უძღვნა თბილისური დღისა თუ ღამის განუმეორებელ მშვენებას. მის თვალსა და სმენას შთაგონებით ავსებდა და აფხიზლებდა "ყაყაჩოების ცეცხლით" განათებული მთაწმინდის კალთა, რუსთაველის მზიანი გამზირი, "მძინარე ქალაქში" მატარებლის შორეული "კივილი"... მამულისადმი, კერძოდ კი, თბილისისადმი მიძღვნილ გ.ჯაბუშანურის ლექსებში აროდეს შეპარულა უსაგნო, ლიტონი პათეტიკა. პატრიოტული ლირიკის ყალბი იარლიყით ნაღდ პოეზიად გასაღებული "ვაშა-ტაშის ურალექსები" მას ჩაღად უღირდა. გ.ჯაბუშანური ორგანულად განიცდიდა მრავალჭირნახადი ქალაქის ისტორიულ წარსულს, თანადროული ცხოვრების ავ-კარგს, გულით შეხაროდა მის იმედიან მერმისს და სპეტაკ სტრიქონში ამხელდა ფიქრსა და გულისტქმას.

თბილისში გ.ჯაბუშანურმა ინტენსიურად დაიწყო მთარგმნელობითი მუშაობა. მის პირად არქივში დაცულ ხელნაწერთა გაცნობა ცხადყოფს, როგორ გულმოდგინედ ეკიდებოდა სათარგმნად არჩეულ ავტორთა ქართულ ენაზე ამეტყველების ურთულეს საქმეს.

"ვთარგმნიდი მხოლოდ და მხოლოდ იმას, რაც მომწონდა და რომ არ მეთარგმნა, არ შემეძლო. მათ დაბეჭდვაზე არც მიფიქრია. ახლა კი, როცა თარგმანები ერთად გადავწერე და თანაც გავაშალაშინე, ვფიქრობ, შეიძლება მათგან ამოირჩეს რამდენიმე ფორმიანი წიგნის შესადგენი მასალა" (პირადი წერილიდან).

პოეტის ეს განზრახვა ხორცშეუსხმელი დარჩა.

გ.ლევონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში ინახება პუშკინის, ბლოკის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ბუნინის, ლერმონტოვის, ლუკონინის, პასტერნაკის, ტიხონოვის, ახმატოვას, ესენინის, თაგორის, გამზათოვის, მარტინოვის, სოლოგუბის და სხვათა ლექსების გ.ჯაბუშანურისეული თარგმანები.

საგულისხმოა, რომ გაბრიელმა მოლიანად თარგმნა დალესტნის სახალხო პოეტის რასულ გამზათოვის ნიგნი "მაღალი ვარსკვლავები", რისთვისაც ავტორმა 1963 წელს ლენინური პრემია მიიღო. ხსენებული ნიგნის თარგმანი სასურველ დონეზე დგას და მიახლოებითი სიზუსტით გადმოსცემს რ.გამზათოვის "გულწრფელი და ვაჟკაციური" პოეზიისთვის ნიშანდობლივ მელოდიურობასა და კოლორიტულობას, გაჯერებულს ხალხური სიბრძნის სინათლით...

პასუხისმგებლობისა და თვითმომთხოვნელობის უაღრესად გაზრდილი და გამძაფრებული გრძნობა იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ გ.ჯაბუშაძეს მაინცდამაინც დიდად არაეინ შეუწუხებია მის მიერ კეთილსინდისიერად შესრულებული თარგმანების გამოქვეყნების თაობაზე თხოვნითა თუ მოთხოვნით.

"რჯულზე უმტკიცეს" ჩვევად ქცეული რიდი და თავმდაბლობა რომ არა, გაბრიელის ცხოვრება თბილისში უკეთ აენწყობდა და წარიმართებოდა; რასაკვირველია, არც ნიგნების გამოცემა გაუჭიანურდებოდა აგრერიგად. პოეზიაში მჭევრსა და რიხიანს პირად ურთიერთობებში სითამამე და გამბედაობა აქლდა; ეკრძალებოდა კერძო საქმეზე თანამდებობის პირთა მენუხება. დიდი სურვილისდა მიუხედავად, ვერც თავისიანებს ეხმარებოდა პრაქტიკული საკითხების მოგვარებაში, რისთვისაც ხშირად გმობდა, ტუქსავდა და ემდუროდა თავის თავს... თანაგრძნობის აღმძვრელია უფროსი ძმისწულის უსწავლელობის გამო მისი ნუხილი და პირადი უმწეობის აღიარება თბილისიდან ციციქასადმი გაგზავნილ წერილში: "გული მეტკინა კვირიას ყიზლარში წასვლაზე. ავახ, ცხოვრება! რა კარგი ბიჭი ცდება სწავლას. გინება დაუწუყე თავის თავს, რომ არაფერი შემოიძლია ამ დაბერებულ კაცს, ჩემიანს ვერ ვეხმარები და ცხოვრებაში ფეხი ვერ მოვიკიდე" (21.X.1963).

სამომავლო გეგმებსა და რეალურ სინამდვილეს შორის გაჩენილი ბზარი დღითიდღე იზრდება. არსებულის შეცვლა, გარდაქმნა და მოვლენების ნებისამებრ შეტრიალება უკვე შეუძლებელია. მყარი ცხოვრებისეული საკრდენის უქონლობის შეგრძნება უმოწყალოდ აშთობს ფრთამაღი ოცნების ჭრელთვალა ყვავილებს. ოდინდელი ჰარმონიის აღდგენაზე ფიქრი ფუჭი და უსარგებლოა. გამოვლილ გზას, თუმც ღრმად აჩნია მისი „ლურჯაის ნატოტარები“, მაინც უნუგეშო დარდის ნაგრილი ადგას. "იფელი კი არა მარტოდენ ბრეა აქამდე ნაქმნი და ნაჯაფარიო", — ამბობს და სიზმარულ ჩვენებათა ტყვეს ამქვეყნიური ყოფა არარაობად უჩანს... არის მის ბიოგრაფიაში ამგვარი განწყობილების პერიოდები და არცთუ იშვიათად.. მატერიალური ქონების მინიმუმი ჰყოფნის, განცხრომასა და ფუფუნებაზე ოცნებაც ზედმეტია. არ გახლავთ იმ ყაიდის კაცი, შემოქმედე-

ბისტვის საშური დრო და ენერგია კომფორტზე ზრუნვას შეაღიოს, პოეზიის წმინდა საესავს უტილიტარული ინტერესები ანაცვალოს... ლადო ასათიანის არ იყო, "პურის ნატეხი და ერთი ლიტრა ლვინო" მისტვისაც დიდი სიმდიდრეა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საწუთროს სტუმრად მოვლენილი ადამიანი გველის მჭამელის "ახირებული" პრინციპებით ვერ იხელმძღვანელებს. მისი ფიზიკური არსებობისთვის აუცილებელია სითბო (ხის ჭრა) და ხემსი (ნადირის ხოცვა).

გაბრიელს ძალზე უჭირს ეკონომიურად; არსად მსახურობს, მეუღლის ყოველთვიური ხელფასი კი ქალაქში მცხოვრები ოჯახისთვის ერთობ ცოტაა...

კრძალვისა და თავმოყვარეობის რა შინაგანი ბარიერი უნდა გადაელახა პოეტს, რომ საქლიტფონდის დირექტორის სახელზე შემდეგი განცხადება დაენერა: "დუშეთის რაიონში საზამთროდ დავამზადებინე შეშა. არავითარი სახსარი არა მაქვს, რომ აღნიშნული შეშის დამზადებისა და ჩამოტანის საფასური გადავიხადო. დაბეჯითებით გთხოვთ, დამეხმაროთ, რათა ზამთარში უშემოდ არ დავრჩე. შეშის დამზადებისა და ჩამოტანის ხარჯი შეადგენს ორმოცდაათ (50) მანეთს" (18.IX.1964).

გ.ჯაბუშანური არ ყოფილა წერილმანებზე მოწუნუნე ადამიანი. თანაგრძნობის სიტყვა, ყურადღება და შემხვედრის ლიმილიანი შემოხედვაც ფასდაუდებელი განძი იყო მისტვის... არ ჰყვარებია ფუყე ხმაური და იაფფასიანი ტაში. უმნიშვნელოს მოითხოვდა თანამოდმეთაგან: "სანამ თან გყავართ, მომიარეთ და დამაფასეთ. რა არის ჩემთვის დაფასება? უბრალო რამ: მცირეოდენი ყურადღება და თბილი სიტყვა. თუ ამას არ იქმთ, ნულა ვიპ იქმთ, როცა მოვეკდები. ნუ იტყვით, ხელი რატომ არავინ გაფუნოდეთო. მე ხომ მცირე რამ მსურდა თქვენგან სიცოცხლის ხანად" (ლილლო. სოფ. მზისპირი. 22.I.1960).

გარსმყოფთა განურჩეველი სიცივითა და უსულგულობით შემსჭვალული პოეტის ეს სატიკივარი მერე ლექსადაც ითქვა:

სანამ თან გყავართ ამ ძეყანად, —

დამათასოთ და მიცანით,

მიმიჯნეთ ჭირის აჟ ყელას,

მაძირეთ მჭრის თიწალი...

ჩარგლის მთებში მძიმე ფიზიკური შრომით წელში გატეხილი, უიმედობაშეყრილი და ყოველმხრივ დაძაბუნებული ვაჟა-ფშაველაც ხომ დაახლოებით ასეთსავე პირად ტკივილს უმხელდა და უზიარებდა ერთ კერძო ბარათში მარიამ დემურიას: ბევრი არცრა სოფელს ვარგე, შვილები უსწავლელები მრჩება, მეყოფა ამდენი ძალღუმაღური ცხოვრება, საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნ-

და მიპატრონოსო...

და დღეს ნიშანდობლივად გვესახება ისიც, რომ "მთელი ხმელეთის ბადალ" ვაჟას და მისდარადვე ფხოვის პოხიერ მინაზე ნაშობ უნცრუთ გაბრიელს, ერთ ასაკში უნიათ სიკვდილმა 54 წელს ვერც ერთმა ვერ გადააბიჯა...

... "ნამების მწარე სამხარს" სთავაზობდა მუხთალი სანუთრო... სვამდა გაბრიელი... სვამდა, რათა მოჩვენებითი სიმშვიდის ფარი ეფარებინა წერა-მწერლისგან დაღიერებული შიშველი სატყეარისთვის... მარტივად განმსჯელ ქილიკთა თვალისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა მისი მართალი პოეზიის სიღრმე და სიმაღლე... პოეტის დამოკიდებულებაც ინდიფერენტული იყო არამკითხე "მოჭირხმიადე-თა" მიმართ.

გაცილებით მარჯვე და იოლია "პილატეს ცრემლის" ცთუნებას აყოლილ შემოქმედთა განკითხვა და დამუნათება, ვიდრე მათი ამგვარი მდგომარეობის გამომწვევი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების მიკვლევა და გარკვევა...

გაბრიელს ჰქონდა რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში თავაულებელი მუშაობის უნარი და მისთვის ახლობელ-მეგობართა წრეში სერობა ერთგვარი შესვენების საშუალება უფრო იყო, სანამ უსაზმნო, წრეგადასული ღრეობა ("ათასში ერთხელ მომინევს თრობა, სხვა დროს კი შენთვის ნალველი მთანგავს...").

პოეტის მშობლიურ კუთხეში რიგიანი სტუმარმასპინძლობა ადამიანური ღირსების ერთ უმთავრეს კრიტერიუმად ითვლებოდა ოდითგან... წინაპართა წეს-ჩვეულებას ვერც თბილისში უგანებდა პოეტი... არ შეგვიძლია, არ მოვიტანოთ მცირე ფრაგმენტი გიორგი გიგაურისადმი გაგზავნილი გაბრიელის ერთი ბარათიდან, სადაც შესანიშნავად ჩანს მისი ხასიათის სანიშნო დეტალი: "...ფხიზელს, — სასმელს წარიდებულს, — სმა არ მინდა, მაგრამ ჩემი ქალაქში ცხოვრება ისე მოენყო, რომ სხვაფრივ არ ხერხდება. ყოველდღე ვინმეა ჩემთან: ძმა, მეგობარი, ნათესავი თუ სხვა. ძალაუწებურად გიხდება კაცს, მასპინძლის ვალი შეასრულო, რადგან "თუ მასპინძელი არა სვამს, სტუმარსაც მაენყინება" (I.XII.1964).

გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე "ჩვენთაობელთა" "უფროსი ძმის, კეთილი მრჩეველისა და გულითადი მეგობრის" ნიკა აგიაშვილის თხოვნით გაბრიელ ჯაბუშანურმა დაწერა "მოგონებათა ფურცლები".

ვრცელ წერილში "მწერლობაში მოვიდნენ მირზა და ლადო" (გამოქვეყნდა 1982 წელს "ლიტერატურის მატრიანეში"). პოეტი იგონებს იმ წრესა და გარემოს, სადაც ყოველდღიური ყოფნა და მეგობრული ურთიერთობა უხდებოდა თანათაობელ მწერლებთან...

გაბრიელს წილად ერგო, მხურვალედ დაეტირებინა ქართული პოეზიის სადროშოდან სიჭაბუკის ასაკში წასული თანამოქალმენი: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია... 1968 წლის მიწურულს თავადაც მათი ბედი გაიზიარა და დიდუბის პანთეონში პპოვა სამუდამო განსასვენებელი...

პირქუფრი იყო გ.ჯაბუშანურის სიცოცხლის ბოლო წლები. ბავშვობიდან დაყოლილმა ჯანსუსტობამ მთელი თავისი სისასტიკით იჩინა თავი მისი სიჭარმაგის გადასახელებზე... საავადმყოფოს მკრთალი კედლების ზაფრა და სიცივე ჩაუსახლდა სულსა და სხეულში. სასიკვდილოდ გადაგებულ "საპყართა" კვნესა ძილსა და მოსვენებას უკარგავდა... ემძიმებოდა შეურიგალ ბედთან შეგუება... გამომჯობინების პირი არ უჩანდა. მაინც არ კარგავდა მსახვრალი სენისგან განკურნების იმედს... "მიღმა სამყაროსკენ" მიდრეკილი თავს ისევ ლექსით იმხნევებდა:

აქ დღე და ღამე ატყთონის ძიძი
სააყარ აყადმყოფთ მგლისებრ აღმუკლუმს,
მუნ კი, თუ მთვრალს სიქსუტის ჯიძი,
სენი ურბ დაცისნის თიქტუმს აღმუკლუმს...

ულმობელი სალმობისგან გასაგათებული გაბრიელი საავადმყოფოდან სახლში გადაიყვანეს... უძლური და უსუსური გამოდგა ყველა წამალი...

მწოლიარე ავადმყოფს ყოველდღე ნახულობდნენ და ღამეებს უთევდნენ მეგობარი მწერლები, ნათესავები, თბილისში მყოფი ხევსური ახალგაზრდები...

1968 წლის 23 დეკემბერს დასრულდა მისი ფიზიკური არსებობა...

წავიდა და ამქვეყნად დატოვა უმნიკვლო, ალალ-მართალი კაცის სახელი, პირადი ღირსების ჯუფთი და ბადალი პოეზია...

მხატვრული სიტყვის წრთვნასა და წრთობაში გალია წუთისოფელი, უხმაურო და აზრიანი ცხოვრება. დიდი თვითგვემისა და რუდუნების ფასად შექმნა "წუხილის, მოკრძალებისა და თრთოლვის წიგნი". უშურველად და უშელავათოდ ხარჯა შემოქმედებითი ძალა და ენერგია. მაინც მუდამ უკმაყოფილო იყო საკუთარი ნაღვან-ნაამაგარიტ.

ლექსისადმი ფანატიკურ ერთგულებასა და უღალატო სამსახურში სანთელივით დადნა და დაიღვენთა გ.ჯაბუშანურის ბედუკეთური, ნატანჯი სიცოცხლე... მას სწამდა, რომ "სიტყვას ტკივილი მოეთხოვება, — ტკივილს და მარტვილს ინახავს ხალხი", რომ "ტანჯვა სიხარულზე არის ასგზის ჭეშმარიტი" და ამიტომაც, ცხოვრებისმიერი ბალღამით გულგასენილი არასდროს გადგომია განზე თავსმოვ-

ლენილ ქირსა და უსვეობას.

პატარა ნანყვეტი პოეტის კერძო წერილიდან: "დიდი ტკივილის გარეშე ჭეშმარიტი ნანარმოები იშვიათად თუ იქმნება, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ მწერალი ყოველთვის ჯვარზე გაკრული იყოს (სიხარულიც ერთგვარი ტკივილია!)"...

გ.ჯაბუშანურმა პირადი გამოცდილებით იცოდა: "ყველასათვის სანიაზო და სასიამოვნოა გატკეპნილი გზით სიარული, ხელოვნათა, მეცნიერთა და მოაზროვნეთათვის კი არა" (დღიურიდან. 29.XI.1948). ასეთი იყო მისი მწერლური მრწამსი და პოეტური პრაქტიკის ქვაკუთხედი.

პოეტის "სათავისო" ჩანაწერებში ეკითხულობთ: "დავწერ: ყვავილებს ვყიდი. სხვებიც ყიდიან. სხვები კარგად ასალებენ, მე კი იშვიათად მყავს მყიდველი, თუმცა ჩემი ყვავილები სხვებისაზე ნაკლები არ არის. რაშია საქმე? მე არ ვყვირი, არ ვაქებ ჩემს საქონელს. ხელში მიჭირავს ყვავილები და მუნჯად ვთავაზობ მსურველთ. სხვები კი გამვლელებს კალთებს აგლეჯენ და ყელის ძარღვებს იგლეჯენ თავისი ყვავილების ქებით. მათ სხვა ვილაცეებიც ეხმარებიან და ამიტომ მეტი მუშტარი ჰყავთ. ჩემგან იშვიათად თუ ვინმე იყიდის თაიგულს, მაგრამ ეს ხალხი ძალიან მახარებს. მათ ესმით ყვავილების ფასი"

გამჭვირვალეა ნათქვამის ქვეტექსტი.

არხოტის მთებში თვალგახელილი ველური ყვავილების თაიგულივით ფერმრავალია გ.ჯაბუშანურის პოეზია; ფერმრავალი და შინაარსიანი...

"ძალიან მიყვარს გაბრიელ ჯაბუშანური, როგორც კაცი და როგორც პოეტი", — თქვა თავის დროზე ერთ ინტერვიუში კონსტანტინე გამსახურდიამ.

ქართული სიტყვის დიდოსტატისგან ამგვარი აღიარება ცოტას არ ნიშნავს.

* * *

1940 წელს გამოვიდა "არაგვიანი", რომელიც, გიორგი კალანდაძის სიტყვით, "ბუნებრივი პრელუდიაა გაბრიელ ჯაბუშანურის მთელი შემდგომი შემოქმედებისა".

ამას მოჰყვა ლექსების, ბალადებისა და პოემების კრებულები: "ლექსები", "ნათელი მთაში", "პატარა მთიელები", "მზეთა ქვეყანა", "მაღალი მთვარე", "სიმღერა გაგა ნაროზაულზე", "ჩრდილი და მზეარე", "მოკრძალება", "რჩეული".

პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა: "დიდი მზე", "სიმღერა არწივებზე", "ლირიკა", "ჰოი, ღიღოს დაღრუბლულ ცაო".

სიჭაბუკისდროინდელი ლექსებითვე მიიქცია გაბრიელ ჯაბუშანურმა პოეზიის მეტრფეთა საერთო ყურადღება. პოეტი წრფელი ხმით უმღეროდა სამშობლოს დამცველ გულლომ მეომრებს, განახლების გზაზე დამდგარი ხევსურეთის ხეაღინდელ დღეს, საჯიხვეებსა და "ნაცნობ ქაუხებს", მშობლიური კუთხის წესსა და ადათს, იერნაცვალი დროის შესაფერის ხმაზე მოღულუნე ფანდურს, შავთვალასა და ღიღლოს სანახებს, ძველ მოსისხლეთა (ქისტები და ხევსურები) შორის ჩამოგდებულ სამშვიდობო ზავს, მწვანე იალაღებს, მწყემსის ფარეხსა და ტალღანიმარო არაგვის ჩქერებს...

"მე ამ ქვეყნად სამი რამე მიტაცებდა: სიყვარული, სიმღერა და მამული!..."

ამგვარად გააცნო გ.ჯაბუშანურმა ქართველ მკითხველს თავისი შინაბუნება და ინტერესთა სფერო ჯერ კიდევ შემოქმედებითი გზის დასაწყისში. მისმა მომავალმა თვალნათლივ დასტურყო ნათქვამის სიმართლე. ლექსის, მამულის და სიყვარულის სისხლხორცეული განცდა თანდაყოლილ თვისებებად იყო განტოტვილი და განივთებული მის არსებაში...

პოეტის საამსოფლო მისიის განსჯა-გააზრებაში იკვეთება გაბრიელ ჯაბუშანურის, როგორც ხელოვანის, მყარი და უცვლელი პოზიცია, დამოკიდებულება ლექსთან, მკითხველთან, საკუთარ თავთან.

მისი აზრით, ჭეშმარიტ შემოქმედს უნდა შეეძლოს მოყვასისთვის თავგანწირვა, თვისტომთა სიკეთისა და სიხარულის სანაცვლოდ პირადულის დათმობა, საერთო-საზოგადო ინეტერესების დაყენება სუბიექტურ ზრახვებზე მაღლა:

მუჭია ძეყანად ფლო, უმედუბი,
მწადის მწიომბა მწიბის, ყარბის,
მუხსედმი სადმე მწყაბუალ მუდუინს
და მშბალ მაგბუ დაუცუბარმი...

ასეთი ხატოვანებით გვაცნობს იგი სოფელ-ქვეყნის წინაშე აღსასრულებელ თავის ადამიანურ ვალს.

გ.ჯაბუშანურს ღრმად ჰქონდა გააზრებული და გაცნობიერებული პოეტის მძიმე და საპატიო ხვედრი, პოეზიის საღვთო ბილიკებით სიარულის სიძნელე:

მუ პოფდმა სანუკუბი მადლი მუგონა
და ასლა მიხსედი, ის უღელი თუბრმე ყთფილა...

ცხოვრებისეული გამოცდილებისა და გარესამყაროზე მუდმივი დაკვირვების გარეშე ლექსის ოსტატი შორს ვერ წავა, ვარგისს ვერაფერს შექმნის და დატოვებს:

ნისლითი უნდა იქნას პოეტი,
მიუძებ ლასაქციას მთიქს და ძობ მინდუქიქს,
ნასის მცოლი და უკმნიოთი
და მუმეღ ლექსის ქიმიდ მთიქიქს...

...მკლავებგაკრული პოეტი არაგვის პირას "გდია" სილაზე.
წყურვილისაგან ხახა უშრება. მის წინ მდინარე მიირხევა "მზაკრუ-
ლი მღერით". მწყურვალისთვის ერთი პეშვიც არ ემეტება:

ფეკილაჲ ჯაჭობ! — მექმნეჲ დინჯად აბაგი, —
სამს მუნი ცოთა: ქებობდი და აღატე ქებობდი.
სუჲ მგოსნისა ქეჭრელი და ფანჯა მათადი,
ეს რომ არ იქნას, სემ პოეტიც არ იქნებოდი!..

ურვა და წამება ორეულეზივით სდევნ მას, "რადგან სიმღერა
ტკივილია და ტანჯვა დიდი".

შემოქმედს მართებს სიტყვასთან ომში ღამე ათიოს, "ლექსისთ-
ვის თავი გასწიროს, კითხვით თვალ ჩამოიღამოს..." თავისუფლების
აღკვეთას იგი ვერ გუობს: "გინდაც მარგუნოთ ოქროს გალია, მე მა-
ინც გავტეხ და გავფრინდები".

სულის მზარდი ზეობის კვალად სხეულის დაშრეტა და დაჩიავება
კანონზომიერ მოვლენად ესახება მას ("მზერა სულისა მაშინ უფრო
ბასრი ხდება და შორსმჭვრეტელი, როცა თვალისწინი სხეულისა და-
იშრიტება" — პლატონი).

პოეზია მუდამ გულისხმობს პოეტისა და გონიერი მკითხველის
აქტიურ თანაზიარობას: "მწამს: ერთმანეთი მარად მოგვშივა, ვართ
ერთი სულის ჩვენ ნაშიერნი". პირუთვნელი მკითხველია შემოქმე-
დის უპირველესი მსაჯული და მსჯავრმდებელი. ლექსი თავის თავ-
ში ჩაბრუნებისა და ჩაღრმავების ნაყოფია, სიმარტოვის წამთა მონა-
გარია, გულის სენაკში ნალოლიავეები ფიქრის უეცარი ამომზევება;
ხალხთან მისი მიტანა — ფრიად სერიოზული და პასუხსაგები საქმე.
წარმატება იოლი გზით არ მიიღწევა. მას უნდა ემსხვერპლო და ეტა-
რიგო: "თან ვფიქრობ, მინდა რამდენი ჯაფა, რომ მოძმის ნდობა და-
ვიმსახურო..." მკითხველის წინაშე პირსწორად დგომა ფასდაუდებე-
ლი უნჯის ბადალია. ამიტომაც განიცდის პოეტი ესოდენ მძაფრად
საკუთარი ნაღვანის საჯაროდ გამოტანას:

თუმც მგოსანს სძირად მსოთაჲს ნიღამი,
უწერ იქმს ქეასა თუ სსუათა ნაჭობგჲ,
მატამ სიუდილგჲ უთბო სიყალმის
მე მუშინია მუნს სამსჯაუბრგჲ...

გულისნადების სრულად ამოთქმა, სიტყვიერ ქსოვილში მისი
უნაკლოდ, "უდანაკარგოდ" რეალიზება ყოველთვის ვერ ხერხდება,

მაინც რაღაცა რჩება უთქმელი... ეს უთქმელობა ანვალებს და აწუხებს პოეტს:

ოდნაჲ ურ მითიქამს გულის სათქმელი.
უმთაჲ სნუელი მძიჲ სასადით,
დაბრეს ეს სიფცა — მცირე საბჭული —
მუნთის, ჩუმს გულში ჩამოსასვდი...

მართალი ლექსი თვითონ გაიტანს ლელოს, მას არ სჭირდება ხელდასხმა და წილადობილა:

მუ ჯალად მდევ: უბთსელ მუძმეთ,
გძმძეთ და თაჲდ იძთეთ მრუელი...

* * *

ციცქნა კედელზე მსოფლიოს რუკა კიდია. "კავკასიონზე ნისლე-ბი არ წევს"; დუმს იდუმალეებით მოცული ოკეანე; უხმაუროა "კიკნა არაგვი"; არც ნიადაგ მქუხარე ნიაგარას გრაგანი ისმის...

რუკა მელექსეს უხმობს:

სული მთამბრე, მუმასი სირცი,
სურნელს დაჲჲჲ და სსიუქს განთიქს;
ეს თუ მირცვია, დე, იცის მირცვი,
თუ მწერტალია, დე, მწერტალს ჰგაჲდეს!
თუ საპარაა — დე, იცის სჲფი,
უბრის სურნელით სურნაჲდეს მალი,
არც გეგმა მინდა,
არც საფის საფი,
არც წარმოსასვის მანი და ჩმასი!
სიცოცსლო მინდა!
დიდი სიცოცსლო
და მტოსანს მისი მოძჲ ბაღიძს;
მიდი, მიმქრძე ნამდვილი ცეცსლი
და უბრაძის მიმიჯნე მანი!..

ბუნების თვალწამლებ სილამაზეში სიცოცხლის ხმაურს ნატრობს და ეტრფის პოეტი:

ეს მძინარე ჯღერე ნუფაჲ ამღერა,
ბოგბრე წერტილქს ზაბი თრინუელის...

მხატვრულ სიტყვაში ილვიძებს მთვლემარე პეიზაჲ, სურათი, საგანი; თითქოსდა ჩვენც ახლებურად ვჭვრეტთ ავტორის წარმოსახვაში გაღანდულ გარემოს მშვენებას, ჩვენი წარმოდგენაც ივსება და იფოთლება ხალასი, ხასხასა პოეტური ხილვებით...

ნანეიმარ კლდეთა პიტალოებზე დაქნილ ბილიკებს ხარჯიხვთა ნაწლიქარები შერწყნია. გამოქარული ეხიდან ნისლიან ალიონზე გარეთ გამოსული პოეტი-მონადირე ხარბად ზევერავს რიცხვმრავალ არევს... მონადირული აზარტის ჩაქრობას თან სდევს უზომო სიბრაღული უღვთოდ განწირული ცხოველისადმი:

უკუღთ ჯისჯის მჭობაი — სთლი

სულიოტს სულოში მუქიმ მძაფრად, —

აბც მუჟ საბ, გამბთ, კეთილი სული! —

ვამბიმ და მჭობას სსოჲ მსაბრეს უსაფაჲყ...

გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" 1968 წლის 28 დეკემბრის ნომერში გ.ჯაბუშანურის ნეკროლოგთან ერთად გამოქვეყნდა მისი მანამდე უცნობი ლექსი "საუბარი მარიობისთვის ყვავილებთან".

ასას ხეობაში გაშლილ "მზისკაბიან" დობილებთან ხსნის გულს მარტოდმყოფი პოეტი; მან მწარედ იწვინა გაცუდებული სიყვარულის ბასრი ნესტარი და ახლა ფერნაცვალ ყვავილებს ეკითხება, სმენიათ თუ არა მისი მომსვრელის სახელი -- "მზექალ"...

ირგვლივ "შემოდგომური" სინყნარე და "უზადო, ნაზი მონყენილობაა". რინდი მორევიათ უშფოთველად მფშვინავ მთებს; ღრუბლებში მზე ლუის, ხევში უნასს მინაგვანი ნისლი "მიძვრება"...

ლირიკული გმირის გულს მალამოდ ედება ჭკნობამორეულ ყვავილებთან საუბარი, რადგანაც ბუნების ამ იშვიათ პირმშოთა სახეში საკუთარი ბედ-ილბლის მოზიარეთ ჭვრეტს:

...მე ცსადჲ მჭობა:

ჭრთიალი გი:ირთ და

მაყანნი აღმ:ათ ამიფთმ ჩასმით!..

გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზიაში უტყვი და უენო არსებაც ადამიანური ნიშან-თვისებებით არის აღჭურვილი: ფოთლების ხროვა მგოსნის ბედზე ბჭობს; ავად გამხდარ მნათს მშობელი დედა აღარ უშვებს მინის სამზერად; "— იავ, მასესხე ერთი ფოთოლი", — შესთხოვს პანია ყვავილს ცისფერთვალება კესანე; ჩანჩქერები სიხარულის ცრემლით ტირიან; არწივი თავის მართვეებთან საუბრობს: სადღაც ლელეში არყი ამღერებულა; გორებზე ნამტირალევი "ნისლის ნიშები" დამდგარან; "ბუ ხვაშიადს შელაღადებს ცას..."

მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა პერსონიფიკაცია, მათი განსულიერებული ხედვა გ.ჯაბუშანურის პოეტური წარმოსახვის პლასტიკური ფორმაა. ამ მხატვრული ხერხის საიდუმლო, გარკვეულწილად, დიდი ჩარგლელი მოგვისგან მოსდგამს მის კალამს.

გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზია, თუ შეუფერებელი არ იქნება ასეთი შედარება, ისე არის გამთბარი და გაჟღენთილი სიყვარულის მგზნებარე გრძნობით, ვითარცა "მინა წვიმიტა დამთვრალი და განპოხილი". მის შემოქმედებაში აშკარად დომინირებს სატრფიალო ლირიკა. ზნემაღალი სიყვარულის უჭკნობი და უბერებელი თემა გახლავთ გ.ჯაბუშანურის შემოქმედებითი ნიჭისა და პოეტური პოტენციალის "სასინჯი ქვა". პოეტის ლაპიდარული ჩანაწერი "სიყვარული მხატვრული შემოქმედების დედაა" შემდგომ ლექსად გაფორმდა: "მე ახლა მიეხვდი მთელი სიღრმით, მთელი სიცხადით, რომ სიყვარული სიმღერათა დედა ყოფილა". 1967 წელს გამოცემული "მოკრძალების" ანოტაციაში ავტორი ამბობს: "ამქვეყნად რაც კი ლექსი თქმულა, ნახევარზე მეტი, უცილოდ, სამიჯნურო პოეზიას განეკუთვნება და მაინც თითქმის ყველა ჩვენგანი ამ უძველეს და მარად ახალ თემას ვალენთ მელექსის ფარ-ხმალს"

გურამ ასათიანი წერს: "სიყვარულის თემა ახალი სინრფოებით აღივსო "ადრე წასული ბიჭების" — ლადო ასათიანის, მირზა გელოვანისა და ალექსანდრე საჯიას თაობის შემოქმედებაში. ამ სიახლის მთავარი საიდუმლოება ის იყო, რომ მკერდიდან ხორციანად აგლეჯილ ჭაბუკურ ხვაშიადს ბიოგრაფიული ქვეტექსტი დაეფინა სისხლიან ფეშხუმად..."

ცნობილი კრიტიკოსის ეს სიტყვები, რასაკვირველია, გაბრიელის ინტიმურ ლირიკასაც ეხება...

ერთი თემის გააზრება მრავალ ასპექტში სიტყვის ჭეშმარიტ ხელოვანთა ორგანული თვისებაა... თავის თავს მოძღვრავს გ.ჯაბუშანური: "დაიხსომე გაბრიელ: — ყოველ საგანს თუ მოვლენას ურიცხვი კუთხით თუ თვალსაზრისით შეიძლება მიუდგე, ათასნაირად შეხედო, მოისმინო და გაიაზრო".

პოეტის სატრფიალო ლირიკა ამ თვითშეგნების პრაქტიკული დასტურია. გ.ჯაბუშანურს ძალუძს, ასცდეს თვითგადამღერების უფერულობას და მოიძიოს ახალი კუთხე თუ რაკურსი ათასგზის წარმოსახული საგნისა და მოვლენის სხვა განზომილებაში წარმოსაჩენად. არც ერთი მისი სატრფიალო ხასიათის ლექსი მეორეს არ გავს; ყველას აზის თვითმიერობისა და დამოუკიდებლობის მკვეთრი ტვიფარი. ყოველ ლექსში არის რაღაც მარტოდენ მისთვის ნიშანდობლივი, თუმცა ძირი და ხერხემალი ერთია — მოტივი სიყვარულისა.

ადამიანური ტკივილებით განსპეტაკებული ცალმხრივი ტრფილის ტრაგიზმამდე ამალებული განცდა და სწორფერის შეუბღალავი სიხარულის საზღაურად თვითგალების პათოსი ძალუმად ფეთ-

ქავს გ.ჯაბუშანურის პოეზიაში.

ხიბლი და ღირსება თემატური ციკლებისა "სისკარი", "მარეხ", "მზექალი" მათსავე დიდ გულწრფელობასა და კრისტალურ სიმართლეშია საძებარი. ამ ორი უარსებითესი პირობის გარეშე ხელოვნების ნებისმიერი დარგის რაგინდ ნიმუში მოკლებულია მკითხველზე (მსმენელზე, მაყურებელზე) ემოციური ზეგავლენის ზეგარდმო ძალას.

გ.ჯაბუშანურის ინტიმური ლირიკა განცდათა გადმოცემის ბუნებრიობით და უშუალობით გამოირჩევა, რაც თავისთავად ქმნის მანერულობისგან განრიდების საიმედო ფონს. "მე ათას წელზეც არ გავცვლი შენთვის წამების ერთ წამს", წერს იგი და მკითხველშიც უმაღლეს თანაგანცდის იმპულსი იღვიძებს.

შეგნება იმისა, რომ გულზე ამოჭედებული საწინააღმდეგო, მარტვილური განცდით, ექსპანსიობით და დრამატული ინტონაციით მუხტავს ლექსის სტრიქონებს:

აბა, არც ღიჯა მძიჯლის მაღალი,

არც შენთან მძიჯლა და აღსაბუძა,

მაინც მძიჯლა ხარ, მგეძელ ჩამოღო,

მე მაინც ქნტად დაეღო ყაბიში...

პოეტის გულშია ღაღადისი და ალალი აღსარება არ თავსდება ოდენ პირადულ გრძნობათა ვიწრო წრეში. მის სატრფიალო ლირიკაში მკაფიოდაა არეკლილი ზოგადადამიანური მასშტაბის მომცველი სულიერი ვნებანი.

ლირიკული გმირის მიმართება სატრფოსადმი ერთგვარად პათეტიკური, უხინჯო და ამაღლებულია. ქალ-ვაჟის ურთიერთობის უფაქიზესი სფერო მაღალეთიკური ნიშნებით ხასიათდება... "წყეულ" ნანდაურთა სახელები — სისკარი, მარეხ, მზექალი — უბინოების ზენაური ციაგითაა გარემოსილი მკითხველის აღქმასა და წარმოდგენაში...

ლამაზ სამეულზე სევდიან სიმღერაში განვლო პოეტმა სიცოცხლის დღენი: "მგოსანს მარად ჟამს მდაგავდნენ მნათნი — სისკარი, მარეხ, მერე მზექალი"... სამივეს ხატი მარჯვედ ჩამოძერწა: "ო, შენ არ იყავ ასეთი ნაზი, მე თვითონ შეგთხზე და ეს თხზულება მე შევიყვარე, — პოეტურ აზრის როგორც ციური განსხვავლება" (ციკლიდან "სისკარი"); "შორსა ხარ, როგორც მაღალი მთვარე, როგორც ოცნება მიუწვდომელი" (ციკლიდან "მარეხი"); "და ვგრძნობ: ჩემს გულში შედიხარ ისე, ვითარ სხივი მწვანე ჭალაში" (ციკლიდან "მზექალი")...

დარწმუნება იმაში, რომ "სიყვარულის ხიდს კენტი გული ვერ

გასდებს თურმე", ტანჯვის სათავედ იქცევა. ინერება, ცოტა არ იყოს, სახამუშო, მაგრამ ავტორის პოზიციიდან არცთუ მთლად უსაფუძვლო სტრიქონები: "ვაჰ, დედას მტრისას, გაბრიელ, ბედით გჯობია ძალღიჯა..."

1961 წლის 9 იანვრით დათარიღებული დღიური: "დღეს, შუალამის შემდეგ, მითხრეს მზექალის სიკვდილი... ყველაფერი გათავდა ჩემთვის... ჩემი და ჩემი პოეზიის დიდი მზე მოუბრუნებლად ჩაესვენა..."

ხოლო მანამდე:

ღღუს უნდა უნასთ მგოქალი, —

ჩემი მგისთუნი ძალი!..

ვეფიქრობთ, კომენტარი ზედმეტი და უადგილოა. ვინც გ.ჯაბუშაშვილის პოეზიას ჯეროვნად იცნობს, მისთვის გასაგები და გულთან მისატანი იქნება განუზომელი მწუხარებისგან სუნთქვაშეკრული პოეტის მწარე ამონაქენესი...

მზექალი იყო გ.ჯაბუშაშვილის პოეზიის ცარგვალზე გაბრწყინებულ "მასკვლავთ მეუფროსე", რომლის სიშორე მოუშუშებელ იარაღ აჩნდა ცალად დარჩენილ მის მგლოვიარე გულს.

"ამ თხუთმეტი თვის განმავლობაში ვერ გამოვარჩევ ვერც ერთ დღეს, ვერც ერთ ღამეს, რომ მე მზექალზე არ მეფიქროს, რომ მე მზექალზე არ მედარდოს, რომ მე მზექალის ნახვა არ მენატროს და მზექალზე თხოვნით ღვთისათვის არ მიმემართოს..."

გავკენტიდი, გავმარტოვდი, გავნერვიულდი... ყოველგვარი საქმისადმი ინტერესი დამეკარგა, ყველაფერს ძალისძალად ვაკეთებ, გული მხოლოდ ერთ საგონს, ერთ კითხვას დაუჭერია: რა ვქნა? როგორ მოვიქცე? რა ვუნამლო ჩემს გულს?

ხალხში დიდხანს ვერ ვჩერდები, ოთახში ვიკეტები... მარტოობაც მწყინდება, ისევ ხალხში მივდივარ და დავწრიალებ ისე, როგორც მხეცი გალიაში...

მზექალის დიდხანს უნახველობას ვერ ვიტან. თბილისში რომ ვიყავი, კინალამ ყველაფერს თავი მივანებე და კინალამ მთებში გამოვიქეცი, თავი ძალისძალად მეჭირა, სანამ საქმეს მოვათავებდი..." (პირადი წერილიდან. აული ოძიკი. 24.VI.1952).

უყისმათო სიყვარულის ტრაგიკულმა ფინალმა მკვეთრად შეცვალა გ.ჯაბუშაშვილის ნაღვლიანი სიმღერის "ყუვი" და კილო:

მუნ მიწას წყუსაბ...

ვიწუი მუ მწირი, —

მიუიბრს: კედმისგან ანდა რა მიცაქს?

...ას, ამის წებაც თუბმუ მუწება,

წებამ კი მუნთან აბ დამამიწა...

სხვაგან:

...ძუნი ღანდი დაჰქიდა ქუჩის
და მაქუდს: ჯმინდა სჯულია ჯაბი...

სიკვდილ-სიცოცხლის ამოუხსნელი საიდუმლოს პოეტურ განს-
ჯას არაერთი ნაწარმოები უძღვნა გ.ჯაბუშანურმა, და უნდა ითქვას,
ფილოსოფიური ლირიკის რიგიანი ნიმუშები შემატა ეროვნული პო-
ეზიის ძვირფას საგანძურს...

უძილო ღამეებში გამონატანჯი სიყვარულის სანაცვლოდ პოეტს
“ცხარე ცრემლი და ასიოდ ლექსი” შემორჩენია, როგორც “ურიგოდ
ნათესი იფქლი” სხვა ყველაფერი არარად და ავლად ქცეულა...

საოცრად ეხმიანება და ესადაგება გაბრიელ ჯაბუშანურის სათქ-
მელსა და განწყობილებას უოტ უიტმენის სიტყვები: “ახლა მე ვფიქ-
რობ: არ არსებობს სიყვარული ამო და მას ოდესმე მაინც მოიმკი...
მე ოდესღაც გაგიჟებით მიყვარდა ერთი, მას არ ვუყვარდი, მაგრამ
მაინც ხომ ამის გამო დაიწერა ეს სიმღერები”.

* * *

ცალკე აღსანიშნავია ლილღოს თემა გაბრიელ ჯაბუშანურის პო-
ეტურ შემოქმედებაში (“ლილღური რვეულიდან”, “ჰადიშათის ბი-
ლიკზე”, “რიჟრაჟი აულში”, “სამი სურვილი”, “ქისტის ქალის წყევლა”,
“ლილღური შემოდგომის წარმოსახვა”, “ქისტის ქალები მიდიან წყა-
როზე”, “ძველი ლილღური სიმღერებიდან”, “ლილღური კატა”, “კი-
დევე ლილღური კატა”, “ბალადა ქვაკაცაზე”...).

არხოტის მეზობლად მდებარე ქისტეთის მინა-წყალი გ.ჯაბუშა-
ნურის პოეტური შთაგონების თვალწინაა წყაროა. ქისტეთის მთა-
გორიანი ლანდშაფტის ეგზოტიკური მშვენება ფერწერულ შტრი-
ხებშია გადმოცემული. ცოცხალი, განუქარვებელი შთაბეჭდილება-
ნი ხელშესახები სიცხადის მხატვრულ სახეებად იძენება...

პოეტი შესაშური სიზუსტით წარმოსახავს ლილღოს სინამდვი-
ლისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, ქისტთა ხასიათს, ზნე-
ჩვეულებებს, გარემოსთვის ნიშანდობლივ ყოფით დეტალებს, ეთ-
ნოგრაფიულ ფაქტებსა და რეალიებს.

ლილღური ციკლის ლექსებში გვხვდება “ბინდის ბურანში” გახვე-
ული აულები, ციხე-სიმაგრეთა ბებერი ბურჯები, ტანწერილი სი-
პერდები, ჟამთა სიავისგან “ჩაქცეული მინურები”, აკლდამები, ქავე-
ბი და ქვითკირები, ნამაზის აღსავლენად დათვის ტყავზე დაჩოქილი
დაუთი, ცეცხლოვანი ცეკვები, კუმგანებით წყაროზე მიმავალი ქის-
ტის ტანლატანა ქალები, ძველი მეჩეთის მინარეთზე გადმომდგარი
მუეძინი, აბრეკები და ჯიგიტები, ამჟორიტეს გაზაფხული, “ტაძარი-
ვით უწმინდესი ლილღოს ზაფხული”

ამაყ მთიელთა გარდამხდარი ყოფის გახსენება და მკვიდრთაგან დაცლილი, უკაცური აულების ხილვა ტკივილს აღძრავს პოეტის გულში და ნაღვლიანად აჟღერებს ლექსის სტრიქონს:

ღაღნიშნულთ, კუნთთა სკლუთ,

მიწოფიშნულთ და უკაცურთ,

მინდა... მარცხილი გაგმცნაურთ

და მინდა... უბრალო ცრემლი დაქუჩურთ...

გ.ჯაბუშანურის ლილღური ციკლი არ გახლავთ მოყვარული მოგზაურის, უცხო გარემოში შემთხვევით მოხვედრილი კაცის თვალთ მოხილული პეიზაჟებისა და ლილღველთა წეს-ჩვეულებების მკრთალი, ზედაპირული ფიქსაციის უბრალო, მექანიკური ჯამი.

წლების მანძილზე ლილღოში ყოფნამ წარუშლელი კვალი დატოვა მის არსებაში. ქისტეთის ცის ქვეშ გაატარა გ.ჯაბუშანურმა თავისი შფოთიანი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ტკივილნარევი მოგონებებით აღსავსე წლები, რამაც მისი პოეზიის "გეოგრაფიულ" ანტურაჟს არაერთი მეტყველი შტრიხი შემატა.

* * *

გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტურ სიტყვას ორი მძლავრი და ჯანსაღი ნაკადი კვებავს: სპონტანური სიღრმითა და სისადავით აღბეჭდილი ფოლკლორული წიაღი და მრავალსაუკუნოვანი ქართული კლასიკური ლიტერატურა.

"ბაღლობიდანვე ლექსებით გავიზარდე, ხალხური ლექსებით, — აცხადებს პოეტი ერთ საახალწლო ინტერვიუში. — ლექსი, სალექსო ზომა ჩემთვის, როგორც უცხო რამ, არასოდეს არსებობდა. მამაჩემი არხოტში განთქმული მოლექსე იყო: თვითონ არ თხზავდა, მაგრამ უამრავი ხალხური ლექსი იცოდა; დედა კი თვითონაც ამბობდა ლექსებს..."

ზეპირსიტყვიერების ძირძველი ტრადიციების მქონე კუთხეში ათეული წლობით ყოფნამ და ლექსის "მათქვამთა" შორის ტრიალმა თავისი კვალი დაატყო გ.ჯაბუშანურის შემოქმედებას. მის სულსა და სმენას განსაკუთრებული ძალით იზიდავდა ხალხური ლექსის სტიქია, სილბო, სინედლე და განუმეორებელი უბრალოება. დანერა კიდევ რამდენიმე ლექსი მთიბლურების და ხმით ნატირლების კილოზე და, შეიძლება ითქვას, შესანიშნავად გაართვა თავი ხალხურ ხმასა და საზომზე სავსებით დამოუკიდებელ, ინდივიდუალობის ნიშნით დაღდასმულ ნაწარმოებთა შექმნას...

1950 წლის დამლევს ბრმა ბედისწერამ იმსხვერპლა გაბრიელის მრწემი ძმა ლეო, კარგ ვაჟკაცად ცნობილი არხოტის თემისა და, საერთოდ, მთელს ხევსურეთში. უდროოდ გამოაკლდა ჯაბუშანურე-

ბის საგვარეულოს კიდევ ერთი ჩაუქი და საიმედო ნევრი; საუკუნო სიჩუმით მოცულ სამარეში ჩაიტანა სიჭაბუკის ფრთალაღი ფიქრი და ოცნება, მშობლების დარდი და ვარაძი, და-ძმების გლოვა და ტკივილი, ბედნავის დანიშნულის (გაბრიელის პოეზიაში უკედაცყოფილი მზექალის, შინაურთა შორის ხორას) მალული ცრემლი და ნრფელი სიყვარული.

ამ სამნუხარო ამბავს ეხება გენეტიკურად ზარიან ხმით ნატირლებთან დაახლოებული ლექსების ვრცელი ციკლი, რომლისთვისაც ავტორს "ძმის წიგნი" უწოდებია.

ეს არის ვინროკამერული ლირიკის სამანებს დიდად დაშორებული ლექსები, სადაც იოტისტოლა კვალიც არ შეიმჩნევა ყალბი, ნასხვისარი განწყობილებისა.

ენითუთქმელი მწუხარების მოსაფრებლად "ნათქვამი" ამ ლექსებიდან (რომელთა პუბლიკაციაზე ალბათ არც უფიქრია ავტორს!) ჩანს, თუ როგორ ძალუმაღ ჰქონდა განცდილი, გათავისებული და გაშინაგანებული გ.ჯაბუშანურს ხევსურული ხმით ნატირლების ვერსიფიკაციული ბუნება, მელოდიური მხარე და რიტმული ნყობა...

"ხევსურულ ხმითნატირლებს მეც ბევრჯერ ავუფორიაქეივარ, — სწერდა პოეტი ერთ პირად წერილში ალ.ჭინჭარაულს, მათი მარტო გამოცემა არაა საკმარისი. საჭიროა დაერთოს საფუძვლიანი გამოკვლევა... აქაურ საქნარებში გაოცებული ვუსმენ ხმითმოტირალ უცნაურ დიაცებს. ესენი ლექსის ქადაგად დამსხარი რალაც მოგვები თუ მისნები არიან... ყველაფერ ამას გამოტანა, გამომზევება, ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომად გახდა უნდა..."

ჯავარიანი სიტყვის მაღლი და მარილი სიყმანვილიდანვე ძვალრბილში ჰქონდათ გამჯდარი არხვატელებს. მელექსეობის ღვთითბოდებული ნიჭი თაობებზე გადადიოდა. ზეპირპოეტურ რეპერტუარში პოულობდა საკადრის ასახვას არხოტის თემის დაუნერელი ისტორია. ლექსად ამოთქვამდნენ თავიანთ ლხენა-სიხარულს, ლექსითვე წამლობდნენ ხშირი სიკვდილიანობით გამონვეულ დარდსა და ვარამს:

გ:მაგტდით. ა:ბსოფიენში!

გაფსით ბ: იძწმისა?!..

ბესარიონ (აბაისძე) და აშექალ გაბურები; ბალადა "მოყმისა და ვეფხვის" განმვრცობი გიორგი ჯაბუშანური; მინდია, გრანჯა, ობოლა, აბიკა, ბენინა, მძიმია, წერილა, უშიშა ნიკლაურები; გიორგი (დაბალ გიგა, არახიჯელი) გიგაური; ალექსი, გარსია, გიგია (ხუტუნშივილი), მინდია, ნიკო (ჩაჩაურ) ოჩიაურები; თარუა და ბადია ბალიაურები; გაგა თეთრაული; ქორია (გასპარა) ქიბიშაური; დიმიტრი და კუკუა ცისკარაულები...

რომელი ერთი დავასახელოთ! მათი ავტორობით ცნობილი ლექსები ხალხური პოეზიის ოქროს ფონდს განეკუთვნება...

ხალხური ლექსის სტიქიასთან უშუალო კონტაქტი კეთილისმქმნელ გავლენასთან ერთად ერთგვარ საფრთხესაც უქადოდა გ.ჯაბუშანურის პოეზიას, მაგრამ მან იმთავითვე სწორი და შეუმცდარი გეზი აიღო: შეგნებულად განუდგა და გაემიჯნა ფოლკლორული მოტივების ზერელე, ზედაპირულ გადამღერებას, ხალხური ინტონაციების უსახურ იმიტაციას და გაიკვლია საკუთარი გზა, გზა, რომელიც არასდროს ყოფილა ია-ვარდით მორთული და მოჩითული...

გაბრიელ ჯაბუშანური მაღალ შეფასებას აძლევდა ზეპირსიტყვიერ შემოქმედებას, ყურადღებას ამახვილებდა ხალხური მასალის დროული ფიქსაციის საშურ, საშვილიშვილო საქმეზე: "ისევ და ისევ შეკრება, ჩანერა ჩვენი უმდიდრესი საუნჯისა, სანამ ჯერ კიდევ შეიძლება! ამ მხრივ დიდი სამუშაოა ჩატარებული. მარტო აკაკი შანიძის საშვილიშვილო ღვაწლი რად გვიღირს ხევსურული პოეზიის გასაცნობად! მაგრამ ჩვენს ფოლკლორისტებს, ლიტერატურისმცოდნეებს უდიდესი სამუშაო ელით ხალხური პოეზიის, როგორც წმინდა მხატვრულ-ლიტერატურული მოვლენის შესწავლის თვალსაზრისით. როდესაც თუშურ ხალხურ ლექსში ვკითხულობ: "გავიდა ქორვის მთაზედა, ნამი გაბლერტა მთისაო..." მე მზარავს ეს მხატვრული დეტალი, რომლის ძალითაც მოქმედებაშია ჩართული ადამიანი, მთელი ბუნება, ბალახის ღეროსა და ნამის წვეთის გამოუკლებლივ".

მადლიერების გრძნობით მიმართავს პოეტი ხალხურ მელექსეებს:

ვიფი: მოგაუხატო მბრძნ სიგაის მინდს; —

გუჯაყთ მუნქმას მზგამმოიტი

და თუ ჩემი სმის ესეც გაიხმის, —

მუც თქუნი ჯიმის ვარ ნამოიტი.

მსტრს: ჩემს ლექსსაც გამძღუ ძაბლქუმაღ

ასლქუ თქუნი თქმის თქა და მუცადრე —

მქსძლოს ნამღერბა ღამის გარღუქა

და მთქმს დაადგუქ ნათლის სუცადა...

გ.ჯაბუშანურს კეთილად აუხდა ნაწინასწარმეტყველები: კარგა ხანია, რაც პოეტის ხმა და სახელი "მშობელ მთების მღვიმედან" გავიდა, რაშიაც საჩინო წილი უძევს მისი პოეზიის ფესვეულ კავშირს ქართული სიტყვიერი ფოლკლორის ხნოვან ტრადიციებთან.

პოეზიის არსი, ბელინსკის განსაზღვრებით, სახეობრივ მეთყველებში მდგომარეობს.

გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტური სამყაროს თავისთავადობა დი-

დადაა შეპირობებული მოულოდნელი შედარებების სიუხვით, მეტაფორული აზროვნებით, დაუეინყარ სახეთა სიმრავლით.

ულევი ფანტაზია და მხატვრული წარმოსახვის ექსპრესიულობა არაორდინალურ ტროპულ სახეთა სისტემას იძლევა მოლიანობაში. ერთ კარგ ლექსად ღირს ლაპიდარული ნათქვამი: "ბარბაცებს ნისლი ბებერი (იქნებ სვა წვიმის არაყი!)" ; ანდა: "ვით გურამიშვილს შმაგი ლეკები, მზეს მიენია ღრუბლის მღევარი"; "ფერად კაბებში ჩანან ტყეები, თითქოს გაქურდეს შენი სკივრები".

ლირიკული პერსონაჟის სულიერი განწყობილების ჩვენების ფუნქცია აკისრია ამრიგი ტიპის შედარებებს: "...რომ როგორც მარტივს შავი სამოსი, ისე მაცვია სიმორე შენი"; "ამ გულში როგორც მენზე ნალველი, აულში ისე შემოდის მწუხრი".

ერთი საგნის მრავალსახედ წარმოდგენის მაგალითები: მთვარე-ლანგარი; მთვარე — ყაჭის გორგალი; მთვარე — ლომის ბოკვერი; ნისლი — უნასი; ნისლი — ცხენი სალარი; ნისლი — ლეგა ლეკვი...

ბუნების ფერისცვალების განუმეორებელ სურათს ქმნის მარჯვე, მოხდენილი ალიტერაცია: „მთებმა ჩაიცვეს ჩრდილის ჩოხები მზის ჩახდომამზე გლოვის ნიშნადა“.

შინაგანი მუსიკალობის მაღალ ტონუსს ამკვიდრებს ლექსში ბერათა კეთილხმოვანი პარმონია: "ამ ცხრა წლის წინათ შენს აულში წამოსვლის მიზეზს ვეძებდი, როგორც მწირ ენერში წყაროს მწყურვალი"; "ქუფრ ქარაფში ქუჩი ქოჩორს ივარცხნის, შენი თმები მაგონდება, მზექალო!.."

დახვენილი ეფფონია სტროფის ნაჭედობის საწინდარია: "შენს ცრემლებს ვფიცავ შარშანდელს, ვფიცავ ოცნების შენის შუქს, შავ ნისლებს ვფიცავ შავ მთაზე შენს ბავშვობაში შენიშნულს..."

გ.ჯაბუშანურის ლექსი რითმის მხრივაც იქცევს მკითხველის გულისყურს. მისთვის რითმა არა ნაწარმოების გარეგანი მშვენებისა და პენიანობის მსახური ფორმალური სამკაულია, არამედ მხატვრულ ქსოვილში, პოეტური ქმნილების ქარგაში ძალდაუტანებლად "ჩასმული" და ჩაკრისტალებული სრულფასოვანი კომპონენტი.

გ.ჯაბუშანურმა ახალი თვისობრივი სიმაღლე შესძინა ე.წ. კოჭლ, დისონანსურ რითმას, რამაც, თავისნილ, ლექსის პოლიფონიურ ნაირსახოვნებას შეუწყო ხელი. აი, დისონანსური რითმის რამდენიმე ტიპიური ნიმუში: მკენესარნი — კესანე; მთვარეზე — არესი; მერანი — მირონი; გაუგონ — აუგი; ნაფლეთი — დავფლე და; მუცალი — მოცელე...

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გ.ჯაბუშანურის პოეტური მეტყველების თავისებურებანი საგანგებო შესწავლას იმსახურებს, რაც, ალბათ, უსათუოდ გაკეთდება მომავალში.

გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტური სიტყვა სპეკალივით ელვარება და ძარღვიანი. მისი მდიდარი ლექსიკა ძველი ქართული სამწერლო ენის, ახალი სალიტერატურო ქართულისა და დიალექტური (ხევსურული) მეტყველების მარაგიანი შრეებიდანაა ნასაზრდოები.

ერთგვარი ლექსიკური ესთეტიზმი და მუსიკალურ-მელოდიური არტისტიზმი ზომიერების ფარგლებს აროდეს სცილდება. მისი პოეზიის ბგერწერულობა, ხმირება და ამალღებული სტილი, რაიც, ნაწილობრივ, არქაული ფორმებისა და დიალექტიზმების ჭარბ ხმარებაში ვლინდება, არამცდაარამც თვითმიზნურ ლიტერატურულ პოზად არ უნდა ჩაითვალოს. პოეტური სახიერება დაქვემდებარებული და დამორჩილებულია მთავარ სათქმელს, აზრის პრიმატს. უსაგნო და უსარგებლო ფორმალისტურ ძიებათა ცთუნების აყოლა და ამ გზით წარმატების მიღწევის წადილი პრინციპულად უცხო და მიუღებელია გ.ჯაბუშანურისთვის...

სალიტერატურო ენის ნორმებიდან განგების გადახრისა თუ გადახვევის თითო-ოროლა შემთხვევა კი არ ჩრდილავს და აკნინებს, პირიქით, თავისებურ ხიბლსა და კოლორიტულობას ანიჭებს მის პოეტურ სტრიქონს.

მკაცრად დახვეწილსა და დანურულ, ფუჭი მრავალსიტყვაობისგან განტვირთულ, ავტორის მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე მიმნიშნებელ ლექსებში ზოგჯერ მზერის შემყოვნებელი ხორკლი და ნუერი გამოერევა, და უნდა ითქვას, ხალასი განცდით გაჯერებულ ნატიფ სტრიქონთა მწკრივში სულაც არ "გვეზედმეტება" მსგავსი გამონაკლისები.

ფორმისეული თვალსაზრისით გაურანდავი ფრაზის ზადისა და ხარვეზის კომპენსაციას ახდენს სათქმელის აქტუალობა, მასშტაბი, სიღრმისეული აზრი და განზომილება.

გ.ჯაბუშანურის ლექსთა აბსოლუტური უმეტესობის ფორმა და არქიტექტონიკა სრულ შესატყვისობაშია მათს შინაარსთან. არსად იგრძნობა სათქმელზე ძალდატანება, ჯახირი და წვალება ნაწარმოებში გამჟღავნებულ განცდათა ლამაზ სიტყვიერ სამოსელში გახვევის მიზნით.

გ.ჯაბუშანურის ეპიკური თუ ლირო-ეპიკური ნაწარმოებები ისეთივე შეუნელებელი ინტერესით იკითხება, როგორც მისი სადა და გულშიჩამწვდომი ლირიკული ლექსები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავისი ხასიათით არალირიკული ყაიდის პოემებში გაბრიელს ხშირად შეაქვს ავტობიოგრაფიული მო-

მენტები, უფრო ზუსტად, სუბიექტურ განცდათა პრიზმაში ქერეტს იგი მხატვრულად ტრანსფორმირებული სინამდვილის ცალკეულ ეპიზოდებს, უშუალოდ ავლენს პირად დამოკიდებულებას ტრაგიკული ბედის სახელოვან სულიერ წინაპრებთან ("ფიქრი ნიკოლოზ ბართაშვილზე", "სიმღერა ჯვარცმულ პოეტებზე"), რაც ერთი-ორად ზრდის და ამალღებს ამ ქმნილებათა ემოციურობასა და მხატვრულ დამაჯერებლობას.

გ.ჯაბუშანურის ზოგიერთი ბალადის კითხვისას უნებლიეთ ჩნდება შეგრძნება, თითქოს პოეტი მოწყვეტილია ემპირიული სინამდვილის სამანებს, დაცილებულია ყოფითობის პლანს და მისი მზერა სადღაც ირეალური სამყაროს მიღმეთმია მიკარგული, არარსებული ქვეყნის მიუწვდომელ მერიდიანებს "ეპოტინება".

ამ ვითარების მართებული კვალიფიკაცია, ავტორის ლიტერატურული ჩანაწერების მოუშველიებლად, მოკლებული იქნება სიცხადესა და გარკვეულობას. "ჩემს ლექსებსა, ბალადებსა და პოემებში, — აღნიშნავს პოეტი, — ცხოვრებისეულ სინამდვილეს ფანტაზია და წარმოსახვა სჭარბობს ყოველთვის, — ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ქმნილებანი გაივლიან პოეტურ ჯოჯოხეთსა და განსაზღვრულს. მე მათში ასახული ამბები ნამდვილად მომხდარ ცხოვრებისეულ ფაქტებად მეჩვენებიან" (23.XI.1958).

შეუძლებელია, ორიოდ სიტყვით გადმოსცე და წარმოაჩინო გ.ჯაბუშანურის პოემებსა და ბალადებში "დანახილი" ვრცელი და მრავალსახოვანი სამყაროს თუნდაც სქემატური სურათი; ამიტომაც ამჯერად განზრახ ვუვლით გვერდს მათ მხატვრულ სიახლეთა და თემატურ თავისებურებათა კონკრეტულ ანალიზს.

მკითხველი უმისოდაც გრძნობს ფართო მასშტაბის სათქმელს შეჭიდებული პოეტის ცხოველი ფანტაზიის უნაპირობას, რეალობადქცეული მხატვრული წარმოსახვის წარუვალ მშვენებას, ტროპულ სახეთა ფიქრულერკის ესთეტიკურ ღირებულებას...

* * *

გაბრიელ ჯაბუშანურის პირად წერილებს, ადრესატთა გარდა, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არავინ იცნობს. არადა, ყოველთვის ცხოველია მკითხველის ინტერესი ნიჭიერი მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობისადმი.

პირადი მიმოწერა, როგორც სანდო და უტყუარი დოკუმენტური მასალა, შემოქმედის ბიოგრაფიულ დეტალებში გარკვევის საუკეთესო პირობაა. ის, რაც მხატვრული ქმნილების ჩარჩოში ვერ "თავსდება", ნათლად გამოითქმის საურთიერთო, სასაუბრო ენაზე.

დღიურს, ავტობიოგრაფიული ხასიათის სახელდახელო ჩანაწერ-

სა თუ კერძო წერილს, რომელთაც ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნების პრეტენზია არ გააჩნიათ, განსაკუთრებული ფასი და ღირებულება ეძლევათ ხოლმე მისი გარდაცვალების შემდგომ... მსოფლიო ლიტერატურის ისტორია არაერთ საამისო მაგალითს იცნობს...

გ.ჯაბუშანურს ათეული წლების განმავლობაში წერილობითი კონტაქტი და ურთიერთობა ჰქონდა ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებთან, მწერლებთან, პოეტებთან, გამომცემლობათა მუშაკებთან.

არხოტში, კახეთში, ლილლოსა თუ დარიალის ხეობაში მცხოვრები პოეტი სიმარტოვის მტანჯველ განცდას თბილისში მოღვაწე გულითად მეგობრებთან გულლია "საუბრებით" იქარვებდა; მათი მემკვიდრეობით გებულობდა სისხლის ფასად ნაწერი წიგნების ბედსა და მომავალს; მათვე სთხოვდა და ავალებდა ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში დატოვებულ საკუთარ ლექსებზე ზრუნვას...

მოითხოვდა იმაზე გაცილებით ნაკლებს, რაც სინამდვილეში ეკუთვნოდა და თუ ხანდახან სამდურავის სიტყვა დასცდებოდა, ამასაც "კომპეტენტურ" პირთა ნამოქმედარიდან გამომდინარე ობიექტური მიზეზები უძლოდა წინ.

"სწორედ იმიტომ, რომ ვერც ყაზახეთის ველებს ვუმღერე (სადაც არ ვყოფილვარ!), ვერც სამგორი შევაქე (სადაც ხევსურები ძალად ჩაასახლეს!) და ვერც სხვა აქტუალურ თემებზე დავწერე ღირსშესანიშნავი რამ, — ზურგი შემაქციეს და გვერდს მივლიან, რადგან ჩემთვის გვერდის ავლა სულ იოლია, მე ხომ სოფელში ვცხოვრობ... ვჩივი? არა! მე ვმუშაობ და მჯერა, გავიტან ჩემსას..."

ახლობლისადმი გაგზავნილი ბარათის ციტირებულ ნაწყვეტში აშკარად ჭვივის რეალური ვითარების ნიადაგზე შობილი შეუფარავი ჯავრი და წუხილი. ამას ამბობს შემოქმედის თანდაყოლილი ნიჭით ცხებული ჭეშმარიტი პოეტი, ვისთვისაც "მომგებიან" თემებზე ძაბუნი, მდარე და უნიათო ლექსთა თხზვას ათნილად სჯობს ერთხელ არჩეული მართალი გზის უღალატო ერთგულება.

გაბრიელ ჯაბუშანურის კერძო წერილებისთვის ნიშანდობლივია ერთი რამ: ვისაც არ უნდა სწერდეს, ძმა იქნება თუ მეგობარი, ხშირად ეხება თანადროული ქართული მწერლობის ცალკეულ საკითხებს; არჩევს, ანალიზებს და აფასებს ახალ ლექსსა თუ მოთხრობას; ავლებს პარალელებს; პროფესიონალი პოეტის მიუდგომელი პოზიციიდან მსჯელობს მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ავ-კარგზე. მისი ფიქრისა და ყურადღების ორბიტაში მუდამ დგას ქართული ლიტერატურა, თანატოლთა თუ უფროსი თაობის წარმომადგენელთა შემოქმედება.

გ.ჯაბუშანურისთვის სავსებით უცხოა მენტორული ტონი, თავდაჯერებულობა, ქედმაღალი კაცისთვის დამახასიათებელი ნიჟილიზმი, სხვათა ნაღვან-ნაკალმევის გაკილვისა და არადრავადების ავი, სავალალო სენი...

თანშეზრდილი თუ შერმე მეძენილი ახლობელი ადამიანებისადმი გაგზავნილ გ.ჯაბუშანურის პირად წერილებში ზომიერადაა განზავებული თვითირონიისა და მახვილი იუმორის მარილი, რაც კიდევ ერთი წახნაგით ავსებს და ამდიდრებს პოეტის პიროვნულ პორტრეტს, უკეთ გვაცნობს მის ხასიათსა და ბუნებას...

ლიტერატურის ისტორიისათვის საყირო და სასარგებლო ფაქტების სიუხვე, თხრობის სილალე და დახვენილობა პოეტის პირად წერილებს მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებს.

ეპისტოლარული მასალა გაბრიელ ჯაბუშანურის ნაყოფიერი შემოქმედების განუყოფელი ნაწილია და საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, როგორც მისი მწერლური გზის ტევადი და მრავლისმთქმელი მატიანე.



გაბრიელი თავის ძმიშვილებთან

შუაფხოში, იახსრის გორაზე, ბებერი იფნებით დაწრდილულ ნმინდა ალაგას განისვენებს ფართო მკითხველი საზოგადოებრიობისათვის მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა ჯერაც ნაკლებად ცნობილი რეპრესირებული მწერლის ლადო ბალიაურის ძვალ-მალი.

მისი ნეშტი რომ შუა აზიის მიწაში არ დარჩა და ჩაინაცრა, ამაში დიდი დამსახურება მწერლის სიძეს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ნიკო მაკალათიას მიუძღვის. იმხანად თვით ეს გადასახლებიდან ახალდაბრუნებული კეთილშობილი პიროვნებაც მუდმივ დევნას განიცდიდა და იოლი მისახვედრია, რანაირ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული საყვარელი ცოლისძმის სხეულის ნაწილეების საქართველოში ჩამოსვენება...

ყარაგანდიდან ორი შავი ჩემოდნით თბილისში ჩამოსულ ნიკოს დრო აღარ დაუკარგავს, მაშინვე ტაქსი დაუჭერია და შუაფხოს გამგზავრებულა.

მოკეთებებს მისი განზრახვის შესახებ არაფერი სცოდნიათ.

მოულოდნელად დასდგომია თავზე ცოლისძებს და მანქანის საბარგულიდან ლადოს ძვლებით სავსე ჩემოდნები ამოულაგებია...

იცოდა ნიკომ, რომ ამ ამბის გახმაურება კარგს არაფერს უქადოდა და ამიტომაც გაუფრთხილებია დამხვდურნი, ჩუმად იყავით, ხმა არ დაძრათო; გაუფრთხილებია და თვითონ უკანვე გამობრუნებულა.

ლადო ბალიაურის დების გულს ეჭვის ჭია ჭამდა: ვაითუ ნიკოს თავგამოდებამ ფუჭად ჩაიარა და ლადოს ძვლების ნაცვლად უცხო მიცვალებულის ძვლებს დასტიროდნენ შუაფხოში, მაგრამ, საბედნიეროდ, მათი ეჭვები უმალ გაფანტულა: ერთ-ერთ დას, ნათელას თუ მელანიას, ძმის თავის ქალა ნაჭრილობევით უცვნია. ტოლ-მეგობრების გადმოცემით, ლადო ახალგაზრდობაში ხშირად შუღლობდა და, ბუნებრივია, ნაკეჭნებიც მრავლად ექნებოდა თავის არეში. ჰოდა, ერთი არჯალი იარის კვალი აქამდე შერჩენოდა გაფითრებულ თავის ქალას... უპირველეს ჭირისუფალთათვის ეს ამბავი ძმის ცოცხლად ხილვას, მიკარგული მხარიდან შინ მშვიდობით დაბრუნებას ნიშნავდა. სხვა თუ არაფერი, სამარე ხომ მაინც ეცოდინებოდათ მი-



სი და დაუსრულებელი მოლოდინით განანამებნი სამარის კარზე მოთქმით მოფქავდნენ დაჯავრიანებულ გულებს...

დრო იდგა აწენილ-ამდგვლეული, მღვრიე და განუკითხავი.

ბრალდების წაყენებას რა დიდი გონების გამჭრიახობა ჭირდებოდა, მითუმეტეს, როცა საამისო საფუძველიც არსებობდა... სწორხაზოვანი გზიდან თუგინდ ერთი ნაბიჯით განზე გადახვევა, არცთუ იშვიათად, მიუტყეველ დანაშაულად ცხადდებოდა და ვინ იყო განმსჯელი, სამშობლოს ღალატი გედო გუმანში თუ მისი მიწის ყოველი გოჯის სიყვარულით სუნთქავდი...

თვალმარლი ავსული დათარეშობდა საქართველოში, ორიოდ გროშის საფასურად მოძმეთა განწირვის სამინელი სენი შეჰყროდა ზოგიერთს და ცის კავ-კავებს ეხეთქებოდა ყოვლისმომრევი ბედისწერის ლაგამაყრილი ბედაური.

* * *

ფიცხი კაცი ყოფილა ლადო ბალიაური; ფიცხი, ფხიანი, დღიანი და გაუტყხელი; ტანად ჩასხმული და მოხდენილი; აზრიანი და კარგი მოუბარი.

მისი სიჭაბუკის ხანად ხევსურეთში დიდი გასაყალი ჰქონდა შულ-ლში გამოჩენილ სიმამაცეს, სიმტკიცეს. მტერ-მოყვრებთან დამოკიდებულებით ფასდებოდა და იზომებოდა ვაჟკაცობის ავ-კარგი. სავალდებულო ადათობრივი ნორმების მოთხოვნათა შესრულება სიყმანვილის წლებიდანვე ეკისრებოდათ მომავალ ხატის ყმებს. ეს ყოველივე ლამის საღვთო რიტუალების რანგში იყო აყვანილი და ეაი მას, ვისაც ლაჩრის ლეჩაქით სამზეოზე სიარულს მიუსჯიდა თავისივე უნიათობა, უვარგისობა და უგერგილობა!

მამაჩემის მოგონებიდან: "პაპაჩემის წლისთავი გადავიხადეთ. ბევრი ხალხი მოვიდა. ლადოც იქ იყო. ნახევრად ხევსურულად ეცვა - წითელი ახალუხი, ბუხრის ქუდი. ეს იყო 1935 წელს. მე ათი წლისა ვიქნებოდი... ეტყობა, მუხლები სტკიოდა, სამუხლე პაჭიჭები ეცვა. უჩიოდა რალაცას, მგონი, რეჰმატიზმი აწუხებდა. ცეკვავდა კარგად. მაშინაც იცეკვა. პაპაჩემი გიორგი (მოხვევები გუგუას ეძახოდნენ) მოხუცი იყო, 74 წლისა დაიღუპა. ის წლისთავი, ვინმე უცხო რომ მოსულიყო, ქორწილი ეგონებოდა. არსენას მამიდა, შუქია, გარმონს უკრავდა. მკვდრის წლისთავის მეორე დღეს ლხინი იმართებოდა ხოლმე. "ფანდურ გატყდასავ", - იცოდნენ თქმა. ოჯახიდან ჭირი გამოვიდეს და ლხინი შევიდეს... ცეკვის მერე ლადოსთვის ეთქვა ვილაცას: ბაჭყია შენს დაჭრას აპირებსო. მე ბალლი ვიყავი, რაში იყო საქმე, ბევრს ვერაფერს ვხედებოდი. უცბად შუღლი ატყდა. ლადომ ლუდიანი ყანნი დაჰკრა ბაჭყიას სახეში. დიდი სმის დროს, ჭირის

სუფრა იქნებოდა თუ ლხინისა, ჯარზე იარაღს არ აყოლებდნენ, ყველას ართმევდნენ და მეკოდეს აბარებდნენ... ბაჭყიას ჩაჭრილ ჯიბეში ჰქონდა გაშვებული თეთრტარა ხანჯარი. ლადომ რო ყანნი დაჰკრა და მეშვლებმა გამოარიდეს, გამოეკიდა ბაჭყია ხანჯრით. ლადომ ქურთ-ბართებზე (წივა, ხმარობენ სანავად — ა.ა.) ნადებ ქვას წამოავლო ხელი და ახლა ის დაარტყა შუბლში. სამუდამოდ დააჩნდა ბაჭყიას ის ქვადანაკრავი ლურჯად... ბაჭყიაც მაგარი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მაშინ ლადოსთან ვერაფერს გახდა".

ხევსურულ ადათ-წესებში ჩაუხედავმა მკითხველმა შესაძლოა გაიკვირვოს და იკითხოს: რატომ უნდა ითვლებოდეს ვაჟკაცის უმთავრეს ღირსებად მუდამ შულღისთვის მზაობა, ერთთავად ხმალ-ხანჯლის ბლუჯვა და, თავისწილ, მართალიც იქნება... რამდენადაც კითხვა იქნება დროული და საფუძვლიანი, იმდენადვე გაჭირდება ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, და თუ მაინც გვაიძულებს "ახირებული" მკითხველი, მისი ცნობისწადილი დავაკმაყოფილოთ, ჩვენი მოკრძალებული რჩევა იქნება, გულდასმით გადახედოს თავმოყვარე მთიელთა შორის საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ მრავალრიცხოვან საგმირო აფორიზმებს და, აქედან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად გაეცნოს სოფლის მამშვენი კაი ყმის ხალხურ იდეალს...

ლადო ბალიაური, უწინარეს ყოვლისა, თავისი მკაცრი ეპოქის შვილი იყო და ევალეობდა ისე მოქცეულიყო, როგორც მისი მამ-პაპანი იქცეოდნენ; ეხელმძღვანელა და ეცხოვრა იმ ზნეობრივი პრინციპებით თუ ადათობრივი ნორმებით, რაზედაც იმჟამინდელი ხევსურეთის შეუვალი ყოფა იყო დაფუძნებული.

* * *

თათია ბალიაურის ბანიანი სახლი, სადაც 1907 წელს დაიბადა ლადო, დღესაც დგას სოფელ ახიელში...

ჭარმაგთა ცნობით, ბალიაურების წინაპარი სოფელ ბლოდან ყოფილა, ხელობით მჭედელი. ლადოს პაპა, გაგა ბალიაური, ცნობილი გახლდათ, როგორც ენოვანი და გამოცდილი, ხევსურული ადათ-წესების მცოდნე კაცი. სწორედ მისთვის მიუციათ არხოტივნებს მამულები კვირინმინდასთან ახლოს, იმ ადგილას, რომელსაც "მოლოზანას" ეძახიან. აქ ჩვენს დრომდე შემორჩენილა ბალიაურთა ნასახლარები...

* * *

ხუთი და ჰყავდა ლადო ბალიაურს: თუთი, სანდუა, თარუა, ნათელა და მელანია (თიკუნად — თეთრქალი).

სისხლის ალების ძველთაძველი წესი ჯერ კიდევ მძლავრობდა მა-

შინ და გასაგებია ის შიში, ერთადერთი ძის იმედად მყოფი მამის გულს რომ შეჰპარვოდა შეუმჩნევლად. პაპაჩემის ძმისცოლის თარუას თქმით, მათი "უკაცური" მამა თათია ბალიაური მალ-მალე ეტყოდა თურმე თავის მეუღლეს: თუ ლადო აქაურობას არ გავეარიდე, ვაითუ ვინმემ მოგვიკლასო. და მართლაც, უნია თუ არა ასაკმა, მამამ თბილისში წაიყვანა და კახიანის სახელობის "მუშუაკში" მიაბარა.

ისეთი ამბები ხდებოდა, დღე და ღამ სიკვდილი იდგა არხოტიონთა კარებზე. გაშინაურებოდა სახელოვან თემს ეს უჩინარი სტუმარი და არათუ მამრნი, ქალ-ღიაცებიც მედგრად ხვდებოდნენ თავიანთი ქმრებისა თუ ძმა-ბიძაშვილების თავზე ცის ჩამოქცევას.

ლადო ბალიაურის დას, თუთის, ტახეს (ადგილის სახელი — ა.ა.) სამზირად წასული ქმარი, ბენინა, მოუკლეს ქისტებმა. მასთან ერთად იმსხვერპლეს მისივე სეხნია, მეორე ბენინა ნიკლაური. თუთის ნაამბობს იხსენებდა კარგა ხნის მერე თარუა: "ქმრის მოკვლა რომ გავიგე, მეც იქ წავედი. ხალხმა დახოცილები ამოატარა. გზა ავუქციე და ქვიშიანზე გადავიარე. აკერიფე ტყვიით განაგაბრებული ძვლები, გავახვიე პერანგის ნაბლღეძში და თან წამოვიღეო..."

სათუთად ინახავდა უშვილძირო თუთი თავისი მეუღლის ძვლებს და როცა გარდაიცვალა, ის ძვლები და სისხლიანი პერანგის ნაფლეთები თან ჩააყოლეს სამარეში...

თავმარტოობით სიცოცხლეგამწარებული დისადმი (რომელიც სხვა დედის გაჩენილი გახლდათ და მამით იყო ლადოს და) განსაკუთრებულ სითბოსა და ყურადღებას იჩენდა შუა აზიაში გადასახლებული ლადო. ეცოდებოდა ქმარ-ყოფა მოშლილი, მუდამ მასზე მზრუნველი ქალი და ცდილობდა, უკეთესი მომავლის სასო გაეღვივებინა მის მგლოვიარე გულში. ამას მოწმობს 1954 წლის 25 მარტით დათარიღებული ბარათის ერთი პატარა ნაწყვეტი: "საყვარელო დაო თუთი! თორმეტი წელია, რაც მე და შენ ერთმანეთი არ გვინახია, არ გვისაუბრია. რა თქმა უნდა, მე ვიცი, რომ შენ სწუხარ, გინდა ჩემი ნახვა; თავის სიცოცხლის მანძილზე შრომობ ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის და მე სულელი ვერ ვაფასებდი შენ შრომას, შენ ერთგულ დობას ჩემდამი, უანგარიშოდ ვფლანგავდი შენ ნაშრომს, მაგრამ, ჩემო თუთი, ეს იყო ჩემი ხასიათის უვარგისობა, ჩემი ახალგაზრდული უდარდელობა. ეხლა რომ დავფიქრდები, შემრცხვება — მე ცუდი ძმა ვიყავი შენთვის; შენ მეტი პატივისცემის და დაფასების ღირსი იყავი და ხარ. ხშირად ვიგონებ ჩვენი ოჯახის წევრებს, ვიგონებ შენ დღე და ღამე შრომას, ხანდახან სულელურადაც კი გამეცინება, როცა მთვლემარეს რთვა-ჩეჩვის დროს წარმოგიდგენ. ვიცი, შენ გამწყრალი ხარ — რომელი ერთი ცოლი შევუხვეწნაო ღმერთს! ჩემო თუ-

თი, მე ასეთი ბედი მქონია და რა ვქნა, მე ვერ შევქმენი მტკიცე ოჯახი, ვერ დავმკვიდრდი ერთ ადგილზე! განა არა მწყურია ოჯახი და შინ ყოფნა, მაგრამ ზოგს ასეთი ბედი აქვს, ზოგს ისეთი. აი, ეხლა რომ დავბრუნდები საქართველოში, ფეხს არსად მოვიცვლი. გავაკეთოთ სახლი შუაფხოში, პალიმათი მშრომელი ქალია, შევიძინოთ ძროხები, ფუტკარი, ხან ზარის ქალას, ხან შუაფხოს — ჩვენი სიბერე ტკბილად გავატაროთ...”

ესეც ითქვას: ჯერ კოლონია-ლაგერებში და შემდეგ გადასახლებაში მყოფი ლადო მთიელი კაცისთვის რამდენადმე ჭარბსა და უჩვეულო სიტბოს აქსოვდა დედის, დებისა თუ დიშვილებისადმი გაგზავნილ ბარათებში. ანკი ვინ უნდა მონატრებოდა მათზე მეტად წინაპართა ფუძეს წლობით მონყევტილ მწერალს, მაგრამ მაინც: აღსარების ტონი და კილო, რაც მის პირად წერილებს მსჭვალავს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელობად აღიქმება უშუღავათო ცხოვრებისეულ პრინციპებზე აღზრდილი ადამიანისაგან. დებსა და დედას უმხელს გულის ღარღილს, ესაუბრება თავის შეცდომებზე, ახალგაზრდულ დაუდევრობასა და წინდაუხედაობაზე; მათგანვე მოელის რჩევას, თანადგომასა თუ მიტევებას.

და ამგვარ დეტალებშიაც ხომ მშვენიერად ჩანს მისი გულლიაობა, დიდბუნებოვნება, პიროვნული ღირსების არაერთი ნიშნეული წახნაგი...



რომ არა ზემოხსენებული შიში და, ამის გამო, სიფრთხილე თათია ბალიაურისა, რასაც შედეგად ერთადერთი ვაჟიშვილის “მუშფაკში” მიბარება მოჰყვა, რასაკვირველია, ლადოს ბედის ბორბალი სხვაგვარად დატრიალდებოდა, მაგრამ როგორ, ამის დაბეჯითებით თქმაც შეუძლებელია... ტომობრივი შუღლისგან არხოტიდან გამორიდებულ მომავალ შემოქმედს ხევსურულ “სახელ-სირცხვილში” თავისი წილი ედო და ახლა სწავლა-განათლების ვრცელ ასპარეზზე უნდა ეცადა თავი.

“მუშფაკის” საერთო საცხოვრებელში, რომელიც ყოფილ პლეხანოვის გამზირზე მდებარეობდა, ერთ ჭერქვეშ შეასახლეს ლადო და დავით ბალიაურები და მათი სოფლელი გაბრიელ ნაროზაული (ხიზანათ გაბრიელი), რომელიც ამჟამად ახმეტაში ცხოვრობს, მიუხედავად ღრმა სიბერისა, ჩინებული მეხსიერება აქვს და, ამასთან, შესანიშნავი მოსაუბრეა...

დიდი დრო არ გასულა “მუშფაკში” სწავლის დანყებიდან, როცა ლადოს მამა გარდაეცვალა. მშობლის მოულოდნელი დაკარგვა მწვავედ განიცადა შვილმა. ადგა და მთაში წავიდა. რამდენიმე ხანი

დაჰყო ახიელაში. დებსა და დედას უმისობა ძალზე უჭირდათ, მაგრამ რა ექნა, სწავლას ხომ ვერ მიატოვებდა. მალე კვლავ თბილისში დაბრუნდა და დაამთავრა "მუშფაკი".

ამის მერე ნიკო მაკალათიას შენევნითა და თანადგომით სწავლა განაგრძო ლენინგრადის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე.

1934 წლის დამდეგს ლენინგრადში მყოფს სამწუხარო ამბავი აცნობეს: მისი ბიძაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი, თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი, 38 წლის თომა ბალიაური სოფელ ამლაში სიცოცხლეს გამოასალმა ბოლშევიკური მთავრობის ერთგულმა კაცმა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სერგო ორჯონიკიძის იდეათა ჭიდილს შეეწირა საარაკო გზებგამოვლილი, აშკარა სიკვდილს არაერთგზის ბენვზე გადარჩენილი ჩაუქი ვაჟკაცი...

შეიტყო თუ არა ეს ზარდამცემი ამბავი, ლადომ ლენინგრადი მიატოვა და შურისგების მიზნით მშობლიურ არხოტს მიაშურა.

გაბრიელ ნაროზაული იგონებს: "ლადო ახიელაში ყოფილიყო, თავის სახლში. მე ეს არ ვიცოდი. შურთებზე სანადიროდ მიმავალი, მხარზე თოფგადაკიდებული, ფანჯრიდან დავინახე. მაშინ ეთქვა: გაბრიელს როგორ არ ვეჩვენოო... სისხლის ასაღებად ლენინგრადიდან ჩამოსული სოფლის თვალს ერიდებოდა, არ უნდოდა, ვინმეს მისი შინ ყოფნა გაეგო. გვენატრებოდა ერთმანეთი და აბა, მე როგორ დამემალეოდა... თომა რომ მოკლეს, მე მაშინ სოფელში ვიყავი. სასიკვდილოდ დაჭრილი ამლიდან ახიელაში ამოვიყვანეთ. სანოლზე მისვენებულმა გვითხრა: ღვიძლშია გავლილი, მე არ მოვრჩებიო; თან დაამატა, ვისმა ენამ განირა, ვისზე უნდა ეძიათ შური. იტანჯებოდა, სულს ებრძოდა. პაპიროსს მოგვაკიდებინებდა; მივანოდებდით. ისევ უკან გვიბრუნებდა. აღარ ჰქონდა ღონე... ლადომ, თავის ბიძაშვილთან ერთად, შური იძია, ამლის შარაზე ნააქცია მკვლელის ახლობელი, ის, ვისაც ბრალი ედო თომას დაღუპვაში..."

ნიშანდობლივი შემთხვევაა: შური იძიეს არა უშუალოდ მკვლელზე, არამედ იმ კაცზე, ვისმა ენამაც შეურიგებელი შუღლი და სისხლისღვრა ატეხა მოძმეთა შორის...

ასე რომ, ნაადრევად დაგროვილი ცხოვრებისეული სანუხარი არ დაუკლია განგებას ლადო ბალიაურისთვის; სიყმანვილის წლებშივე გაუგო გემო წაღმა-უკულმა მავალ სანუთროს; გამოსცადა ფიცხელ მტერთან პირისპირ დგომის მწვავე წუთები, მომხვედურის გამოჩენის მოლოდინი, მთიელთა სამეურნეო საქმიანობის სიმძიმე, სწორფერთან განმარტოების დაუვინყარი საღამოების ჟრჟოლა და ჟრუანტელი.

შეიძლება ითქვას: დაღვინებული და გონებადამჯდარი შეხვდა სიჭაბუკეს და ანი ისეთი რა უნდა მომხდარიყო, კერ გაეძლო, თავი კერ გაეტანა...

და რა იცოდა, სულ მალე რა ქარიშხალში მოუნევდა ჩადგომა, რას უმზადებდა თვალაბმული წერამწერელი...

ლენინგრადიდან დაბრუნებული, მუდამდღე თვითსრულყოფაზე მოფიქრალი და მეოცნებე, სწავლის წყურვილით ანთებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შედის და მთელი მონდომებით ენაფება წიგნებს; იწყებს ინტენსიურ ლიტერატურულ საქმიანობას; წერს მოთხრობებს, მინიატურებს; თანდათან იკვეთება ვრცელ მხატვრულ ქმნილებათა კონტურები... 1938 წელს ის უკვე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. მომავალს სასიკეთო პირი უჩანს. დიდი პასუხისმგებლობით არჩევს და მარჯვედ იურებს ქართულ სიტყვას. სიუჟეტების შეთხზვა და გამოგონება არ სჭირდება. იმდენი რამ აქვს ნანახი, განცდილი და გადატანილი, კაი ხანს ეყოფა ხეშაღ. მთის თვითკმარი ყოფის შიდა შრეებიდან ამოაქვს მხატვრულ სინამდვილედ გარდასათქმელი ნედლი "მასალა". უცხო მზერისთვის ნაკლებად მისაწვდომი რომანტიკული ფერი და ბგერა ედება საფანლად მის ახალ, ჯერჯერობით პატარ-პატარა პროზაულ ნაწარმოებებს...

სულფონობის ხანს, რითაც მაინცდამაინც დიდად არასდროს ყოფილა განებივრებული, სანდო და საიმედო მეგობრების წრეში არჩევა ტრიალს, ერთურთს დანატრებულებს არაერთხელ თეთრად დასთენებიათ, ორიოდ ჭიქა ღვინოზე ღამეები უტეხიათ. ამ დროს მათი საუბრის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ლიტერატურული სიახლეები გახლდათ. ხმამაღლა კითხულობდნენ თავ-თავიანთ ნაწარმოებებს; ერთმანეთს უზიარებდნენ პირად შთაბეჭდილებებს. უკომპრომისო კამათსა და მსჯელობაში იხვეწებოდა გემოვნება, ჩნდებოდა სათქმელი, ინრთობოდა კალამი. და, არცთუ იშვიათად, თავისივე გაუფრთხილებლობის წყალობით რეალური საფრთხის წინაშეც დამდგარან.

კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი გაბრიელ ნაროზაულის მოგონებათა "სკივრიდან": "ერთხელ სასმელი შემოგვევლია. მე და გაბრიელ ჯაბუშანური ღვინის საყიდლად ღვინის მოედანზე წავედით. ლადო ბალიაური არ წამოგვეყვა, ოთახში დარჩა. ჩემი სეხნია კაი ხასიათზე იყო. ნელზე შავხლის ხანჯალი ება. გაჩერებაზე რამდენიმე მილიციელი იდგა. ქალაქურად ჩაცმულმა, "შეიარალებულმა" პოეტმა უმაღლ მიიქცია მათი ყურადღება. სხვა დროს თავმდაბალი და მორიდებული გაბრიელი, ჩემდა გასაკვირად, გამომწვევად იქცეოდა: ამოსწევდა ხანჯალს ქარქაშიდან და ხელის ჩარტყმით ისევ ჩააგებ-

და, თანაც თავმოძნონედ იტყოდა: "ყეფს არბოტულად!" როგორც იქნა, ავიღეთ ღვინო და დავბრუნდით სახლში... იმ ღამეს დაღევაზე დიდად აღარ გამოგვიღია თავი, დაღლილები ვიყავით და დასვენება ვამჯობინეთ.

გათენდა.

საიდანაც მირზა გელოვანი მოვიდა და შემოგვიერთდა. დავლიეთ. ავდექით და ფუნქიულიორზე წავედით...

მირზას ერთი ნახვით შეატყობდი, რომ ძალიან მაგარი იყო, გაუტეხელი. ნატყვიარი აჩნდა გულთან ახლოს. მარცხენა მხარი დაცემით ჰქონდა. ლადომ და გაბრიელმა მითხრეს: სარკის წინ მდგომს დაეხალა თავისთვის ტყვია, რასაც თვითონ ასე ხსნიდა ხოლმე: მაინტერესებდა, სისხლი როგორ გადმოსჩუხჩუხებდა ნატყვიარსო...

გავალვიძეთ ლუდის გამყიდველი. დღესინდელ დღესავით დამამახსოვრდა: თოთხმეტ-თოთხმეტი კათხა გამოვცალეთ... წამოვედით იქიდან. ლადომ და მირზამ ნარგავები და ყვავილები გადათელეს და თავქვე დაეშენენ. ყარაულმა ვერ მოასწრო იმათი გაფრთხილება. სადგურის სამორიგეოდან წესრიგის დამცველები გამოჩნდნენ. მე გვერდზე გაუხვებე. პაჭიჭები მეცვა, ყაითნიანი.

— ფშაველი ხარ?! — შემეკითხა ერთი მათგანი.

— არა, ხევსური! — ვუპასუხე მე.

თვითონ ყოფილიყო ფშაველი. გვიშველა და გამოგვიშვა...

ჩამოვედით ქალაქში და დავსხედით სასადილოში.

დაიწყო მირზამ პოლიტპატიმრების სადღეგრძელოები. სათითაოდ ახასიათებდა ტიციან ტაბიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, ხისო ლომინაძეს, რომლებიც იმ ხანებში დაჭერილები იყვნენ... სასადილოში მყოფი ხალხი პირდაღებული გვიყურებდა...

მეორე დღეს გვითხრა ლადომ: მირზას ყველაფერი ფეხებზე ჰქიდა, არაფრის ეშინია, გუშინ კინალამ ხათაბალაში გაგვხვია, ორგანოს მუშაკები რომ შესწრებოდნენ ჩვენს ღრეობას, უეჭველად დაგვაპატიმრებდნენო..."

ლადო ბალიაურის შემფოთებას მირზას წინადღინდელი სითამამით მყარი საფუძველი ჰქონდა: ახალდაწყებული იყო უღმობელი რეპრესიები. ხალხის "მტრებითა" და "მოღალატეებით" ავსებულიყო სატუსალოები. ერთმანეთში არეულიყო ყალბი და მართალი, ღრებილი და წმინდა, პატიოსანი და სულგაყიდული. არ იყო გარჩევა ღირსეულთა და უღირსთა. იჭერდნენ მწერალსა და მეცნიერს, მხატვარსა და მუსიკოსს, მოანგარიშეს, ბულალტერსა და საწყობის გამგეს... ცეცხლითა და მახვილით იღვენებოდა და ითრგუნებოდა ჩვენი სულიერების დვრიტა და ქვაკუთხედი — ქრისტიანული რელიგია. წვავდნენ და ანგრევდნენ ეკლესიებს, რყვნიდნენ და ლახავდნენ ხა-

ტებსა და სამლოცველოებს, დაუნდობლად ანამებდნენ და მოუსავე-
ლეთში აგზავნიდნენ ეკლესია-მონასტრების მსახურთ, მათ რიცხვმ-
რავალ მრევლს. ქართველ საზოგადოებას დღითი-დღე ეხდებოდა
ნაღები, აკლდებოდა და ეწრიტებოდა სასიცოცხლო ძალა, ხალისი.
დახვრეტა და გადასახლება ჩვეულებრივ, ყოველდღიურობის თანმ-
დევ ამბად ქცეულიყო...

ნათესაური წრე და გარემო ცოლეურების მხრიდან, სადაც თბი-
ლისში დამკვიდრებული ლადო ბალიაური მოხვდა, არსებული ხელი-
სუფლებისადმი მტრულად განწყობილიყო. ლადოს სიმამრი, ქეთო
ჭელიძის მამა, მღვდელი იყო და სრულიად უდანაშაულო, უბრალო
და უბრალდებო, დაუნანებლად დახვრიტეს. იმ ავადსახსენებელ
წლებში მისივე ბედი ერგო წილად დაახლოებით ხუთასამდე
მღვდელს... სულ მალე სასტიკად შერისხული და სამარედაკარგული
მამის მწარე ხვედრი გაიზიარეს მისმა შვილებმა — ელენე და შურა
ჭელიძეებმა. და-ძმა "გუბერცკის" ციხის სასიკვდილო საკნებში
ჰყავდათ გამომწყვდეული და სად გაქრა მათი ჭაჭანება, არავინ იცის
(სხვათა შორის, ჭელიძეების მეზობელ საკანში ყოფილა გამოკეტი-
ლი მათი თანამოაზრე და, შეიძლება ითქვას, გასაიდუმლოებული
ჯგუფისა თუ ორგანიზაციის იდეური მოთავე, მწერალი და ახალი
ქართული ლიტერატურის მკვლევარი გიორგი ქადაგიძე. "მე რომ
ციხეში მიმიყვანეს, გიორგი ქადაგიძე და შურა ჭელიძე დასახვრე-
ტად ჰყავდათ გაყვანილები", — იხსენებს თავადაც მრავალნატიანჯი
კაცი მიხეილ ნიკლაური)...

ეშმაური ძალა მართავდა ქვეყანას და ხარხარებდა მაცილი უსა-
მართლობის მსხვერპლთა ზედა.

ბორგავდა და ბობოქრობდა ახლობლებდაკარგული ადამიანების
გულში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი
უკმაყოფილების, პროტესტისა და შეურიგებლობის მტანჯველი
გრძნობა, მაგრამ განზრახვისა თუ გულისნადების საჯაროდ გამხე-
ლა, მოგეხსენებათ, საკუთარ სიცოცხლესთან დამშვიდობების რის-
კთან იყო დაკავშირებული და ღუმდა ღირსებააყრილი, შეგინებული
და შეშინებული ხალხი.

მაგრამ იყვნენ ერთეულები, ვინც, თავისი სიტყვითა თუ ქმედე-
ბით, სიმბოლურად განასახიერებდა სალად მოაზროვნე საზოგადოე-
ბის სულისკეთებას და ხმამაღლა აცხადებდა თავის პიროვნულ სა-
გონსა თუ სატიკივარს. და თუ შინაგანად მუამბოხე ასეთი ნირის მე-
გობრის გვერდით სხვანი ძუნწისიტყვაობას არჩევდნენ, ეს ფიზიკური
მოსპობის შიშით კი არა, უფრო მასშტაბური სამომავლო ბრძოლე-
ბისთვის თავის "შენახვისა" და გადარჩენის განზრახვით იყო განპი-
რობებული... ნავლნაფარებული ნალევრდალი, ადრე თუ გვიან, აუ-

ცილებლად იალეზდა და ამას, ცხადია, ხელსაყრელი დროის დადგომა ესაჭიროებოდა. ერთი თუ ემოციურ ფორმებში გამოხატავდა თავის წრფელ განცდებს, მეორე გონების კარნახს მიჰყვებოდა და ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს ელვისებური სისწრაფით ცვლად მოვლენებს...

და ისინი უმთავრესად შემოქმედებით ინტელიგენციას წარმოადგენდნენ. ცრუ იდეოლოგიის მეხოტბეთა და მედროვე მთავრობის მეაზრეთაგან განსხვავებით, მათ მოქმედების სულ სხვაგვარი პროგრამა ჰქონდათ, სხვა ცეცხლი ენთოთ სულში და სხვა, ჭეშმარიტ ტაძარში ინერდნენ პირჯვარს.

გამცემნი და ქვეგამხედვარნი, როგორც ყოველთვის, მამინაც მრავლად იყვნენ და თავისუფლებისათვის პრაქტიკულად მოღვაწე ეროვნული ძალებისათვის სერიოზულ საფრთხეს სწორედ ისინი ქმნიდნენ...

სისხლით გაჟიებული უნასიბო წლების სრულყოფილი სურათი ჯერხნობით არ შექმნილა, ბევრი რამ საგულდაგულოდ საკელევი და საძიებელია, არც ზეპირი ცნობები თუ გადმოცემები მოიპოვება საკმაო სიუხვით და მაინც, ხელმისაწვდომ მასალაზე დაყრდნობით ასე თუ ისე ხერხდება იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარების წარმოდგენა და გასიგრძეგანება.

მაგრამ ეს ყოველივე ჩემი საუბრის საგანს რამდენადმე სცილდება...

ლადო ბალიაურისა თუ მისი კბილა მწერლების სახელები, გასაგები მიზეზების გამო, შავ-ბნელი რეპრესიის წლებში თითქმის არ ფიგურირებენ. მათ, სიჭაბუკის შარაგავლილებს, ჯერ ისეთი არაფერი შეუქმნიათ, საეჭვო ჩქამზე მიყურადებულ ხელისუფლების ერთგულ შაერაზმელთა სმენა რომ გააღიზიანოს და შესატყვისი რეაქცია მოჰყვეს მათი მხრიდან; ჯერჯერობით ისინი ხალხის "მტრების" რიცხვისთვის არ მიუთვლიათ და ამაში მათი ასაკია "დამნაშავე".

* * *

გადის დრო.

ახლო წარსულის შემზარავი ექო ჯერ არ მინელებულა.

არიარეთ მიმოფანტულ მამულიშვილთა მართალი სულები ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ავედრებენ ბედკრული საქართველოს მომავალს.

* * *

როგორც ითქვა, ლადო ბალიაურის ღვთისმსახური სიმამრი რაიმე ხელმოსაჭიდი მიზეზის დაუსახელებლად დაიჭირეს და დახვრტეს. ასეთივე რისხვა დაატეხეს თავს მის ქალ-ვაჟს.

შეუძლებელია ამ ამბებს უკვალოდ ჩაეელო და მწარედ არ ჩაეფიქრებინა ახალბედა მწერალი. ისიც წარმოუდგენელია, ცოლეურების განწყობილება არ გადასდებოდა და ქვეყანაში დაწყებული ტრაგიკული ორომტრიალის პასიური მოწმისა და მჭერეტელის ხვედრს დაზავებოდა...

თანდათან ღრმავდებოდა სიძულვილი გაპარპაშებული უსამართლობის, ფუყე სოციალისტური იდეების, სატანური ძალმომრეობის, საერთოდ, ყოველივე არაადამიანურის მიმართ...

უნდა ითქვას ისიც, რომ თავის დროზე ლადო ბალიურსაც გადაუხდია ხარკი თანადროულ მწერლობაში ფესვმოკიდებული კონიუნქტურისათვის; აპყოლია საძრახ ლიტერატურულ ინერციას; წასულა საკუთარი მრწამსის წინააღმდეგ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სუსხიან ატმოსფეროს, მაშინ რომ სუფევდა, მცირე ცთომილება უთუოდ ეპატიება შემოქმედს, რომელსაც მომავალში უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი.

ხარკს რომ ვახსენებ, ვგულისხმობ "მურისგებას", "სტუმარს" და მოთხრობას "მხედარი", რომელიც დაიბეჭდა "ქართველი საბჭოთა მწერლების" წაწარმოებთა კრებულში "სამშობლო" (სახელგამი, 1941 წ.). ამ მოთხრობის მთავარი გმირი, არხოტიონი ვაჩე გაბიძოური მოხალისედ მიდის "წითელ ჯარში". ომის წადილით ატანილს ტანში ცხრო შესდგომია, მაგრამ არც ნანდაური ეთმობა. ცხადში თუ სიზმრად თულას სახე უდგას თვალწინ და უმძიმს, ძალზე უმძიმს მასთან განშორება. — "სამშობლო ერთია, ყვავილი მრავალი!" — გადაწყვეტს ბოლოს და ნიაფი შეუჯდება მუხლებში. "დილას, მზის ამოსვლის ჟამს ხალხი სახვესურეთო გზას მისჩერებოდა: ცის ტატნობზე ცხენოსანი მისდევდა ბილიკს და სიმღერას ეუბნებოდა: ვაჩე დამშვიდობებოდა ჯალაფთ, ლურჯა საფერხედ წაეყვანა და ფრანგული წაელო თან..."

დიდად საჯაყი მოთხრობაში არაფერია. მხატვრულობის თვალსაზრისით "მხედარი" სუსტი წაწარმოები არ გახლავთ, მაგრამ ვაჩეს სიტყვების საგრძნობლად ყალბი პათოსი, დამაჯერებლობასა და ფსიქოლოგიურ მოტივირებას მოკლებული დიალოგები მის საერთო ღირსებას დაბლა სწევს. მითუფრო შეუფერებლად აღიქმება ასეთი ყაიდის მოთხრობა მწერლისთვის, ვინც სულ მალე 1942 წლის შეთქმულებთან დაიჭერს კავშირს და სწორედ ამის გამო იქნება დევნილი და დაპატიმრებული...

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი მსხვეპლის გაღება ლადო ბალიურს საიმდროოდ ჩამომდგარმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ამინდმა უკარნახა. "საბჭოთა პატრიოტიზმის იდეით შთაგონებული ძლევაგამოსილი საბჭოთა ხალხის" დამპყრობლური პოლიტიკა

მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო და რომ არა გაცილებით შორსმიმავალი მიზანი, რისი აღსრულებაც გარკვეულ კომპრომისზე წასვლას გულისხმობდა, ამ ნაწარმოებს დღის სინათლეზე ალბათ არც გამოიტანდა... ასე რომ, ანალოგიური გამოწვევების უტყობიანობა და, აქედან გამომდინარე, შემოქმედის დაშინებულობა, გნებავთ ზნეობრიობის მხრივ, ყოველთვის როდია გამართლებული...

* * *

1941 წლის 22 ივნისს ორ უზარმაზარ სახელმწიფოს შორის ომი დაიწყო.

ძღვევამოსილი იმპერიების გლობალურ მიზნებს ეწირებოდა მათ ფარგლებში შემავალი მცირე ერების საარსებო ინტერესები, სულიერი და ფიზიკური ენერგია, სიცოცხლე. მძევნეარებდა ორი ურჩხული და ანგარიშშიუცემელი გავეშებით სრავდა ერთმანეთს.

მსოფლიო მასშტაბების მომცველი ხოცვა-ჟლეტის ყამს საქართველოში გაჩნდა შეთქმულთა რამდენიმე ჯგუფი და ორგანიზაცია, რომელთაც ურთულესი მდგომარეობიდან სამშობლოს ხსნისა და გადარჩენის გზის ძებნა დაიწყეს და სადღეისოდ უკვე გარკვეული (საგანგებოდ უნდა აღინიშნოს როსტომ ჩხეიძის საჩინო წვლილი ამ საკითხების შესწავლასა და გაშუქებაში) სამოქმედო გეგმაც შეადგინეს, გეგმა, რომელიც გერმანიასთან საიდუმლო კავშირში ხედავდა შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ გონივრულ გამოსავალს. გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში საქართველო თავს დააღწევდა სულთამხუთავ ტოტალიტარიზმს, იმპერიის უსასტიკეს რეჟიმს და საბჭოთა რუსეთზე ბევრად კულტურულ ერს დაექვემდებარებოდა პოლიტიკურად. მართალია, უცხო ქვეყანასთან შესაძლო ურთიერთობის ყველა დეტალსა და ნიუანსს წინასწარ ვერ გაითვალისწინებდნენ, მაგრამ ძირითადი არსი და მიზანი ურჩ მუდამობხეთა თავგამოდებული მცდელობისა ჩვენთვის უკვე ცნობილია.

გასაიდუმლოებულად მოღვაწე რამდენიმე ორგანიზაციის ნევრებიდან ბევრი ერთმანეთს არცკი იცნობდა, როგორც ირკვევა, იცოდნენ მხოლოდ ერთურთის ზრახვა, წადილი და ესეც კმაროდა იმისათვის, რომ სუსტად მბუჟტავი იმედის სხივი არ ჩაქრობოდათ და, თუგინდ საკუთარი სისხლის ფასად დაჯდომოდათ, ბოლომდე ხმაღჩაუგებლად ებრძოლათ საბედისწერო განსაცდელის პირისპირ მდგარი სამშობლოს გადასარჩენად.

უცხოეთში გადახვენილ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს კავშირი ჰქონდათ საქართველოში არალეგალურად მოქმედ ორგანიზაციებთან და პროკლამაციებით მოუწოდებდნენ, რომ რუსებს არ გაჰყოლოდნენ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართულ მიწაზე

მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლი არ დაეღვარათ, ბრძოლის ცეცხლი არ აებრიალებინათ. ამასთან, შეახსენებდნენ იმასაც, რომ საქართველოს არავინ არაფერს ერჩოდა, გერმანიის ჯარი ჩრდილო კავკასიაზე ჩაივლიდა, ჩვენი მიწა-წყალი ხელშეუხებელი დარჩებოდა და, ამდენად, აბსურდი იყო ორ პირგამეხებულ იმპერიას შორის ატიხილ ომში ქართველთა მონაწილეობა... ამ პირობებისა და მითითებების შესრულების შემთხვევაში საქართველო მოიპოვებდა სრულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

იმართებოდა მალული შეხვედრები, შეთქმულთა ვინრო წრეებში ტარდებოდა კრებები, ერთობლივ გარჯასა და მსჯელობაში ჩნდებოდა სამერმისო ბილიკები.

და ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ორგანიზაციების საქმიანობა გამჟღავნდა და დაიწყო რეპრესიები: შეთქმულების მოთავეთა თუ რიგით მონაწილეთა ძებნა, დევნა, დაპატიმრება და დახვრეტა...

ლადო ბალიაურის სიჭაბუკის მეგობარი, ყოფილი პოლიტპატიმარი, მიხეილ ნიკლაური (იცნობდნენ "მწირის" ფსევდონიმით) გვიამბობს: "ორგანიზაციას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სხვადასხვა კურსის ჩვიდმეტ სტუდენტს გვაერთიანებდა, ერქვა "საქთამეკა" (საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა კავშირი). "გასკდა" ჩვენი საქმე და ყველა დაგვაპატიმრეს... 73 დღე ერთადგილიან კამერაში ვიჯექი. მცემდნენ, მანამებდნენ და მაინტერესებდა, კიდეც რა ღონისძიებას მიმართავდნენ ჩემს გამოსატიხად... 1943 წლის ზაფხულში სამხედრო ტრიბუნალმა გაგვასამართლა. მაშინათვე გამოიტანეს განაჩენი, რომელიც საბოლოო იყო და კასაციას არ ექვემდებარებოდა... თითოეულს გვეკითხებოდნენ, რას მოვითხოვდით განაჩენის გამოტანამდე. ზოგმა თქვა: ახალგაზრდები ვართ და შეიძლება ჩვენთვის პატიებაო. ჩემი ჯერი დადგა და დახვრეტა მოვითხოვე (მეამაყებოდა სამშობლოსთვის სიკვდილი). მეგობრები ტაშით შეხვდნენ ჩემს განცხადებას... — დაჯექი, შენ ისედაც უნდა დაიხვრიტო! — მითხრეს ყოველგვარი მიკიბვა-მოკიბვის გარეშე... სასამართლოს დამთავრებისთანავე გადაგვარჩიეს, დახვრეტამისჯილი რვა კაცი ცალკე გადმოგვყარეს. მათგან რამდენიმე გვარ-სახელით მახსოვს. ესენი იყვნენ: დავით გაჩავა ("საქთამეკა"-ს ხელმძღვანელი), მიხეილ ოქროპირიძე (წერდა ლექსებს), ჟორა ჯანგველაძე, ირაკლი გიგაური, ოთარ მაისურაძე (მისი ძმა გოგიც ჩვენს ჯგუფში იყო, ოღონდ მას დახვრეტა 10 წლის პატიმრობით შეუცვალეს)... ომი კავკასიის კარზე იყო მომდგარი, საყოველთაო არეულობა სუფევდა ქვეყანაში, მოსკოვმა ჩვენთვის ვერ მოიცალა (მისი დასტურის გარეშე არ ჰქონდათ უფ-

ლება, რომ დავეხვრიტეთ და ამან გადაგვარჩინა...

შემდეგ ბ-ნი მიხეილი მღელვარებით იხსენებს ჩრდილო ურალსა და კალიმის პოლიტპატიმართა კატორღაში გატარებული თხუთმეტი წლის კომმარულ ამბებს...

ლადო ბალიაურის პირდაპირი კავშირი პროტესტანტთა რომელიმე ორგანიზაციასთან წერილობით წყაროებში ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ მისი ბიოგრაფიული დეტალების გაცნობა საპირისპიროს მეტყველებს.

ჩვენთან საუბარში გაბრიელ ნაროზაულმა თქვა, რომ ბალიაურთ ქალებისგან, ე.ი. ლადოს დებისგან აქვს გაგებული: ერთ-ერთ შეკრებას, რომელსაც შეთქმულთა აქტიური წევრი, მწერალი გიორგი ქადაგიძე ხელმძღვანელობდა, ლადოც დასწრებია.

ნათელი უნდა იყოს, რა რიგის საკითხები იქნებოდა დასმული კრების დღის წესრიგში.

თვით ის ფაქტი, რომ ლადო ბალიაური ამ კრებაზე მოხვდა (შუუძლებელია ინფორმატორთა ცნობის სისწორეში ეჭვის შეტანა), ვფიქრობ, მკაფიოდ მიუთითებს მის მაშინდელ პოზიციაზე და კიდევ იმაზე, რომ ყოველწამიერი საფრთხის პირობებში არალეგალურად ჩატარებული კრების მონაწილენი მას სანდო, საიდუმლოს შემნახავ პიროვნებად თვლიდნენ...

უშიშროების კომიტეტს რა გამოეპარებოდა!

მაღე ლადოს დის ქმარი ნიკო მაკალათია საპატიმროში გამოამწყვდიეს.

როცა მიხვდა ლადო, რომ მასაც სდევნიდნენ და გაიაზრა, რაც მოელოდა, გავიდა თბილისიდან და შუაფხოს შუაფარა თავი... იქ დიდხანს არ გაჩერებულა: არაგვის ხეობაზე ჯარის ნაწილები იდგა, უამუჟამოთ შინსახკომელები მიდ-მოდოდნენ და შუაფხოში დარჩენა და დაყოვნება გარდაუვალ განსაცდელთან იყო დაკავშირებული.

ლადო ბალიაურის დიშვილი, ცნობილი მხატვარი გიორგი ოჩიაური იხსენებს: "... შუაფხოში ვიყავით. ლადოც იქ იყო. ერთხელ მითხრა, წადი, პარაბელუმი მომიტანეო. თან მიმასწავლა, სად მომეძებნა. გავიქეცი. პურიანი კოდი იდგა. ჩავყავი ხელი მხრამდე და ვიპოვე. მივუტანე ლადოს. — რად გინდა-მეთქი? — ვკითხე. — ერთი მილიციელ ჩოხელს უნდა ვესროლო, მეორე ერასტესო (ერასტე — ლადოს ბიძაშვილი, თომა ბალიაურის ძმა — ა.ა.).

მე შევწუხდი. რა ხდებოდა, ვერ გადავხარშე. ვერ მივხვდი, რომ მეზუმრებოდა...

ლადო გაქცეულია, მთები — შეკრული...

შუაფხოდან ლადოს ცოლს, ქეთო ჭელიძეს წავყევი ბარისახოში. იქიდან თბილისში გავაცილე. სამხედროებს ვიცნობდი. შინელი მოა-

ფარეს მანქანაში და დამალული გამოატარეს. დავბრუნდი უკან. უკვე თენდებოდა. ტყდებოდა ცისპირი. ორწყლის ზემოთ შემხვდნენ ოთხნი. მოვიკითხეთ ერთმანეთი. — სად იყავით-მეთქი?

— დათეს ვყარაულობდითო. არ გეშინოდითო? რაა საშიში, ჩვენ ისეთი გამოცდილები არა ვართ, მოვარტყათ და გამოგვეკიდოსო...

— აქედან მარტოს ვერ გაგიშვებთო! — მითხრა შაბურათ ხთისომ.

მერე ღამე გამომაპარეს...

შუაფხოდან წამოსულ ლადოს გზაზე შეხვედრია ნაცნობი მილიციელი ადუა ლიქოკელი. მისალმებიან ერთმანეთს.

ლადოს უკითხავს, რატომ გაცვია ფორმის სამოსიო? ადუას მიუგია, ომანიძემ დამიძახა და მითხრა, ოპერაციაა განზრახული, ოპერაცია უნდა ჩავატაროთო...

ლადო მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, რა ოპერაცია უნდა ჩატარებულიყო და გველეთისკენ წავიდა. გზად მიმავალს ჰდადა არაბული აეკიდა, ესროლეს ერთმანეთს. როგორც ჩანს, ჯერ ლადომ ესროლა და ამ დროს დაგორდა საზვავეზე (უტყუო რუვს ჰქვია "საზვავე"). დაიმტვრია ფეხი. დაკარგა თომას ნაქონი პარაბელუმი...

მერე ჯუთაში გადავიდა და ის სთველი და ზამთარი და-სიძის ოჯახში გაატარა...

სანახავად წავიდა ბებიაჩემი ბერდედა, თან თეთრქალი გაჰყვა, ნიკო მაკალათიას მეუღლე. საძეღეზე (როშკიდან ჯუთაში გადასასვლელი უღელტეხილი — ა.ა.) რომ ავიდნენ, ნახეს: სამხედროებს გზა აქვთ შეკრული. არ უშვებენ მგზავრს.

— გერმანელებისგან გამოქცეულებო, მე მერევეითო! — დატუქსა ბერდედამ სამხედროები, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. დაბრუნდნენ ორივენი უკან, ვერ გადავიდნენ ჯუთაში.

* * *

დასანანია ბედი დევნილისა!

წამის-წამ უამური ამბის მოლოდინს ძილ-ღვიძილის ზღვარი წაუშლია მისთვის და გალიაში გამომწყვდეული ტყიურივით აწყდება ერთმანეთზე უარესი, გალეგებული და გალიგვებული დღე-ღამეების ყრუ, უგრძნობელ კედლებს.

შემთხვევით გზად გადაყრილი უცნობი პოტენციურ მტრად ესახება და გამომცდელი მზერით ზომავს მის ყოველ ნაბიჯს, გამოსხედვას.

ხალხის თავშესაყარზე, თემშარაზე ანდა საფიხვნოზე ისე ხშირ-ხშირად აღარ ჩნდება, სახლიდან გარეთ იშვიათად გამოდის და ვინ-

რო სარკმლიდან ადევნებს თვალს სოფლის სადაგი დღეების ჩვეულ დინებას... ვინ იცის, გაურკვევლობის ბურუსით მოცული გზის რომელ მოსაყუდშია ჩასაფრებული ძუ მგელივით დაუნდობელი სიკვდილი, რას უქადის თვალთ უხილავი და კაცთა გონებისთვის მიუწვდომელი წერამწერელი!

არადა, რა ჭახჭახა ფერებით იყო გადახატული ერთი-ორი წლის წინ აქაურობა, რა უდარდელი ხმები ისმოდა მთების უბეში ჩიტის ყურ ბუდესავით ჩამყუდროებული შუაფხოს (შუა ფხოვი, ფხოვის შუაგული!) სანახებში...

1940 წლის 6 ივნისით დათარიღებულ, თვითირონიის ჭავლით ზომიერად გაჯერებულ ბარათში "ჩემო ძვირფასო მეგობრებო" გაბრიელ ჯაბუშანური ადრესატებს (მარო, თინა, ლეილა, ქეთო ჭ.) მოუთხრობს ლადოსთან ერთად თბილისიდან შუაფხომდე მგზავრობის ამბავს.

26 მაისი, მათი მგზავრობის დღე, ხსენებული ბარათის მიხედვით, დაუვინყარი უნდა ყოფილიყო ორივესთვის: დაგვიანების შიშით საქვეტოტრანსის სადგურში "აქლოშინებული" პოეტის მისვლა; "სარეკელიზმით დაავადებული" ერთი ავყია დედაკაცის თანხლებით დუშეთამდე მგზავრობა; დუშეთში ლადოს რამდენიმე "ვიზიტი"; შარახევას "ჭკვიდან შერყეული ტალღების" ფეხით გატოპვა; გრძელი ვახშმობის კვირაძალზე მალაროსკარში შეჩერება და ვინმე ტანიასთან "ჩაის სმა ლეინის კვალადა"; მეორე დილით გზის გაგრძელება ნისლსა და წვიმაში ("წვიმდა და იყო მეხის გუგუნი, ზვიად ბუნებას ადგა პირ-ქაფი"). "მივდიოდით მე და ლადო, წვიმდა. წვიმდა, წვიმდა" (გამსახურდიას ვარიაცია); თხილიანას ახლოს ნაცნობ მებოსლე დედაკაცთან შესვენება, დანაყრება და სულ ცოტა ხანში "ლაპორნაკების" გამოჩენა ლელასთან.

და შემდეგ შუაფხოს წყნარი, თავანკარა წვიმებით განედლებული დღეები!..

"რას ვაკეთებთ?

დილით ადრე, როცა "მამლები ყეფენ და ძაღლები ყვიან" (კარლო კალაძის ვარიაცია), ვდგებით. საუზმის შემდეგ ხატში მივდივართ. დავსხდებით განცალკევებით. მე ვინვი პოეზიის ნელ-თბილი ცეცხლით, ხოლო ლადო პროზის არისას ურევს. წვიმის გარდა არავის არ შეუძლია ჩვენი ცეცხლის განელება..."

პოეტი იქვე დიდი სიყვარულით საუბრობს ლადოს ქალიშვილზე, ლამარა ბალიაურზე: "მე და ლამარა ძალიან დავმეგობრდით. მან ამკარად შეიცნო ჩემში უნაზესი პოეტის სული. მუდამ ერთად დავსეირნობთ და იმდენი რამ მიაიმო თავისთავზე, შუაფხოელებზე და სხვებზე, რომ მე ამას ალბათ სამ წელშიც ვერ გავიგებდი".

ბარათი გვახვედრებს, რომ ლადო ბალიაურს და გაბრიელ ჯაბუშანურს შუაფხოში ყოფნისას იახსრის ხატში განმარტოება ჰყვარებიან. ვინ იცის, რა შთაგონების ცეცხლი ეკიდათ ხოლმე ამ დროს ქალაქს გამორიდებულ, სულმოფონებულ, მთის ნიაკით შუბლგაგრილებულ, რომ იტყვიან, თავის სტიქიაში მყოფ სიყრმის მეგობრებს... და ისიც რამდენად ნიშნულია, რომ თოთხმეტი წლის შემდგომ შუა აზიიდან ჩამოსვენებული ლადოს ნაწილ-ნაწილ დაშლილი ძვლები სწორედ იმ ხატის წმინდა მიწის ნიაღში დაფლეს, რომელიც ასეთი ზებუნებრივი ძალით იზიდავდა სიცოცხლისა და სილამაზის საკურთხეველთან მორჩილად მუხლმოყრილ მწერალს...

გაბრიელი ბარს დაემშვიდობა და მშობლიურ არხოტში გადაბარგდა.

ლადო თბილისში დარჩა.

მიმსვლელ-მომსვლელთა წყალობით სწვდებოდა გაბრიელის ყურს მისი ნაცნობ-მეგობრების თავზე დატრიალებული სამწუხარო ამბები თბილისიდან. "უნივერსიტეტის ხალხის, ჩვენი დეკანისა და ახალგაზრდა პოეტების შესახებ ვერაფერს მოგწერ. ამის შესახებ პირადად ვისაუბროთ, როცა მანდ გადმოვალ", — სწერდა პოეტი თინა ოჩიაურს და ბარათის დასასრულ ეჭვნარევი კილოთი მიმართავდა: "მომწერე ლადოზე, სად არის?.."

ეს იყო 1942 წლის მაისში.

ლადო ამ დროისათვის შუაფხოში იმყოფებოდა და დღე-დღეზე ელოდა დაჭერას.

ხოლო უნივერსიტეტის ხალხს, დეკანს და ახალგაზრდა პოეტებს, რა ბედი ეწიათ, მკითხველს კარგად მოეხსენება.

"ჩვენს დეკანში" გაბრიელი გულისხმობს თანათაობელ სტუდენტთა, ასპირანტთა და შემოქმედთა საყვარელ მოძღვარსა და დამრიგებელს მიხეილ ზანდუკელს, რომელმაც ბოლომდე შეუბღალავად ატარა თავისი კაცური ღირსება, ზნეობა და საქვეყნო იდეებისთვის უღალატო ერთგულების მაღალი შეგნება; გამოსცა კატორღა, დაუმსახურებელი დამცირება, ბრალდება და ცილისწამება, მაგრამ ერთი წამითაც არ გაუვლია გულში პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ რამენაირ დათმობაზე წასვლა.

მიხეილ ზანდუკელის ნასტუდენტართა მოგონებებში ცხადად იკვეთება მათი სათაყვანო ლექტორის მამულიშვილური სახე და სულისკვეთება. მკაცრსა და პრინციპულ აღმზრდელს ხშირად სცოდნია ხვალისდელ დღეზე ჯერაც ბუნდოვანი წარმოდგენის მქონე სტუდენტების დამოძღვრა შემდეგნაირად: "ახალგაზრდებო, რასაც ახლა ჩემზე იტყვიან (გულისხმობდა სამდურავს), თქვენთვის იყოს, ხოლო რასაც მერე (ე.ი. როცა უმაღლესს დაამთავრებთ და კარგად

დაფიქრდებით) იტყვიot, ის ჩემთვისო... რუსებს თქვენზე მაღალ ნიშანს ეუწერ, თუნდაც არ იცოდნენ; როგორ გგონიაot, სიკეთეს ვუმერებოთ? თქვენ ჩემგან შეღავათებს ვერ მოესწრებით, ქართველი სტუდენტებისგან პირველ რიგში ცოდნას ვითხოვო..."

მიხეილ ზანდუკელის კაბინეტიდან ქართული საბეჭდი მანქანა დაკარგულა და ამის გამოც მისთვის დაუდიათ ბრალი, შენ ნაციონალისტი ხარ და იცი, ვინ წაიღო და რა მიზნითო.

სხვათა შორის, ამ ბრალდების საფუძვლიანობას ადასტურებს ივანე მაჩაბლიშვილის "მცირე მოგონების" ("მამული", N23, 1993 წ.) ის ნაწილი, სადაც საუბარია უნივერსიტეტიდან ბიჭების მიერ გამოტანილ "რემინქტორზე" გადაბეჭდილი პროკლამაციების გავრცელებაზე ხალხსა და სიონის ტაძარში...

არც ის გახლავთ შემთხვევითი და უწინაპირობო, რომ საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ (დააპატიმრეს 1942 წლის 20 იანვარს, ორ წელიწადს შინსახკომის ციხის ჯურღმულებში ტანჯეს და აწამეს, ხოლო მერე — ჩრდილო ყაზახეთში. პატიმრობიდან დაბრუნდა 1947 წლის 19 იანვარს, ე.ი. დაჭერიდან ზუსტად ხუთი წლის თავზე) მისთვის უნივერსიტეტში ლექციების ჩატარების უფლება ჩამოურთმევიათ და რუსული ლიტერატურის ისტორიის კურსის წასაკითხად თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაუგზავნიათ. ერთი სიტყვით, საბჭოთა იდეოლოგიისთვის საშიში პიროვნება წლების მანძილზე ნიშანში ჰყავდათ ამოღებული და ამაოდ ცდილობდნენ თავიანთ "რჯულზე" მის მოქცევას, "მონაღმართებას".

მაინც რა უცაბედად შეიცვალა ყველაფერი!

სიჭაბუკის დაუდეგარ სურვილებს მდულარე გადაესხა, ჩაიკაფა უკან დასახევი ხიდები, დასრულდა ტკბილი სიზმარი, გაიშალა ნარეკლის ლოგინი და დაიწყო ძეძვით დაფარული ღორღიანი აღმართები — სულის მკანრაჲი და მუხლის ღონის დამღევი...

არაბულების სოფელი ჯუთა, სადაც 1942 წლის შემოდგომიდან მომდევნო წლის აპრილამდე აფარებდა თავს ლადო ბალიაური, სნოს წყლის სათავეში მდებარეობს და რაიონული ცენტრიდან ოცი კილომეტრით არის დაშორებული...

სოფლის მოპირდაპირე მხარეს, პირმზითში კუმტად ჩამოყუდებულ ბუნებრივ სიმაგრეში, "შავ ქარაფად" რომ მოუნათლავთ წინაპრებს, ძნელად გასავლელი ლადე-ლუდე კლდის შიბი მიადგება ერთ მომცრო გამოქვაბულს, რომელსაც "ლადოს ეხს" ეძახიან.

აქ, ორბ-არწივების საბოინოს სიმაღლეზე, საიდანაც ხელისგუ-

ლივით მოჩანს სოფელი და სოფლის შემოგარენი, რამდენიმე თვის განმავლობაში იმალებოდა ლადო.

ეხი მეტად ვიწროა, იმდენად ვიწრო, რომ ერთ კაცსაც კი უჭირს წესიერად გამართვა და მოსვენება.

დაზამთრებამდე, თითქმის ყოველდღე, აქ ბინადრობდა, ხანდა-ხან ლამეს სოფელში გათხოვილ დებთან ათევდა და დილასისხამზე, ისე, რომ თვალი არავის მოეკრა, კვლავ შავი ქარაფისკენ ეშურებოდა.

მოხერხებული სათვალთვალოდან გამჭრიახ მზერას სოფელში შემოსული მგზავრი ადვილად ვერ გამოეპარებოდა. რახან ძებნა იყო გამოცხადებული, მუდამდღე იყო მოსალოდნელი შინსახკომის შეიარაღებულ თანამშრომელთა გამოჩენა, ამიტომაც ფრთხილობდა ლადო, დევნილის გადაღლებულ ცხოვრებას მიათრევდა ბრგე მხრებით და საფერ მტერთან პირისპირ შეყრას ჩვეულს ერთობ უმძიმდა მისთვის უჩვეულო მდგომარეობასთან შეგუება...

გამოქვაბულს, რომლის ყრუ და ყიამეთ კედლებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ კენტი ხიზანის უძილო ღამეები და გულის გმინი, სოფლის მოსახლეობამ "ლადოს ეხი" შეარქვა. ასე უკედავყო ხსოვნა კაცისა, ვინც თავისი ტრაგიკული ბედით და ხლართიანი თავგადასავლით წარუშლელად აღიბეჭდა მის შეგნებაში და თაობიდან თაობაზე გადავიდა, როგორც ცოცხალი მაგალითი უკუღმართობასთან შეურიგებლობისა.

* * *

სოფელს სასთვლო სამუშაოები მოუღევია.

გრძელი ზამთრის მოლოდინში გარინდებულ მთებს გამთოშავი ჭირხლი მოჰკიდებია.

ზამთრისპირულ სევდასა და მონყენილობას მოუცავს არე-მიდამო...

ცხრა მთის გადაღმა ატეხილი ომის საზარი ექო ნაკლებად აღწევს აქამდე, მაგრამ ქვეყნის მძიმე განწყობილების შორეული გამოცხადილი მაინც იგრძნობა: ავბედითი წინათგრძნობა დაუფლებია ბერსა თუ ახალს. მითუმეტეს, რომ სოფლის რამდენიმე რჩეული ვაჟკაცი ფრონტზეა გაგზავნილი და ღმერთმა უწყის, დაუბრუნდებიან თუ არა თავიანთ ჯალაბობას...

და-სიძეთა ოჯახების გარდა კიდევ ერთმა-ორმა კაცმა თუ იცის ლადო ბალიაურის ჯუთაში ყოფნა, ნებაყოფლობით ტყვეობად ქცეულა მისთვის მოკეთეთა ჭერქვეშ ფარული ცხოვრება. ძალზე იშვიათად გამოდის გარეთ. სწადია საფიხვნოზე შეყრილ ხალხთან შეხვედრა, გულში ნადული ტკივილის გაქარვება, მაგრამ რა ქნას, ქვა-

ყორესაც ყურები ასხია, ყველას ვერ ენდობა, გამცემი აქაც გამოჩნდება (რამდენიმე თვის შემდგომ, მისთვის ყველაზე მწვავე წუთებში, აკი გამოჩნდა კიდეც!) და იძულებულია, სანახევროდ ჩაბნელებულ, მწურის სუნით გაჟღენთილ ძირისახლებში დამწყვდეულმა ადევნოს თვალი "მწარე დღეთა ჯარის დენას" (გიგიტა არაბულის სახლის შუშაბანდის რაფაზე ეს სიტყვები ყოფილა წარწერილი ლადოს მიერ).

გასამსალებელი ყოფიდან აღმონაცენი შავი ლამის, სიმწრის, სიმარტოვის და კაცთაგან განაკიდებობის მტანჯველი განცდა, მერე და მერე, თანდათანობით გამძაფრდება და გაძლიერდება შვებანართმეული მწერლის ნააზრევში: "ვუმზერ თოვლში და ღამეში ატუზულ ერთადერთ ხეს, ჩემებრ მარტოდ დარჩენილ ხეს... ხე იძარცვება თოვლში და ღამეში, ხე ქრება და ჩემს სულს სიმარტოვე ეუფლება. მარტოდ მარტო ვრჩები ადამიანებს შორის... მინდა ვიძახო, ვიძახო მთელი ხმით, ბავშვობისას რომ გავსძახოდი მთებს, მაგრამ ჩემი ხმა ჩემშივე რჩება, თვით მე არ მესმის ჩემი ძახილი და ვქვითინებ უცრემლოდ, ვქვითინებ გულის სიღრმეში" ("გატეხილი ღამე"). "რა ვიცოდი, რომ მე შავი ბედისწერა წამომენია შავ ღამეში, რომ აქედან დაიწყებოდა მწარე დღეები ჩემი ცხოვრებისა" ("ცრემლიანი სიცილი").

გზა ხსნისა თითქოს არა ჩანს; მოზღვავებული ფიქრის წანამქრულ ხვეულებში ავად მკსინავი ვეშაპი ჩანოლილა; თვალსაწიერს კურუმი ნისლის მზერაშეუვალი ფარდა აპფარებია... და ამ ლეგა, ლუგუმი დღეების უგზო ქარავანს ისევ და ისევ სუფთა ფურცელთან განმარტოება თუ უშველის...

მიწური ოთახის უკანა მხარეს, გომურსა და ოჯახის საზამთრო სამყოფს შორის, ჩალაჩაგებული ტახტი დგას. იქვეა ხელით უხეშად ნაჩორკნი სამფეხა სკამი და მოგრძო მაგიდა. და როცა მასპინძლები იძინებენ, ლადო მაგიდაზე შემოდგმული ნავთის ღამპის მხრჩოლავ ალზე ალბობს, ანართობს და ეფერება უხილავი ჯადო-ჯავართ გაჯერებულ ქართულ სიტყვას, მისივე ნათქვამს რომ დავესესხოთ, "მარტოდ მარტო იცრიცება ბნელ ღამეში".

სხვა, არანაკლებ საინტერესო საქმისთვისაც მიუყვია ხელი: ზღაპრებს, ანუ, როგორც აქ იტყვიან, "ამბავებს" ინერს გულისდამლევი ზამთრის უსაშველოდ გრძელ ღამეებში.

საარქივო მასალებში აღმოჩნდა ჯუთაში ჩანერილი ზღაპრებით სავსე ექვსი 12-ფურცლიანი რვეული. ერთ-ერთი რვეულის ყდაზე წერია: "როშკის თავ თეთრო ციხეო, ჩაიცვი მიგრის ტყავიო".

ზღაპრები ჩანერილია ფანქრით. აი, რამდენიმე მათგანის სათაური: "ახრაკა", "ოქროს თმაქოჩრიანთ ამბავანი", "ბებრის ამბავანი",

"სამ ძმათ ამბავანი", "ჭერემაის ამბავანი", "ცალარქა ხარის ამბავანი", "ვიროის ამბავანი", "ნაცარქეჩიას ამბავანი", "მენისქეილესა და მელაის ამბავანი", "მელორის ამბავანი", "ნითლის ამბავანი", "აშლოკინაის ამბავანი", "ატრაციცოს ამბავანი", "ხეთაგანის ამბავანი", "ნახევარა წინილუა".

სამწუხაროდ, არ არის მითითებული მთხრობელთა ვინაობა; არც თარიღებია დასმული ზღაპრების ბოლოს, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ამცირებს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ტექსტების მხატვრულ-შემეცნებით ღირებულებას...

"ერთხელ გიგიტათ სახლის ბანზე ვისხედით, -- იხსენებს მამაჩემი. — თარუამ განზე გამიხმო და მითხრა:

— დავითო, რვეულებ არ გაქვად?

— რაად გინდავ? — ეხკითხ მე.

— აი, ლადოიავ აქავ, სწერს რასამაო-დ რვეულებ აღარ აქვად.

ჩემთან გამოცხადდა ლადოს იქ ყოფნა.

მე თვითონ ავუტანე რვეულები. შუშაბანდში იჯდა და მელოდებოდა, მადლობა გადამიხადა... მაშინ ახალგამოცემული იყო გამსახურდიას "მთვარის მოტაცება". ლადო მეკითხებოდა:

— წაგიკითხავაევ, იცნობაევ ამასავ?

აღარ მახსოვს, რას ეპასუხობდი.

ძალიან აქებდა "მთვარის მოტაცებას".

იმის მერე ხშირად ავდიოდი და ვსაუბრობდით ხოლმე...

ახალ წელზე მამაჩემმა დაჰპატიჟა ("კოხ ქვასავით არისო", — იცოდნენ მამაჩემზე, მართალი კაცი იყო, მოურიდეტი). მე მაშინ არ დაეუხვდი, ძირისახლ ვცხოვრობდით. როცა მივედი, ეტყობა, უცხო ეგონე, ხმაურზე გასულიყო და დამალულიყო. გაიგო, რომ მე ვიყავი. მოვიდა და დამკოცნა... ლადოს რომ სახლში მოიყვანდა მამაჩემი, სხვას არავის ეტყოდა".

მთელი ზამთარი მოუსვენრობაში გალია ლადო ბალიაურმა. ჟამი იდგა ჟამიანობის სადარი და დაჭერის შიშმა სიფხიზლეს მიაჩვია. არც გაემტყუნებოდა. წარა-უგონთ დატრიალებული მოვლენების შემყურე სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. "საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო" და ისიც შეგნებულად გაუბოდა სიკედილის სანარდიმოდ ქცეულ სისხლიან სარბიელს...

ყოფილა ასეთი შემთხვევა: სოფლის სხვა უბანში, მეორე დასთან მყოფს, ივანეთ ბაბუასთან და ქოსათ ჩაჩაურთან ჩხუბი მოსვლია. გაუმჟღავნებია თავი და დილით, ხალხის დასანახად, გიგიტას არხოტის მიმართულებით გაუცილებია... გიგიტა რომ დაბრუნებულა, მამაჩემს უკითხავს:

— ამ თოვლში მთაზე როგორ გადავა, სად წავიდაო?

არბოტში! მიუგია გიგიტას.

იქვე დიაცები მსხდარან და მათ რომ არ გაეგოთ, რესულად ჩაუ-
ლაპარაკნია: "ობრატნო ვერნიოტსია"

სოფლის თვალის ასახვევად მოფარებულ ადგილამდე მიჰყოლია
სიძე ცოლის ძმას; კარგად რომ დაბნელებულა, ლადო ისევ სოფელ-
ში შემოპარულა.

იცოდა, რომ თავის ბედსა და წერას ვერსად ნაუვიდოდა, ცას ღი-
ლად ვერ შეებმოდა, ადრე თუ გვიან, უეჭველად გაუთენდებოდა ყვე-
ლაზე მწარე, უმზეო და უსალბუნო დღე...

დადგა გაზაფხული და გულმა შინ აღარ გააჩერა. ანდა რა გააძ-
ლებინებდა ჭვარტლიან კედლებში რომანტიკული სულის კაცს. ოხ-
შივარგადამდინარი მინის სიღრმიდან ნამოსული დაგუდული დუდუ-
ნისთვის ყურის დაგდება ერთ სიცოცხლედ უღირდა; რილო-ჭრი-
ლოს ჩაძინებული ვეფხვისთვის დაემსგავსებინა სერ-ფერ გაცრეცი-
ლი თვალადი მთები. მათ მკერდზე დაბიჯებას საკუთარი ნებით რა-
ნაირად აღიკვეთდა დაბადებიდან ბუნების გამოუთქმელი სიყვარუ-
ლით გათანგული ადამიანი! ...

წინანდებურად აღარ ფრთხილობდა. ვინ იცის, ეგებ ხელი ჩაქნე-
ულიც ჰქონდა და ფიქრობდა, თავისუფლების დარჩენილი დრო თა-
ვისი ბუნება-ხასიათის შესაფერისად გამოეყენებინა.

საქმესაც აკეთებდა და ერთობოდა კიდეც: მთრეხის მზისპირში
წინ-წინ ამშრალი ბექ-ბუქებიდან შეგროვილი ხმელი ბალახის კონას
შეკრავდა და ხან ერთი, ხანაც მეორე დის ოჯახში მიიტანდა. დროის
მოსაკლავად იქცეოდა ასე, თორემ მისი ზურგით ნაზიდი ბალახი რა
დიდ შეღავათს მისცემდა ზამთრის ქარაშოტებში დამჭლევებულ
ცხვარ-ძროხას...

და იმ ნავსიანმა დღემაც აღარ დაიგვიანა!

იქნებოდა თენების ხანი, შინსახკომელებმა სოფლის შარა-უბნებ-
ში რომ იწყეს დენა. თითქოს მინა გაირღვა და იქიდან ამოვიდნენ
თოფ-იარაღში ჩამჯდარი ფორმიანები. დამზაფრველი იყო განთია-
დისას მათი უეცარი გამოჩენა გამტკნარებულ სოფელში. ზოგმა
პირდაპირ გიგიტას სახლისკენ აიღო გეზი, მსხვერპლზე დაგეშილი
ნადირის უტყუარი ალლოთი მიადგნენ ლადო ბალიაურის სამალავს,
ხოლო ნაწილი მზისპირის ყანებით მთრეხისკენ წავიდა. ღურბინდე-
ბით მოჩხრიკეს მთრეხის ხევი, ლადოს ეხის მისადგომები და საეჭვო
რომ ვერაფერი ინიშნეს, უკანვე გამობრუნდნენ...

ლამე იფარეს და ქურდულად შეიპარნენ სოფელში. ჯუთელი ქალ-
კაცი უცებ ვერც მიხვდა, რას ნიშნავდა ამ დილაბინდზე რამდენიმე
ალაგას დაყენებული მილიციის ყარაული...

რაიონის შინსახკომის უფროსმა ღონღაძემ კაცებეს მაშინდელი

თავმჯდომარის რაფაელს წერილობითი დოკუმენტი წარუდგინა გიგიტას. მძლავრი მბრძანებელი ხელქვეითს ავალებდა, ჯუთაში ლადო ბალიაური იმალება და დაუყოვნებლივ დააპატიმრეთო!.. ოჯახის უფროსმა ცივი უარი შეაგება სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანთა დასჯაში დიდად გამეცადინებული ხელისუფლების რიგით მოხელეს: გასულ ზაფხულს აქეთ ლადო თვალთ არ მინახავს, ჩემთან რომ იმალებოდეს, მთელ სოფელს ეცოდინებოდაო... მაინც არ ენდნენ გიგიტას სიტყვას. სახლის ყველა კუთხე-კუნჭული საგულდაგულოდ შეამოწმეს, სხვენშიაც შეიჭვრიტეს, არც საპურე გოდრები და კიდობნები დატოვეს მოუჩხრეკავი...



გიგიტა არაბულის ოჯახი

გულადი და გამოცდილი კაცი გახლდათ გიგიტა, საიდუმლოს აკრე იოლად არავის გაანდობდა. ცდა არ დააკლო და ბილის, როგორც იქნა, დაარწმუნა ღონლაძე, რომ სოფელში ლადოს ძებნას აზრი არ ექონდა... სწორედ მაშინ, როცა ხელმოცარულ მილიციელთა რაზმის უკანასკნელმა წევრმა გადაიარა გულამღვრეულ მდინარეზე გადებული ხიდი, სოფლის პირის მტეხმა ლაქარდიანმა მოენემ საქმის ნამდვილი ვითარება აუწყა ღონლაძეს... რაზმმა კვლავ სოფლისკენ იბრუნა პირი და რამდენიმე წუთში გიგიტას სახლის სახურავი ტყვია-ნამლის ბოლში არ ჩანდა...

რამდენიმე რაზმელმა დიდსულოვნად დაინდო, სათოფედ ვერ გამეტა ლადო. იცნობდნენ და ენანებოდნენ სანაქებო ვაჟკაცი. მათ

შორის იყო ხთისო ლიქოკელი, რომლსაც "ზალპის" მიცემაში მონა-
წილეობა არ მიუღია...

მანძილი მეზობლის ბანსა (სადაც იარაღშემართული მილიციე-
ლები იდგნენ) და გიგიტას სახლის სხვენს (ლადოს თავმესაფარს)
შორის, ბევრი-ბევრი ათიოდე მეტრი თუ იქნებოდა და დაჭრილი
დეზნილის გმინგარეულ ძახილზე: "ნულარ მესვრით, დავიჭერიო!"
ტყვიის წვიმამ კიდევ უფრო იმატა...

ადვილი წარმოსადგენია მდგომარეობა დებისა, რომლებიც თავიან-
თი ძმის დამსჯელი ოპერაციის მსვლელობას საკუთარი თვალთა უყუ-
რებდნენ... როცა თარუამ განწირული ხმით დაუძახა ძმას, "თუ ცოცხა-
ლი ხარ, ამძრაახდიო", 1914 წლის პირველი მსოფლიო ომის მონაწილემ,
ყაზბეგის რაიონის მილიციის უფროსმა ვანო მაჭარაშვილმა ნიხლი ჩა-
აზილა უსასოო ქალს (მეორე თუ მესამე დღეს მაჭარაშვილი ანდეზიტის
საავადმყოფოში მოთავსებულ ლადოსთან შესულა და ნიშნისგებით
უთქვამს: "დაგიჭირე, მამაძაღლოო?!" პასუხად ლადოს სანყლე გრაფი-
ნი აუღია და სახეში უთსლემია გულქვა ცინიკოსისთვის).

სახლის ზემოთ ნიკო ფიცხელაური (მეტსახელად: აკადედაის შვი-
ლი) გამოჩენილა და წითელი კარაკულის ნატყვიარი ქუდი უჩვენებია
"თანამებრძოლებისთვის", აი, კინალამ შუბლი გამიხვრიტაო!.. რო-
გორც ჩანს, არც ლადო მჯდარა გულხელდაკრეფილი და შეძლების-
დაგვარი წინააღმდეგობა გაუწევია მილიციელებისთვის...

შენწყდა სროლა.

სახლის სახურავის საბჯენი უკანა ყორე გადმოშალეს და დაჭრი-
ლი ლადო ბანზე ჩამოაგდეს.

ბალახის კონებზე მხარგვერდმისვენებულს თქრიალით გასდიო-
და სისხლი. ჯიბედან დომინოს მწვანე ქეები ამოიღო და დაბლა გა-
დაყარა, "რადლა ეშმაკად მინდავ"... სარკე მოითხოვა, ჩამახედეთ,
შეშინებული ხომ არა ვარო... ყველა ტყვია ფეხებში ჰქონდა გავლი-
ლი. ექთანიც არ იყო სოფელში, ჭრილობები რომ შეეხვია. მარხილზე
დაანვინეს, უღელში ხარები შეაბეს და ასე, ხარმარხილით ჩაიყვანეს
ნადარბასევამდე. ოთხი კაცი გაჰყვა სოფლიდან: გიგიათ დავითი,
ხუტათ აკია, ბენინათ მიხიელი და მამაჩემი... პირი უშრებოდა და
წყალს ითხოვდა მაღლი-მაღლ... ნადარბასევიდან მანქანით გააგრძე-
ლეს გზა... გახუნებული ნაბდის ქუდი ეხურა. სულწუხად იყო, მაგ-
რამ გაუსაძლის ტკივილებს წარბშეუხრელად ითმენდა... მილიციე-
ლებმა სოფელ კარკუჩის მაღაზიაში არაყი იყიდეს და დავალების
წარმატებით შესრულების აღსანიშნავი "მალარიჩი" დალიეს...

ლადოს სიძეები - გიორგი და გიგიტა არაბულები როგორც "ბან-
დიტის" მფარველები და შემნახავები, ერთი თვე ციხეში აყურყუტეს...

მზექალ ნიკლაურის მოგონებიდან: "ტიროდეს დები და რასლა იქ-

მოდეს. თარუამ თქვის: "გურამივ წყალში რო ჩამივარდავ (უფროსი ვაჟი ჯუთის წყალმა მოსტაცა თარუას ა.ა.), ქვე ვხედვედივ, ლადოს ქვე ვერ ვხედავავ" ... ჩანვის ბანზე, იქვითინის, ლადო რო წაიყვანეს"

შინსახკომელებმა "მონყალება" გაიღეს და ორივე ფეხში მძიმედ დაჭრილი ლადო ბალიაური აჩხოტის ანუ ანდეზიტის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს...

"მე ძალიან კარგად ვარ, შვიდი ნატყვიარი მჭირს!" სნერდა ლადო ანდეზიტის საავადმყოფოდან თავის დიშვილს, იმხანად უნივერსიტეტის ასპირანტს ქ-ნ თინა ოჩიაურს.

ირონიის კილოზე აჟღერებული ეს სიტყვები მთელი სისავსით ათვალსაჩინოებს მწერლის სულიერ სიმტკიცეს და ვაჟკაცურ შემართებასთან წილნაყარ არტისტულ ბუნებას.

თინა ოჩიაური იგონებს: "სამხედრო გზაზე ჯარის ნაწილები იდგა და ჭირდა მგზავრობა. თბილისიდან ერთი ვაი-ვაგლახით ჩავალწიე ხევში. საავადმყოფოს მთავარ შესასვლელთან ახალგაზრდა მოხევე დამხვდა. შეშვებაზე უარი არ უთქვამს, მაგვრამ გამაფრთხილა: "ჩქარა გამოდი, არ დამლუპოო" (როგორც გაირკვა, ეს მოხევე ვალერიან ფირანიშვილი გახლდათ — ა.ა.). შევედი პალატაში. შენუხებულის მეჩვენა ლადო. "რა ამბებიო?", — მეკითხებოდა. მე ვუთხარი, გიორგი ძიგვაშვილი და სხვები დააპატიმრეს-მეთქი. "ოჰ, რა ცუდი ამბებია, რა ცუდი ამბებიო!", — დანანებით იმეორებდა..."

* * *

ოდინდებურად აღარ ზეობდა ხალხური ლექსი; ძველებური ფზა და ელვარება მოჰკლებოდა სტრიქონს; აღარ იყვნენ გარდასულ თაობათა ჯუფთი მელექსენი და მაინც, წინამორბედთა პოეტური ტრადიცია ჯერაც მყარი და მოუშლელი იყო ხევსურეთში... სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩინებული მელექსე გახლდათ თვით ლადოს და, თარუა ბალიაური. მისი ავტორობით ცნობილი ორი მშვენიერი ლექსი შეტანილია 1931 წელს გამოცემულ ა.შანიძის "ხალხურ (ხევსურულ) პოეზიაში"... და რა გასაკვირია, დის სახით ლადო ბალიაურის ცხოვრების ტრაგიკულ ეპიზოდსაც რომ გამოუჩინდა საფერი მესიტყვე... თინა ოჩიაურის პირად საარქივო მასალებში დაცულ ორ ფარატინა, ფანქრით ნაწერ ფურცელს დღემდე მოაქვს იმ უყისმათო დღის აჩქარებული სუნთქვა, ავტორის გულიდან ამოხეთქილი სევდა და სიამაყე:

სამშამათს გათუქუბდა მთაჯობა გადგას თაყსათ,
იბუქუნ ძალიაჯბას, მგლისას მამასაქუნას კალსათ,
"გამაიყვანუ, გაასიყუნუ, სად ღმალაჲ ცოლის მმასათ!"
გაგიცა ექმნუძოდა: "აბას გაგიღუბთ კატათ!..."

თითქმის დაწყება აბრეშუნი, იცნობს ცეცხლის პლანს.
მალა მალა გზის კბილას, დაშლა კბ-კბილას...
ჩამოიყვანეს დაქრული, უსულო ნაცყობასათ,
დიდი დგას ციხილ-ქმეცნი, და დედათ დედას მბრუნათ,
გაიგებს ლადის დედა, აღარ იცნობს თანასათ,
"სად მცხინარ, მცხინარ მამეკე, ბრგონ მამეკე ქმსათ,
სიბი-ცოლისმბრუნ და დედათ, მაგონ მცხინარ ჯანსათ,
ბრგონ და გაქმნებრგონ დედას მამეკე მამეკე მამეკე.
ცხენ დაბრე უკაცრფელი, უკაცრფელი დაბრე ნაღასათ,
აულოურ თესმბრუნასათ, ათელოურ გზასათ.
ცოცხა თესმბრუნასათ, თითქმის აბრეშუნი მბრუნათ..."

.....
ბიბრე აბრეშუნი, სასულ არ უცი, გუბრით,
(.....) თანე წამადგა ჯანით,
ჯან დაბრე სთელად, ჩხრეც დუბრით გზანით,
მემრ გამაძალეს უდელი, ქეზე ნახსამნი ქეზით,
კბილადი ბრგონ მამეკე, ცხინარ დაბრეც ცხინით,
ჩამოიყვანეს ლადით, სისხლი ღის, ბრგონც წყალით.
სიბის ცხინარე ჩამაწყა ჯანთელ ქალი და ზალით,
წამოიყვანეს სამნიკა, სიბი და ცოლის მბრუნით...
ამეკე მალიკა, მთა-წერე დაბრე თვლით,
მმეკე მთით ნახსამნი, უსულ გეკეცს ჯანით,
მელოცეს უკაცრფელი, მთით სეკეცს ქალით,
მბრუნასათ სთელად მთელად მწარე წყალით,
დაბრე სადღეგრძელი, ასეკეთ ღმერთი, ჯანით.

* * *

ქართველი საზოგადოებრიობის არცთუ ისე დიდი ნაწილი ლადო
ბალიურს იცნობს, როგორც თავისთავადი ხელნერის მქონე ნიჭიერ
შემოქმედს, ვინც თავისი აწეწილი ცხოვრების კვალობაზე საკმაოდ
ბევრის გაკეთება მოასწრო. ხოლო მათთვის, ვის თვალწინაა ლადოს
სიჭაბუკე და ახალგაზრდობამ ჩაიარა, იგი დარჩა არა მარტო იმე-
დისმომცემ მწერლად, არამედ, ამასთან ერთად, საკუთარი მრწამსის
ერთგულ კაი ყმად, სიავ-სიკეთის გამგებ და გარჩევით მხედველ
ღირსეულ პიროვნებად.

* * *

ცოტა რომ მომჯობინდა და ტკივილები დაუამდა, ხევიდან თბი-
ლისში გადაიყვანეს და ორთაჭალის ციხის საავადმყოფოში დაანვი-

ნეს მკურნალობის გასაგრძელებლად.

ახლობლებმა რამდენიმეჯერ მოახერხეს მისი ნახვა...

მაღე სასამართლოც დაინიშნა.

ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა ლადო ბალიაურის საქმის ძიების ამსახველი დოკუმენტური მასალა, დაკითხვის ოქმები, საბრალდებო დასკვნა. ის კი ცნობილია, რომ პოლიტიკური დანაშაულის გარდა ბრალდებად წაუყენეს დაპატიმრების დროს სამართალდამცავი ორგანოს მუშაკთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის განევა.

* * *

"გუბერცკი"-ს ციხეში ჩასვეს და სამუდამოდ დაუხშეს თავისუფლების ფართო ველზე გასასვლელი კარი. დაიწყო საპატიმროს სევედიანი და გულისმომწყვლევი დღეები. თვალს მიეფარა სიჭაბუკის რომანტიკული ხანა, გაქრა ტოლ-სწორებთან სიახლოვის სიხარული; შორს დარჩა მის ხვედრზე მოვალაღე ახლობელთა ვინრო წრე. ნუგეზად შემორჩა ბევრზე-ბევრი, ან უკვე წარსულის უძირო წიაღში დაბინადრებული ტკბილ-მწარე ამბების ნალვლიანი მოგონება...

ციხე — მრწამსით, ხასიათით და ცხოვრებისეული პრინციპებით ერთობ ჭრელი და არაერთგვაროვანი ადამიანების თავისებური საკრებულო — ძალზე ძვირად თუ იმეტებს პატიმრებისთვის გინდაც სულ მცირე ადამიანურ სიტბოსა და სიამოვნებას. უნდობლობის ცივი კედლის აქეთ-იქით მყოფ ტუსაღთა შორის ალბათ მკაცრი ურთიერთგამოცდის შემდგომ მყარდება ნამდვილი გაგება და თანაგრძნობა. და ასეთ სუნთქვაგაძნელებულ, დახუთულ გარემოში, ადვილი მისახვედრია, რას უნდა ნიშნავდეს ძველ ნაცნობთან შემთხვევითი შეხვედრა.

გთავაზობთ 87 წლის ქვემო ალვანელი თუშის კოტე თავბერიძის ნაამბობს: "დაპატიმრებული არ ვიყავი, როცა ლადო ბალიაური გავიცანი. აქაური ქალი ჰყავდა და ალვანში ჩამოსულს რამდენჯერმე შევხვდი... 1942 წელს პატიმრობა მომისაჯეს და თანამებრძოლებთან ერთად ორთაჭალის ციხეში მიკრეს თავი. რისთვის? ახლავე გეტყვით: ომი რომ გამოცხადდა, გამოგვიძახეს და ხუთი კაცი ერთად ჩავედით ალვანიდან. დავთქვით, სადაც ერთი წავიდოდა, დანარჩენებიც იქ წავსულიყავით. ყველანი "სამანზე" ვიყავით. "სამანის" ხელმძღვანელი იყო მიხეილ ზანდუკელი... 80 კაცი ერთბაშად მოისპო. 1000 ჯარისკაცი ცალკე ვიყავით გადარჩეული. ათასეულს გოგია სიბაშვილი მეთაურობდა. ერთ დღესაც ჩაგვამწყრივა და სათითაოდ ჩამოგვიარა. მერე უღრან ჭალაში გავვრეკა. ოთხპირად დაგვსვა. კუთხეებში სალდათები დააყენა. შუაზე ბილიკი დატოვა. აპყვა-ჩამოპყვა. — აბა, ე თოფი მაჩვენეო! მითხრა მე. რა კაი თოფია,

ტყეში საყაჩაღო! ... ამოიღო გერმანიის წესდებები და განგვიმარტა, რომ რუსების წინააღმდეგ უნდა გვებრძოლა. გაგვაფრთხილა: ეს ადვილი ნუ გგონიათ, სიკვდილ-სიცოცხლის ამბავიაო... ჩემს ამხანაგს მიადგა, ხელი მოაწერეო! არ მოვანერეო! იმან. აქედან ცოცხალს არ გაგიშვებ, საქართველოს ვერ დაგალუპვინებო; რაო, ათას ქართველთან თავი არ გეთმობაო?! მერე სხვებს უბრძანა, ობისკი დაარტყითო! ერთს პარტიის მანდატი აღმოუჩინეს. აი, რას ნიშნავს წითელი გველიო! ათასი ქართველის სისხლი უნდა დალიოს და თვითონ ცოცხალი გადარჩესო!.. ხელის მოწერა კიდევ ერთმა იუარა და იმასაც პარტიის მანდატი ამოუღეს ჯიბიდან. განერვიანდა, განერვიანდა, მოტრიალდა და ჯარს მიმართა, რა ეკუთვნითო?! – დახვრეტა! – იყო პასუხი. ორივე გაიყვანეს და დახვრიტეს... მოვიდა ჩემთან. -- საცა სოფლის ნახირი, იქ ბებრის ხბოო! – ვუთხარი მე და მაშინ დამარტყეს აი, ეს ნიშანი (ბ-ნი კოტე მარჯვენა ხელზე, იდაყვისა და მაჯას შორის გვაჩვენებს ასო-ნიშან "ს"-ს, რაც ორგანიზაცია "სამანი"-ს წევრობას აღნიშნავდა თურმე)... მოქმედების დანყება არცკი დაგვცალდა, ისე დაგვიჭირეს და დაგვაპატიმრეს... გავიგე, რომ ციხის რომელიღაც საკანში ლადო ბალიაური იჯდა, ყარაულს ორი კილო ქუმელი მივეცი და ჩემთან გადმოვყვანიხე. გაგვახარა ერთმანეთის დანახვამ. ორ წელიწადს ერთად ვიყავით "გუბერცკი"-ს ციხეში... ეექ, იქ ძაან დიდი კამათებიც ხდებოდა, სულ პოლიტიკური ხალხი იყო... ერთი ახალგაზრდა წამოდგა: — ოცი წელია აქა ვზივარო; ის თუშები და ხევსურები აღარა ხართ, რაც წინათ იყავით, ეხლა ყველანი თავისი ხალხის მტრები ხართო!.. ლადომ უთხრა: — ჩვენ ისევ ისა ვართ, რაც ვიყავით, რა ჯიგარიც გვექონდა, ისევ ის გვექნება, მაგრამ უმრავლესობის (ე.ი. მთავრობის) ძალამ გადაგვაჭარბა, ამათ ხელში ვართ და რა გავაკეთოთო! ...

ლადო ბალიაური, მტკიცედ დარწმუნებული საკუთარი ნებით არჩეული სახიფათო გზის სისწორესა და სამართლიანობაში, ჰაიპარად არავის ათქმევინებდა აუგს თავის ჯიშსა და მოდგმაზე, და თუ ზოგჯერ ცხარე პოლიტიკურ დებატებში ჩართული თუ ჩათრეული თავს იკავებდა სწორხაზოვნად მოაზროვნე მოპაექრებთან შეხლისაგან, ამას ციხის უშელავათო რეჟიმი და მკაცრი შინაგანანესი კარნახობდა. ეროვნული მნიშვნელობის საკვანძო საკითხებზე განსხვავებული თვალსაზრისის მქონე კაცთან კამათის დროს საქმეს ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე არ მიიყვანდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა, პოლიტიკატიმართა ცხოვრების უმთავრესი მიზანი სხვისთვისაც გასაგები გაეხადა... ბუნებრივია, ციხის ბევრ დროებით ბინადარს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ექნებოდა პოლიტიკური დამნაშაევობის ბრალდებით მათ გვერდით მყოფთა თვითგვე-

მასა და უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ მოღვაწეობაზე, მაგრამ იმუამად ორთაჭალის საპყრობილე თითქმის მთლიანად პოლიტ-პატიმრებით იყო სავსე და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მათ მშვენიერად ესმოდათ ერთმანეთისა. ისიც ცხადია, რომ იზოლირებულ ნაცნობ-მეგობრებსა თუ თანამოაზრეებს არ ექნებოდათ ერთურობის ხშირ-ხშირად ნახვის შესაძლებლობა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მაინც ახერხებდნენ მოკლე ინფორმაციის მიღება-გადაცემას მათი პირობებისთვის შესაფერისი "ტელეფონის" (საკნის კარზე ანდა კედელზე ხელით კაკუნი, ყოველ ასო-ბგერას დაკაკუნების გარკვეული ჯერადობა აღნიშნავდა) გამოყენებით...

ეს ციხე, პატიმარ პოეტთა წარმოსახვაში, სიკვდილთან იყო ასოცირებული. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

გაქძეცვის ციხე მალაღი,
ნაგუმ-ნაძუნი ძუისათ,
ცოცხალი კაცის მიბღუმი,
დამბრუნებული მკედრისათ...

ორი წელიწადი დაჰყო ლადო ბალიაურმა "გუბერცკი"-ს საპყრობილეში.

ცოდვის კალო ილენებოდა მისგან ხელის გაწვდენაზე.

სათითაოდ გაჰყავდათ ციხიდან ბრალეულები და მოუსავლეთში აგზავნიდნენ.

ლადო გადარჩა.

გავიდა ორი ჯოჯოხეთური წელი და ავჭალის ლაგერში გადაიყვანეს.

მასთან ერთად მოხვდა კოტე თავბერიძეც.

საოცრად მჭევრმეტყველ ამ ჭარმაგ კაცს უნდა ვუმაღლოდეთ ლადოს პატიმრული ბიოგრაფიის ავჭალური პერიოდიდან ცალკეული ეპიზოდების შთამომავლობისთვის შემონახვას...

ერთხელ მონატრებული შვილის სანახავად ლადოს მშობელი ლელა (ბერდელა) მისულა ლაგერში.

ყარაულებს უთქვამთ, არა გაქვს უფლება შვილთან შეხვედრისა, ვერ გაჩვენებთო!

— არა მაქვს და არც გეხვეწებითო! — მკვახედ გაპასუხებია თავმოყვარე ქალი კარებთან მდგარ წესრიგის დამცველებს...

ლაგერის მიმდებარე შემალლებულზე ასულა და იქიდან დაუწყია ხმამაღალი ძახილი:

— ლადო! ლადოო!!!

— რა გინდა, დედო, რა გინდავ?! — შეხმიანებია შვილი.

— მოკედი, შვილო, მოკედი, არ მენანები, შენს მამა-პაპასაც ასე

უბრძოლიაო!..

იქვე მდგარა ლაგერის "ნაჩალნიკი" ნოე დოლიძე, დედა-შვილის დიალოგი მოუსმენია და მისი ნებართვით შეუშვიათ შვილთან გაქერპებული ქალი.

გოგია სიბაშვილი და კოტე თავბერიძე დასწრებიან ამ შეხვედრას.

— გამარჯვებით, შვილებო! მისალმებია ბერდედა დამხედურთ და ხელის ჩამოსართმევად წინ წაუდგამს ნაბიჯი.

— არა გაქვს ხელის ჩამორთმევის უფლება! --- შეუხსენებია "ნაჩალნიკს".

— არ მქონდა მაშინ, როცა შორს ვიყავი და ვერ ვწვდებოდი, ახლა თვითონ ვიცი, შენ არავინ გეკითხება, ჩამოვართმევ ხელს თუ არაო!..

გადაუკოცნია შვილი და მისი მეგობრები.

ლადოსკენ შებრუნებულა და უკითხავს:

— ვინ არიან, აქ რომ ჰყუდიანო?

— ნაჩალნიკები! — აუხსნია შვილს.

— არა, შვილო, შენ სტყუედეგი, ნაჩალნიკები თქვენა ხართ, ესენი თქვენი მწყემსებია, თქვენ გივლიანთო!

"ნაჩალნიკებს" ერთმანეთისთვის შეუხედავთ და გასცინებიან.

ბერდედას შვილთან საუბარი გაუგრძელებია...

ქალთა სქესისთვის რამდენადმე უცხო სიმტკიცე და სიმამაცე იგრძნობა ბერდედას ყოველ სიტყვაში, ქცევასა და გამოხედვაში (ისიც გავიხსენოთ, როგორ დატუქსა საძელის ზეკარზე საბჭოთა მეომრები!). და ეს ხდება იმ დროს, როცა ერთი დედის მუცლით ნაშობთა შორისაც კი უნდობლობის სინდრომია გაჩენილი და ისეთი კეთილშობილური შინაარსის ცნებებს, როგორიცაა: პატიება, დანდობა, გატანა, დიდსულოვნება, სიყვარული — თიფქოსდა ყავლი გასვლიათ და ასოების უაზრო კონგლომერატებად ქცეულან... ხომ შეიძლებოდა, პირტუქსი ქალის გამომწვევი საუბრით გულმოსულ "ნაჩალნიკებს" სასჯელი დაემძიმებინათ და სულაც მიღმიერ ქვეყნად გამგზავრება დაეჩქარებინათ ლადოსთვის!.. არადა, ბერდედას მართლა არ შეეძლო ვინმეს წინაშე ქედის მოხრა და დროებისთვის ნაბიჯის აწყობა, ამბობდა იმას, რაც გულში ედო (სანიმუშო სიცხადით არის წარმოჩენილი მისი ბუნება ანა კალანდაძის შესანიშნავ ლექსში "რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ"); აკეთებდა იმას, რასაც სინდისი კარნახობდა!..

და ბევრი რამით დედას ჰგავდა ლადოც...

ავჭალის ლაგერში ლადო ბალიაურს მალ-მალე აკითხავდნენ დები, მეუღლე და თეთრქალის ქმარი ნიკო მაკალათია.

ერთ-ერთ მისვლაზე თავისი ცოლი ქეთო ჭელიძე ასე დაურიგებია ლადოს:

შეიძლება აქედან ცოცხალი ველარ გამოვიდე, ამათ ვერ გადავურჩე, შენ ახალგაზრდა ქალი ხარ და ნებას გაძლე, გათხოვდეო...

კოტე თავბერიძე იგონებს: "მე და ლადოს სამ-სამი წლის თითო ქალი გვყავდა და ერთმანეთის გაუცნობლად იქ, ციხეში, ვადობილეთ".

სამი წლის ასაკში თავიანთი მამების მიერ დაუსწრებლად ნადობილებ (დებად გაფიცულ) ქალბატონებს დღემდე ერთურთის გაცნობის შესაძლებლობა არ მისცემიათ!..

დამეგობრებული თუში და ხევსური ავჭალის ლაგერიდან იგოეთის კოლონიაში გაამგზავრეს.

ეს იყო 1944 წლის შემოდგომაზე.

კოლონია ახლად შენდებოდა პატიმრების ხელით. ლამის ცვლაში 300 კაცი მუშაობდა. პოლიტპატიმრებს გაძლიერებული რეჟიმი ჰქონდათ დაწესებული და როგორც განსაკუთრებით სამიმ "ხალხის მტრებს", დღის ცვლაში ამუშავებდნენ.

ლადო კორპუსის "სტარასტად" დანიშნეს. მის მოვალეობას შეადგენდა კორპუსში მყოფი ასი ტუსათის მეთვალყურეობა. შეგნებულ კაცად იცნობდნენ და ენდობოდნენ.

რაც მთავარია, ახლა ბევრად უკეთესი პირობები ჰქონდა დაუოკებელი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. და ამას ხაზგასმით აღნიშნავდა ოჯახის ნევრებისადმი გაგზავნილ წერილებში... წუხდა წარსულში უქმად დაკარგული დროის გამო და თავს მოვალედ თვლიდა, ეკეთებინა იმაზე მეტი, რასაც კოლონიის კედლებში ყოფნა ითვალისწინებდა...

"ხო იცით, დრო ბევრი მაქვს ჯერჯერობით, მინდა ამ მდგომარეობით ვისარგებლო, არ მეყოფა, რაც დრო დამეკარგა!.. რაც შეეხება მუშაობას, მთელი ღამე თავისუფალი ვარ. ხალხი იძინებს, მე კარების მახლობლად ვზივარ ჩემ ლოგინზე, ვყარაულობ ბარაკს და თანაც ვკითხულობ, ვწერ. ერთი რუსი ტეხნიკი მამარაგებს ჟურნალებით, გაზეთებით და წიგნებით — იგი პატიმარია, გორში მიდის (.....), ბიბლიოთეკიდან გამოაქვს თავისთვის წიგნები, ნაკითხვის შემდეგ მე მაკითხებს... ამ ბოლო დროს დავწერე ორი პატარა მოთხრობა — "ცეკვა საკანში" და "შავი ეტლი", — სწერდა ლადო 1944 წლის 30 ნოემბრით დათარიღებულ ბარათში ქეთო ჭელიძეს და თინა ოჩიაურს.

უჩიოდა უჩვეულო ქარსა და სიცივეს; საშინელი ადგილი ყოფილა ეს ოხერიო, — აღნიშნავდა და იგოეთი, ადგილმდებარეობით და გაბმული ქარებით კვირინმინდას — არხოტის თემში შემავალ თავის

საგვარეულო სოფელს აგონებდა.

ეტყობა, შემადონებლად მოზუზუნე ქარი სულის სიმშვიდეს ურღვევდა და ბარათის დასაწყისში ამის გამო სვამდა აქცენტს იგოეთის ტაროსზე...

ყოველ წერილში მისთვის საჭირო და საინტერესო მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურის მოგროვებასა და გაგზავნას ივედრებოდა; დაუინებით სთხოვდა ახლობლებს, აუცილებლად მიენოდებინათ დიმიტრი უზნაძის "ზოგადი ფსიქოლოგია", მოსე გოგიბერიძის "ფილოსოფიის ისტორია" და ლერმონტოვის "ლექსები".

"ამ სიის მიხედვით წიგნების შოვნა მარტო თქვენ როდი გეკისრებათ, უფლებას გაძლევთ, ამ წიგნების შოვნის საქმეში ჩააბათ ჩვენი (და თქვენი) მეგობრებიც. სახელდობრ: რ.გაგუა, თ.შარაშენიძე, ელ.მეტრეველი, მზია ანდრონიკაშვილი (თუ სცალია წიგნებისათვის), ნუნუ საყვარელიძე, თამარ სადრიძე, მედიკო მაკალათია, ვაჟები, რომელთაც წიგნი აქვთ და სხვა ნაცნობ-უცნობნი, რომელთა წიგნებს კარგად მოუწვლით და პატიოსან სიტყვას ვიძლევი, რომ დროზე დაეაბრუნებთ".

ამ მოკლე ბარათს, რომლის ადრესატები გახლავთ თინა ოჩიაური და თამარ ჭანიშვილი, ხელს აწერენ ლადო ბალიაური და ბიძინა ფოჩხუა.

გაგზავნილია იგოეთიდან, 1947 წლის 10 ოქტომბერს.

იქვეა სია რუს თუ საზღვარგარეთელ მწერალთა და მკვლევართა, რომელთა წიგნების მიღებას მოუთმენლად ელოდნენ კოლონიაში ერთად მოხვედრილი უნივერსიტეტელი მეგობრები.

აი, ეს სიაც: კელერმანი, ცვაიგი (ბიოგრაფიული), ფოიხტვანგერი (ისტორიული), ბალზაკი, ზოლა, ჰიუგო (ნოტრ-დამი, განკიცხულნი), როლანი (ჟან-კრისტოფი), ვალტერ სკოტი, დიკენსი, ჯეკ ლონდონი, Сага о форсайтах, დოსტოევსკი, შჩედრინი, Виндельбанд: История философии; Тураев: История древнего востока; Момзен: История рима; ველფინი: ხელოვნების ისტორიის ძირითადი ცნებები; Теилор: Первобытная культура; Леви Брюль: Первобытное мышление; Рубинштейн: Основы психологии; Выготский: Мышление и речь...

ყველაზე ხშირად თავის დიშვილებს — თინა და მარო ოჩიაურებს — სთხოვდა და ავალებდა სასურველი ლიტერატურის შერჩევა-მიწოდების საქმის მოგვარებას. ეიმედებოდა მათი თავი; იცოდა, რომ მის დავალებას გულით მოეკიდებოდნენ; ხვდებოდა იმასაც, რომ ზოგჯერ ზედმეტად აწუხებდა პირადი საზრუნავითაც საკმაოდ დატვირთულ დამჯერ დიშვილებს და სტრიქონებს შუა ბოდიშისმაგვარ სიტყვას ჩართავდა: "როგორა ხართ, დიშვილებო? მარო, თბი-

ლისში თუ იყავი, არ ვიცოდი. რატომ წერილს არ მიგზავნი? იქნებ თავიც მოგაბეზრეთ, მაგრამ ჩემ ბედში მყოფ კაცს ეპატიება ყველაფერი... ეხლა ახალი დავალება: აბა, რა იქნება თუ იცი? რა თქმა უნდა, წიგნები" (10.XII.1944 წ.).

ნამცეც-ნამცეც ნაგროვები წიგნებით ითქვამდა სულს ერთთავად ოცნების თეთრი მწვერვალებისკენ მზერამიპყრობილი მწერალი; წიგნებში ეძებდა და აგნებდა პასუხს ცხოვრების "წყევლა-კრულვიან" კითხვებზე...

მომწესხველი ძალით იზიდავდა ჩვენი ქვეყნის პეროიკული წარსულის ამბები და სურათები; ხიბლავდა მათიანეთა ფურცლებში უკვდავყოფილ ქველ წინაპართა საგმირო საქმეები და მათი სულის მარადიული ბიბინი. სხვათა დახმარებით კრებდა მასალებს კონკრეტულ ისტორიულ პირთა მოღვაწეობის ირგვლივ. "თინა და ქეთო, ორივესა გთხოვთ — მასალები შემეგროვეთ ზურაბ ერისთავის შესახებ. თინა, "ქართლის ცხოვრება" აქვთ აკადემიაში. ამომინერე ზურაბის შესახებ, თუ რამე შეგხვდა ისტორიული ცნობები. თუ ამას იზამთ, ძალიან მადლობელი ვიქნები" (30.XI.1944 წ.).

არაერთი მშვენიერი მოთხრობა თუ მინიატურა დაწერა იგოეთის კოლონიაში. და მაინც, რამდენი რამ დარჩა დაწყებული და დაუმთავრებელი, სანახევროდ გაკეთებული და დაუმუშავებელი, დასახვენი და წერტილდაუსმელი!

ბედის სასტიკ განაჩენს შეჩვეული ნიადაგ ცოდნის გაღრმავებაზე ზრუნავდა, პრაგმატულ-უტილიტარულ ინტერესებზე უარს ამბობდა და თვითგანსწავლის გზით გონებრივი სანიერის გაფართოებას მიეღწეოდა.

"განვიზრახე ინგლისურ ენაში ვიმეცადინო. აქ არის ფილოსოფიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გ.ჭავჭავანიძე. ერთად ვიმუშავებთ. ჩემი ძალიან კარგი მეგობარია... პატივს ვცემთ ერთმანეთს... მთელი ღამე ვსაუბრობთ ლიტერატურასა და ჩვენი ბედის შესახებ. ეხლა გადავწყვიტეთ ენის სწავლა... მე მქონდა სახლში ორი ლექსიკონი ინგლისური ენისა. თინიკო, ვინმე მონახე ინგლისური ენის მცოდნე სტუდენტები ან ასპირანტები — შეიძინე სახელმძღვანელოები და მოკლე ხანში გამომიგზავნეთ აუცილებლად. თუ ფული დაგჭირდეთ, ჩემთვის გამოსაგზავნი სურსათი შეამცირეთ და ეს საქმე მოაგვარეთ".

თუ დიშვილებსა და მეგობრებს სულიერი საზრდოთი "მომარაგების" თაობაზე რჯიდა და ალონებდა, სულ სხვა ხასიათის სასაუბრო მქონდა უხელკაცოდ დარჩენილ თავის ოჯახის წევრებთან — დებთან. და დედასთან. საველე თუ საშინაო სეზონური სამუშაოების მთელი სიმძიმე უკაცისძეო ქალებს დასწოლოდათ მხრებზე და, ბუ-

ნებრივია, ეს ამბავი მეტისმეტად ანუხებდა ლადოს. მაგრამ რა შეეძლო, რითი უნდა ენუგეშებინა უმისობით ისედაც ყოფაგამწარებელი დედა და დები? რახან პრაქტიკული დახმარების ყოველგვარი შესაძლებლობა გამორიცხული იყო, რჩებოდა ერთადერთი მომავლის სასო გადაერჩინა და გაელვივებინა ძნელბედითი დროებით შეჭირვებულ თავისიანებში.

“რამდენი რამე მქონდა გუშინ სალაპარაკო, — სწერდა დედას, — მაგრამ როცა ბევრის საუბარი გვინდა, მაშინ გვავეინყდება ყველაფერი. ჩემზე ნურასოდეს ნურაფერს იდარდებ, იმასთან შედარებით, რაც იყო, ეხლა კარგად ვარ. ჩვენი კოლონიის მოსამსახურენი კარგად გვექცევიან, პირობები კარგია სხვა კოლონიებთან შედარებით. უფრო მეტად მანუხებს თქვენი უპატრონოდ დარჩენა. მართალია, როცა გარეთ ვიყავი, მაშინაც ნაკლებ დახმარებას (რვეულის ფურცელი ამ ადგილას დაზიანებულია და არ იკითხება — ა.ა.), მაგრამ ეხლა უფრო სანყენად მრჩება (.....) დატოვება. რაც შეეხება მაკეთეების სამდურავს, მე ისეთი არა მიმიწერია. ყველას ვსთხოვდი ჩემი ოჯახისთვის ყურადღება მიექცია და თუ ეს სანყენად დარჩებოდათ, ამის შემდეგ მე აღარავის შევანუხებ. ვინც დახმარებას გაგინევთ, რომ გამოვალ, გადავუხდი სიკეთით, როგორც გადამიხდია. ძალიან მეინტერესება თქვენი ოჯახური საქმეები. მე ვერაფერს ვერ ვიგებ — შეშა, პური, საქონის საკვები მოაგვარეთ რამე თუ არა; როგორ შეინახავთ ოთხ ძროხას? ჩემო დედი, ბევრს ნუ იდარდებ, განა სულ ასეთ დღეში ვიქნებით, გათავდება ომი, დამშვიდდება ქვეყანა, მეც მეშველება რამე აუცილებლად. თუთის შესახებ ვერაფერი გკითხე გუშინ, როგორ არის? ნათელამ მითხრა, ავადმყოფობსო. რა დაემართა სანყალს, მუდამ დიდი მშრომელი იყო და ალბათ დასუსტდა... გადაეცი ყველას მოკითხვა. წერილები გამოაგზავნინე ხშირ-ხშირად, შენ ალბათ გაზაფხულამდე ველარ გნახავ. იყავი იმედიანად, კარგად, ჯანმრთელად” (23.X.1944 წ.).

უსიხარულო გარემოცვაში ისიც ბედნიერება იყო, რომ შემოქმედებით მუშაობაში ხელს არავინ უშლიდა. კი, რა თქმა უნდა, ზოგჯერ “ნაჩალნიკებიც” ჩაიხედავდნენ ხოლმე გაურკვეველი ხელით ნანერ მის რვეულებში, მაგრამ ბევრს ვერაფერს ხვდებოდნენ და უკანვე უბრუნებდნენ...

დროს უგეზოდ აღარ ფლანგავდა. იჯდა, წერდა და კითხულობდა. “სამსახურებრივ” მოვალეობას, მართალია, გულსგარეთ, მაგრამ პატიოსნად ასრულებდა.

საპატიმრომ ბევრ რამეზე აუხილა თვალი, ჩაახედა ბრმად მბრუნავი ცხოვრების ძირუჩინარ ხაროში; გარკვევით დაანახა დალხინების ჟამს მუდამ გვერდით მდგომ ახლობელთა მანამდე შეუმჩნეველი

ნაკლი და ღირსება, უტყუარი სიცხადით რომ აშკარავდება ხოლმე გასაჭირის დროს; საბოლოოდ მიახვედრა, ვინ მართლა მისი ერთგული იყო და ვინ კიდე — პირადი ინტერესების ნაჭუჭში გამოკეტილი, სხვისთვის ხელგამოშულები და ურგები.

ხუთი თუ ექვსი ძირმწარე წელი ამყოფეს ლადო ბალიაური იგოეთის კოლონიაში. შემდეგ შუა აზიის გრძელ გზას გაუყენეს...

თითქოს ესეც საგანგებოდ იყო ჩაფიქრებული: თანდათან მოენწყვიტათ და დაემორებინათ პოლიტპატიმრები სიგიჟემდე საყვარელი მამულ-წყლიდან და ამით უკან დაბრუნების ნეტარი მოლოდინი უიმედობასა და მიუწვდომლობის მსუსხავ ტკივილებში აეთქვიფათ მათთვის...

ტუსალებით გაძეძგილი მატარებლის ასამდე ვაგონი ნება-ნება ტოვებდა იგოეთის ცრიატ გორ-გურებს, მავთულხლართებში მოქცეული კოლონიის ცივ შემოგარენს, თვალსაყიდზე წამომართულ სამთავისის ტაძარს, წელიწადის ყოველ საბრუნზე თავისებურად ხიბლიანი ქართლის მიმზიდველ მიდამოებს...

ასპინძის ლაგერში ჩახსნეს მატარებლის ვაგონები.

გადასახლებამისჯილ პატიმართა გამწვანებულ პუნქტში სამუდამოდ გაიყარნენ ლადო ბალიაური და კოტე თავბერიძე.

მას მერე თვალთ ალარ უნახავთ ერთმანეთი.

გავიდა წლები და "Красноярский край"-ში შეიტყო კოტემ ორთაჭალის ციხეში შეძენილი მეგობრის ტრაგიკული აღსასრული.



ფაქიზი ლირიული განცდებითაა გაჯერებული ლადო ბალიაურის თითქმის ყველა — მცირე თუ ვრცელი მოცულობის — პროზაული ქმნილება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მწერალი საპატიმროს უსახურ კედლებს შორის კი არა, მშობლიური კარ-მიდამოს შვებისმომცემ ჩეროში იჯდეს და ნაირფერ ყვავილებთან მოსაუბრე სიოს ხმაზე ანყობდეს თავის სიტყვას. ჰაეროვანი სილბოसा ვდა რალაცნაირი სიმსუბუქის განცდა არ გეტოვებს, როცა ვკითხულობთ "დებს", "შავ ცისარტყელას", "თამარის პორტრეტთან". რამდენიმე ტიპიური პასაჟი ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან: "მწვანე ჩადრი ირხეოდა მთების მკერდზე. ტაშს უკრავდნენ ჩანჩქერები. თეთრი კალმახი ხტოდა კაშკაშა მდინარის ტალღებზე. ხეთ ჩრდილში იმღეროდა წყარო. ნიავი არხევდა ხეებს. ორი წნორი ეხვეოდა ურთიერთს და შრიანობდა ნელა" ("დები", 1946 წ.); "მდუმარე ბუნება შეიმშუშნა. შავი ზღვის ღრუბელმა გადაუარა ქალაქს. ყუყუნა წვიმამ გაახარა ია მდუმარე, ჩიტის ცრემლით ატირდა იგი სასახლის ბაღში და შვიდფეროვანი ცისარტყელა შავად დაადგა ქალაქს თავზე" ("შავი ცისარტი-

ყელა", 1944 წ.); "შავ მანდილივით იშლება ღამე, ღამე იშლება, როგორც მანდილი ქართველი ქალისა. ღამეში შემკრთალივით გაიღვებებს ვარსკვლავი. ვარსკვლავი გაიღვლებს და გაქრება. დუმილი დაეფრქვევა ვარძიას. ვარძიაში ადუდუნდება წყარო იდუმალი. ადუდუნდება და იქვე მიქრება. მიქრება თამარის ხატის წინ" ("თამარის პორტრეტთან", 1944 წ.).

შინაგანად სუფთა და მართალი შემოქმედი, რომლის გულსა და გონებას გახლეჩა-გაორების საშიშროება არ დამუქრებია, როგორც ჩანს, მისდაუნებურად ახდენს თუ ახერხებს მთელი თავისი სულიერი ენერგიის მობილიზებას და შესატყვის სადინარში მიშვებას. ანარეკლებული მომენტალური ყოფისთვის ზურგშექცეული მწერალი ყოველივე უამურისადმი თავის პიროვნულ პროტესტს ზემომოტანილის მსგავს მხატვრულ პასაჟებშიც მკაფიოდ ამჟღავნებს. არა დამთრგუნველი მუდამდლიურობის მოსაწყენი ერთსახოვნება, სატუსალოს ჩაკეტილ ჩარჩოში ჩამწყვდევა და პირად ბედსა თუ უბედობაზე ჩივილი, არამედ კიდი-კიდეზე გაშლილი და განფენილი სივრცე, თავისუფლების სიმბოლოდ დასახული ულურჯესი ცა, სიყვარულზე მოჩურჩულე ფოთლები, იდუმალ ხმაზე მობუბუნე უღრანები, მაცოცხლებელი მტილოვანი თუ ყვავილოვანი...



უცნობი მხარე და უცნობი ადგილი.

ყოველმხრივ უცხო და უცადი გარემო...

ყაზახეთი. ქალაქი ყარაგანდა.

ნაგვემ-ნატანჯი და ჯანდალეული ჩაიყვანეს ლადო ბალიაური შუა აზიაში; როგორც თვითონ იტყვის ერთ პირად წერილში, "დაღლილი მწარე განცდებით, დაღლილი ფიზიკურადაც და სულიერადაც".

კვლავ განუახლდა თავის ტკივილები; ისევ შეანუხა და შეანრია-ლა გულმკერდის არეში გაბზარულმა ფერცხალმა...

არადა, თავი საკუთარი მარჯვენით უნდა ერჩინა, უშრომლად არავინ არაფერს მისცემდა. ყველაფერი პირად ფხასა და გერგილზე იყო დამოკიდებული: ლუკმა-პურის შოვნაც და ღამის სათევად ვარგისი მინურის მოწყობაც.

ხედებოდა, რომ მატერიალური სივინროვე და მოუწესრიგებლობა სულიერი დისჰარმონიის სათავედ ექცეოდა; თუნდაც ხანმოკლე ჩამყუდროების ელემენტარულ პირობებს მოკლებული ღირებულს ვერაფერს შექმნიდა; ნუხდა იმის გამო, რომ სრულიად უპოვარი იყო, ერთი ხელი ტალავრის გარდა თითქმის არაფერი ებადა, არც არავის იცნობდა...

სხვა გზა არ ჰქონდა, ადგილზე ჩასვლიდან მესამე დღესვე დაიწყო მუშაობა: საკარტოფილეს ხნავდა გუთნით, თესავდა და მინას აყრიდა...

კირთებისაგან უკიდურესად დაძაბუნებულმა ფიზიკური შრომის გაგრძელება ვეღარ შეძლო და მალე უფროსებმა საველე სამუშაოების მეთვალყურედ დანიშნეს: ერთი ცხენი მისცეს და ლადოც, ბებრეკ საფერხეზე ამხედრებული, დღე და ღამ გარს უვლიდა თვალუნვდენელ მინდორზე გაშენებულ ბალ-ბოსტნებს.

კომპაქტურად დასახლებული საბჭოთა მეურნეობა ათასამდე კომლს ითვლიდა; თითქმის ყველა ახალმისული იყო. მათ შორის ორად-ორი ქართველი გახლდათ: ლადო ბალიაური და ერთიც ღრმა სიბერეს მიჯრილი კაცი...

ჭრელი დასახლების უთავბოლო გზიასა და ორომტრიალს შეძლებისდაგვარად ემიჯნებოდა; საეჭვო ღირსების მრავალეროვან ხალხთან სიახლოვეს ერიდებოდა; ზნეობააჭრილ ადამიანებთან უნებლიე ურთიერთობაში თავდაჭერილად იქცეოდა.

დაშრეტილიყო წყაროსთვალის შევებისა და სიხარულისა.

პირთამდე ავსილიყო ტანჯვის ბარძიმი...

თავისიანებს — დებს, დედას და დიშვილებს — მაინც ამშვიდებდა და ანუგეშებდა, არც ისე მძიმეა ჩემი მდგომარეობა, თქვენ რომ გგონიათ; ნუ დარდობთ, ცხოვრება აქაც შეიძლება; გავა დრო, გამო-მიშვებენ და სულ ერთად ვიქნებითო...

მეურნეობისთვის მოეკიდა ხელი და მუშაობდა, როგორც შეეძლო.

ოროთახიანი ბინის მშენებლობაც წამოეწყო. სამომავლო გეგმებში საკუთარი ბალჩა-ბოსტნის მოთადარიგება ჰქონდა ჩადებული. "აი, გუშინ შემისრულდა სრული წელიწადი, რაც აქა ვარ და დედაშვილობას გეფიცები, მე არ ვიცი, რა არის დასვენება", — სწერდა დედას 1954 წლის 4 ივლისს.

ოჯახურ სიტბოს ნატრული მყუდრო ბუდის შექმნაზე ოცნებობდა. და აი, გამოჩნდა ქალი, ვინც მისი აწენილი ცხოვრების ბოლო პერიოდი ადამიანური ბედნიერების იდუმალი სხივით მოავარაყა. ეს გახლდათ ჰალიმათი, ლეკის ასული, ვისი სიყვარულიც "ფრინველ-ვით დაეჯახა" და ვისზე ფიქრმაც "იისფრად გატეხილი" ლამეები არ-გუნა წილად.

ჰალიმათის გაცნობას და მასთან ბედის დაკავშირებას გარკვეული უხერხულობაც ახლდა, მაგრამ ლადოს უკან არ დაუხევია; ხედავდა, როგორ იჩაგრებოდა "კავკასიელი ასული" გულქვა ქმრის ხელში და დროზე იხსნა გამწარებული ყოფიდან...

1953 წლის 29 ოქტომბერს დაწყებულ დღიურში "ჩემი ჰალიმათი",

რომელიც იმავე წლის 24 ნოემბრამდე გასტანს, ლადო ბალიაურს არაჩვეულებრივი მხატვრული ექსპრესიით აქვს აღბეჭდილი საკუთარი სულის აღმავალი ლელვა და მი-და-მო კრთომა. მიზეზი ნამღლე-კავ განცდათა მოულოდნელი მოძალებისა გახლავთ პალიმათი. "რალაც იდუმალებით აღსავსე მეჩვენება შენი ცხოვრება", მიმართავს ავტორი მის განელეულ დღეთა დენაში უცხო ფრინველივით შეჭრილი სხვა ეროვნების ქალს და რომანტიულ ბურუსში ახვევს თავის მომავალს.

ოჯახის შექმნამ ცოტათი შეაკრთო. ამის თაობაზე დედასაც სწერდა. გრძნობდა, რომ მთლად კორექტული ნაბიჯი ვერ გადადგა. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უჩვეულო ვითარებაში მისმა დაოჯახებამ; გაიბა ჭორის აბლაბუდა, მაგრამ დრომ თავისი ქნა და მალე ყველა მიჩუმდა. ცხოვრება თავის ბუნებრივ სადინარში ჩადგა. ბედს არ ემდუროდა, პირად წერილებში მადლიერებას გამოთქვამდა პალიმათის მიმართ; "მართალია, დაჩაგრულია, ფიზიკურადაც სუსტია, მაგრამ ყოჩალი ქალია. მე მგონია, შენ კმაყოფილი იქნები", — აიმედებდა დედას.

საზრუნავმა იმატა. შეუღლებამ ახალი პრობლემები მოიტანა. ყოველთვიური ხელფასი პურის ფულად ჰყოფნიდათ. ახალშექმნილ ოჯახს კი ბევრი რამ ესაჭიროებოდა. ლადოს დედის დანაზოგი ფულით ფქვილი იყიდეს. პალიმათმა კაბები შეიკერა. უცნობ ზალს თითო საკაბე გაუგზავნეს თბილისიდან თინა ოჩიაურმა და ფიქრია მაკალათიამ... შეიძინეს საოჯახო წერილმანი: თბილი საბნები, ხის სკამები, ჯამ-ჭურჭელი... პალიმათს ჩეჩვა, რთვა და ქსოვა ემარჯვებოდა; სხვათაგანს კი გამარჯე ქალი იყო და ასე, ნელ-ნელა იმართებოდნენ წელში.

იმჟამად ორჯონიკიძეში მცხოვრები თარუა და გიგიტა ხანგამოშვებით ამანათებს აგზავნიდნენ. მათ გარდა იყვნენ ღვთისწიერი ადამიანები, რომელთა სიტყვიერი თუ ნივთიერი თანადგომა მხნეობას მატებდა ქვასავით ტიტველ ადგილზე განგების ნებით აღმოცენებულ ოჯახს.

ლადო იმედოვნებდა, რომ გაზაფხულზე პალიმათს საქართველოში გამოაგზავნიდა და თავისიანებს გააცნობდა. "ეინტერესება თქვენი ნახვა", — უთვლიდა დედას, თანაც იმაზე ნუხდა, რომ უცხო ეროვნების ქალმა ქართული არ იცოდა და გაუძნელდებოდა ქმრულებთან საერთო ენის გამონახვა, ურთიერთობის დამყარება...

გაკვრით ეხებოდა თავის ჯანმრთელობას. წინა წელთან შედარებით საგრძნობლად მომაგრებულიყო. სიმწრით იხსენებდა უახლოეს წარსულს, იმ დროს, როცა საკუთარი "ძვლების ხმაური ესმოდა". განუქარვებელი დარდით დაღლილი დედის დაიმედებას ლამობდა სუ-

ლიერი ფერისცვალების გზაზე დამდგარი მოსიყვარულე შვილი: "მე, დედა, რა ნამახდენს, შენი ძუძუთი გაზრდილს. თანდათან კლდესავით ეხდები. ხასიათიც სულ გამომეცვალა დაედინჯდი, მაგრამ... კი არ წავხდი, გამოვიწრთვენი"

რაც ხანი გადიოდა, რწმუნდებოდა, რაოდენ მწირი და უსიხარულოა ადამიანის იძულებითი ყოფნა სამშობლოს გარეთ; რა მუნჯი, უტყვი და უფერულია უცხო ქვეყნის ცა და მიწა...

* * *

1954 წლით დათარიღებული პირადი წერილები, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ბევრად ჭარბობს წინა წლებისას.

და ეს ფაქტი არ უნდა იყოს შემთხვევითი...

ინურებოდა გადასახლების ვადა.

არც უმღირალო შინაურ სანუხარს უმაღავდა და გამძაფრებულ სულიერ განცდებსაც ჩვეული სინრფელით უმხელდა დღემუდამ მის მომავალზე მოფიქრალ დებსა და დედას.

შორეთში ყოფნის ბოლო წელს, მისდაუნებურად თუ შინაგანი ხმის ჩაგონებით, ყუნწამდე გახსნა გულის კარი უახლოეს გულშემატიკიერებთან...

დამღლელად წელა ახლოვდებოდა ნანატრი დღე.

უკანასკნელი თვეების თავისი ცხოვრების ყოველ უმნიშვნელო წერილმანს ვალ-დებულის პრინციპული პასუხისმგებლობით ატყობინებდა ოჯახის წევრებს, დიშვილებსა და ნათესავებს...

ინერებოდა: განცხადება და მოთხრობები გამოვავზავნე თბილისში და მოუთმენლად ველოდები პასუხს მწერალთა კავშირიდანო; თუ დაბეჭდავენ, უკეთ იქნება ჩემი საქმე და დაბრუნებაც გამიადვილდებაო...

უდროობასა და უამინდობაში სიმწრით ნანერ ნანარმოებებზე ამყნობდა და ამყარებდა სახვალხო იმედებს.

გარკვეული იყო "ბედი უბედურისა" (ერთ პირად წერილში ასე უწოდებს თავის თავს!), მალე დაეხსნებოდა შუა აზიის მწველ მარნუხებს და მაინც, "ეშმაის გრილოსავით" ატორლიალებული ეჭვი მოსვენებას არ აძლევდა.

"იქნება გამანთავისუფლონ..." "თუ დავბრუნდი..."

სტრიქონებს შორის გამკრთალი ეს სიტყვები ხომ ავი წინათგრძნობის პირდაპირი ნახმევია, წინათგრძნობისა, გულს რომ უგლიდა, უსერავდა და უფორიაქებდა...

ცხადლივ ჰქონდა წარმოდგენილი, რა უნდა ეკეთებინა სამშობლოში დაბრუნებულს.

ბევრს ფიქრობდა მეგობრებზე, მოკეთებებზე; ოცნებობდა შუაფ-

ხოში დამკვიდრებაზე, ტკბილ სიბერეზე.
და თურმე საპირისპიროს უმზადებდა განგება...

უკვე განთავისუფლებული და საქართველოში გამოსამგზავრებ-
ლად გამზადებული გარეულ იხვებზე სანადიროდ წასულა და ქაობს
ჩაუთრევია...

ასე ამბობენ.

გინდა თუ არა, უნდა დაიჯერო...

ეგებ ჩათრევას ჩაყოლა არჩია და ჩვენთვის აქამდე ბურუსით მო-
ცულ ვითარებაში გამოესალმა სიცოცხლეს.

ვინ იცის!

ყოველ შემთხვევაში ის კი უთუოდ უნდა ითქვას (და თქმის უფ-
ლებას ხომ მაინც ველარავინ წაგვართმევს!), რომ რამდენადმე უნ-
დო და დაუჯერებელია დღემდე ცნობილი და მიღებული ვერსია მი-
სი აღსასრულისა...

ავბედითი ბილიკებით

აქ ჭერაც ძალუქად ტრიალებდა ტრადიციული საზოგადოების სული.

აქ: არხოტ რო წყაროთგორია...

არა, მტკიცედ ხაგები ერთიანი ცნობიერება დაღავებულიყო, საყმოდან ნანგრევებილა დარსენილიყო. მაგრამ ის ნანგრევებიც ინარჩუნებდნენ შინაგან მუხტსა და სიცხოველეს და ჭერაც არ მოჰკიდებოდათ ხავსი, მხოლოდ გარდასულის სევდას რომ აღძრავს.

ჩვენი ტრაგიკული საუკუნის დასაწყისია, მწუხრში იძირება ეველა და ყველაფერი, სამყარო აპოკალიპსური ჟამის წინაშე ირინდება და იღუმალი ზარის გუგუნი აფორიაქებს მსოფლიოსაც და მის ყოველ კუთხე-კუნჭულსაც.

ბევრგან ნასახიც აღარ დარჩენილა ტრადიციული საზოგადოებებისა.

და ასეთ დროს რა ისეთი მოულოდნელობაა, არხოტის თემი რომ იშლებოდეს და სულიერ კრიზისს დაშოშმინება არ ეწეროს, ვიდრე მოგონებანი არ შემოინახავენ წარსულის ამალეებულ განცდას... და კიდევ: პოეტური წარმოსახვანი.

10-იანი და 20-იანი წლების მიჯნაა. ნანგრევები კი იშლება, მაგრამ ჭერ ხომ არ დაშლილა და განსაკუთრებით მაინც ყმაწვილთა ფანტაზიას ალაგვებენ, ანდრეზებსა და თქმულებებს ხელშესახებს ხდიან და ჭადოსნური იერით შემოსილი სინამდვილე გამოკრთის საყმოს არე-მარეზე.

ხე აქ უბრალო ხე არ არის, არც კლდე და ბილიკია უტყვი და არც მდინარე ბუტბუტებს გაუგებარს... ეს არე-მარე ღვთისშვილთა ნაფეხურებს ინახავს, მათი სული ჭრის გარშემო და მითოსური წრებრუნვის კვალობაზე კვლავაც მონაწილენი არიან დიდი ორომტრიალისა: ისევ ისევე მიერეკებიან დევებს აქედან და ამკვიდრებენ კაცთა საცხოვრისს.

ახიელიც თითქოს თვალდათვალ გამოდის შუის სინათლეზე.

იხსნარია ამ გარემოს მფარველიც და მისი ხსენება-მოლანდება აბამს ძაფებს ჭვარ-ხატთა ათასგვარ თავგადასავალთან, რომელთაგან ზოგი შემორჩენილა და ზოგსაც ალოო თუ მიწვდება.

საგვარეულო სალოცავებიც იმ ამალეებულის სამყაროს მოწმედ დგანან ბალი-აურთ ჭვარნიც, ჭაბუშანურთ ჭვარნიც.

სალოცავთა ტვიფარი დაქდევია ამ გვარებს და იქნებ ამიტომაც გაუძლო ორმა ამონასხლეტმაც მათი წიაღიდან იმ ჭოჭოხეთს, ჩვენს ტრაგიკულ მწერლობას რომ უპირებდა შთანთქმას. მაგრამ ჭოჭოხეთი თვითონვე ამოიბუფა და მისი ნაცრიდან თავდაღწეული ლიტერატურული ფასეულობანი ჩვენი ხელით მოელიან გაწმენდას, დალაგებას, შენახვას...

განსაცვიფრებელია, როგორ არ გატყდნენ ჩვენი მწერლები და ხელუხლებლად შეინარჩუნეს ლიტერატურის ძარღვი!.. მაგრამ სინამდვილე გვარწმუნებს, რომ ძარღვი მართლა მრთელია და შეუბღალავი და მის ფეტქვაში გამოკრთის ლაღო ბალიაურისა და გაბრიელ ჭაბუშანურის სახელებიც, არა რალაც განსაკუთრებული ელვარებით, მაგრამ აუცილებელნი ჩვენი საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა გააზრებისათვის.

ბედმა ეს ორნიც დაუნდობლად ჭიჭნა და ათრია (უფრო მაინც ლაღო ბალიაური, რომანის პერსონაჟადაც რომ გამოდგება), არსებობა არ აცალა. შემოქმედებითი აღმაფრენა შეუქცეცა, მაგრამ დავიწყებისათვის ვერ გაწირა და ახლა თანდათან ივსება ჩვენი წარმოდგენა მათ პიროვნებასა და ღვაწლზე:

ერთის მონაწილეობა იატაკქვეშა მოძრაობაში და ციხე-კატორღაში წოწია-ლი, და მეორის დამკვიდრება დედა-წულთანად აყრილი ქისტების აულში, რათა შინდაბრუნებული დევნილისათვის — სხვა ხევესურებით — მოვლილი დაეხვედ-რებინა მისი კარ-მიდამო.

ერთის ციხე-კატორღის მოთხრობათა ციკლი და ისტორიული რომანი; და მე-ორის პოეტური ციკლი ღიღღოს დაღრუბლულ ცაზე, გლოვა უსამართლოდ დევ-ნილ ჩრდილო-კავკასიელ თანამოძმეთა და მკაცრი განაჩენი სტალინის პოლიტი-კის და პიროვნებისა.

ლიტერატურული პორტრეტი, მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ეს ნაკადი, მარჯვე გზაა მწერლის, მოღვაწის სულში შესაღწევად, და, მითუმეტეს, ასეთი დრა-მატული ბიოგრაფიის პიროვნებებს თუ წარმოსახავს, ლადო ბალიაური და გაბ-რიელ ჯაბუშანური რომ არიან. თვითმხილველთა მონათხრობი, ბარათები თუ სხვა ჩანაწერები ისე უნდა გადაეხას ერთმანეთსა და კრიტიკულ ანალიზსა, რომ ხელშესახებად გამოისახოს ნაკვთები, რაც უფრო მახლობელს ხდის რეალურ პიროვნებას და ლამის პერსონაჟადაც კი აქცევს.

ამჯერად ასეთი პერსონაჟები ამირან არაბულმა შექმნა და ლიტერატურული პორტრეტის ჟანრისათვის ნიშანდობლივი ის ხერხიც მოიშველია — მაშინდელი ფონის აღდგენა.

მკითხველის წარმოსახვაში ერთიანი ფონიც ამოიზიდება, მათი თანატოლები-თა და მეგობრებით დასახლებული და ორ წიგნში გამოხატული: "ქაბუკები დარჩ-ნენ მარად" და "დაწყველილი თაობა", ერთი რომანტიკული იერით რომაა შეფე-რილი და მეორე კი, რომანტიკულთან ერთად, ტრაგიკული სულისკვეთებითაც არის აღბეჭდილი.

ეს ორნიც იმ ტრაგიზმის გამომსახველნი არიან და, საერთო ფესვებისა და სა-ლოცავების გარდა, ბედისწერაც აახლოვებთ.

იმ მხრივაც დაახლოვით ბედმა, ერთი მოამაგე და მზრუნველი რომ გამოუჩნ-დათ, პიროვნება, ვინც ფურცელ-ფურცელ აგროვა და კინძა მათი ნაწერებიც და გაუხარელი დღეებიც — საუქმოს აგონიიდან დაწყებული და მსოფლიო ძვრებსა და მღელვარებებში მოყოლილი ქვეყნის მკაცრი რეალობით დასრულებული.

საუქმოს აგონია ნათელა ბალიაურის ხევესურული ქრონიკებით შევეიგრძენია ასე ძალუმაღ და როცა ეს ორნი გაგვახსენდება, ძალაუნებურად ჩნდება ასოცია-ციები მაშინდელ ამბებთან, უცნაურ, დრამატულ ეპიზოდებთან, რომელთა ჩამა-ვალი შუქიც აღვას ლადო ბალიაურისა და გაბრიელ ჯაბუშანურის ნაწერებს.

პორტრეტის ჟანრი, მიუხედავად ტევადობისა, ბევრ რაიმეს ტოვებს კომპოზი-ციური ჩარჩოს მიღმა და ეს მაშინაა განსაკუთრებით შესაძინევი, როცა ამა თუ იმ მწერალზე ჭერ ძალზე ცოტაა დაწერილი. ეგ კი არის: თეზისებით დაწურული ზოგიერთი ფრაზა თუ პასაჟი შესაძლოა სხვათა ძიებებში გაიშალოს, როცა საინ-ტერესოდ მოთხრობილი თავგადასავალი თვითონაც შეაგულანებთ უფრო ღრმად ჩახედვისათვის ბიოგრაფიაშიც და მხატვრულ წარმოსახვებშიც.

ამირან არაბულის ეს ლიტერატურული პორტრეტები ყოველთვის საგულის-ხმო იქნებოდა, მაგრამ ამჟამად მათი ღირებულება განსაკუთრებულია, რადგანაც ამ ნიმუშთა შემწეობითაც უნდა გავერკვეთ იმ ეპოქის სულში: ცხოვრების გარეგ-ნულ მდინარებასა და იატაკქვეშა ნაკადებში.